# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 21 მაისი 2007 №113 (3036) ფასი 50 თეთრი


# ოლიმპი ოლიმპზე, დინამო მეორეზე, ამერი მესამეზე და ფინალში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 26 | 19 | 6 | 1 | 57:9 | 63 |
| დინამო | 26 | 20 | 2 | 4 | 57:19 | 62 |
| ამერი | 26 | 17 | 6 | 3 | 53:14 | 57 |
| ზესტაფონი | 26 | 16 | 9 | 1 | 55:11 | 57 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 9 | 5 | 40:26 | 45 |
| სიონი | 26 | 11 | 4 | 11 | 28:26 | 37 |
| ტორპედო | 26 | 9 | 4 | 13 | 24:35 | 31 |
| ლოკომოტივი | 26 | 8 | 6 | 12 | 25:34 | 30 |
| ბათუმი | 26 | 8 | 6 | 12 | 27:30 | 30 |
| ბორჯომი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:35 | 30 |
| მერანი | 26 | 6 | 8 | 12 | 20:41 | 26 |
| ჩიხურა | 26 | 5 | 6 | 15 | 13:46 | 21 |
| დილა | 26 | 3 | 6 | 17 | 21:56 | 15 |
| კახეთი | 26 | 0 | 2 | 24 | 21:86 | 2 |





დინამოელი სანდრო იაშვილი 21 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა



ამერელი გიორგი დეკანოსიძის დარტყმული ბურთი გრიგოლ ბედიაშვილმა ხაზს იქით დაამიწა

# ქართველები უცხოეთში



# ალკმაარი და აიაქსი: აი, შოთა, აი, კლასი

## მეორე ბუნდესლიგამ ქართველები არც აუშვა, არც ჩაუშვა

**რამდენიმე** ევროპულ ქვეყანაში ჩემპიონატი გუშინ დასრულდა. მათ შორის ისეთებშიც, სადაც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ. ჩვენი „უცხოელების“ ამბავ-ხაბარი ახლა მითუმეტეს აქტუალურია, რაკილა ლიტვასთან და საფრანგეთთან ევროშესარჩევი მატჩები მოახლოვდა.

ქართველთათვის გასახარი თამაში იყო ჰოლანდიაში, სადაც ამ სეზონის ჩვენი ნომერი პირველი ლეგიონერი თამაშობდა — *შოთა არველაძემ* ბოლო წუთზე გადამწყვეტი გოლი გაუტანა „აიაქსს“ და „ალკმაარს“ შინ 2:1 მოაგებინა. ეს ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელი პლეი ოფის პირველი მატჩი იყო, საპასუხო კი 27 მაისს გაიმართება ამსტერდამში და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მნიშვნელობის ბურთი შეაგდო არველაძემ.

ლუის ვან გაალის „ალკმაარი“ მე-2 წუთზე დაწინაურდა, თუმც მე-10-ზე გაუშვა და, ცხადია, 1:1 სააიაქსო ანგარიში იყო. მასპინძლები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და პირველი ტაიმის ბოლოს მსაჯმა თითქოს სუფთად გატანილი გოლიც გაუუქმათ. მეორე ნახევარში AZ-ს უპირატესობა უფრო გაიზარდა და მოგება ალალი იყო — მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი დონკმა ერთი შეხებით გადაგზავნა შოთასკენ, რომელმაც „აიაქსის“ მეკარე ბავშვივით გააცურა და ლამის ბურთიანად კარში შესულმა მთელი ჯიგარი ჩააქსოვა დარტყმას. ისე, არველაძეს დაღლა ძალიან ეტყობოდა, მაგრამ კლასით გააქვს თავი.

დამთავრდა გერმანიის ბუნდესსეზონი და, როგორც მოსალოდნელი იყო, *ლევან კობიაშვილის* „შალკე“ მეორეზე გავიდა. „ხუმარები“ მხოლოდ იმ შემთხვევაში ეღირსებოდნენ ტრიუმფს, თუკი „შტუტგარტი“ წააგებდა — თუ შტუტგარტელები ფრედ ითამაშებდნენ, მაშინ „შალკეს“ „არმინიასთან“ მინიმუმ ოთხბურთიანი გამარჯვება მისცემდა ხელს.

„შტუტგარტმა“ 2:1 სძლია „კოტბუსს“ და ბუნდესსასალათეც დაისაკუთრა. კობის გუნდი კი უკვე მე-16 წუთზე 2:0-ს იგებდა, მაგრამ კარგად ხვდებოდა, რომ კოტბუსელთა იმედი არ უნდა ჰქონოდა — საბოლოოდ „შალკემ“ 2:1 იმარჯვა. კარგა ხნის შესვენების შემდეგ ლევანმა სრული 90 წუთი ითამაშა, მარცხენა მცველი გახლდათ.

მეორე ბუნდესლიგაშიც ბოლო ტური იყო. „ფრაიბურგმა“ შინ 2:0 კი სძლია „კობლენცს“, მაგრამ *ალექსანდრე იაშვილისა* და *ოთარ ხიზანეიშვილის* გუნდს ბუნდესლიგაში გადასვლა არ ეწერა, რაკილა „ჰანზამ“ და „დუისბურგმაც“ იმარჯვეს. ხიზანეიშვილი კვლავ მარქაფში იყო, იაშვილმა კი 90 წუთი ითამაშა და, სავარაუდოდ, ეს მისი ბოლო ფრაიბურგული მატჩი იყო — „იაშკამ“ მეორე ბუნდესლიგის სეზონი 10 გოლითა და 14 საგოლე პასით დაასრულა. დიდი შანსია, ქართველმა ფორვარდმა ბუნდესლიგაში ამოჰყოს თავი. მისი მსურველები სწორედ ბუნდესცხრილის მეორე ეშელონში მყოფნი არიან.

*გიორგი ლომაია-მიხეილ აშვეთიას* „კარლ ცაისი“ კი გავარდნას გადაურჩა: იენელებმა სტუმრად 2:1 სძლიეს უმოტივაციო „აუგსბურგს“, ლომაიამ კი მეორე ტაიმში ორი ძნელი ბურთი მოიგერია — ამ დროს ანგარიში 1:1 იყო. რაც შეეხება აშვეთიას, იგი დისკვალიფიცირებული გახლდათ.

*მათე ღვინიანიძე* საყრდენ ნახევარმცველად — 20 წლის ქართველს „მიუნხენ 1860“-ში ახალი ამპლუა მოუძებნეს და ზედიზედ მეოთხე მატჩია, იქ ათამაშებენ. მათემ 78 წუთი იბურთავა აუე-სთან (2:2).

„მილანს“ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს და „უდინეზესთან“ 14 წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა. *კახა კალაძეც* ტრიბუნიდან უყურებდა თამაშს, რომელიც „როსონერიმ“ 2:3 წააგო.

რუსეთის პრემიერლიგაში სატურნელმა *გოგიტა გოგუამ* ყოფილი კლუბის, ნალჩიკის „სპარტაკის“ წინააღმდეგ ითამაშა. მატჩი 1:1 დასრულდა, გოგუამ კი სრულად იბურთავა და რუსული პრესა წერს, ქართველ საყრდენს „სატურნში“ ასე კარგად ჯერ არ უთამაშიაო. გოგიტა განსაკუთრებით მეტოქის შეტევების ჩაშლისას ყოჩაღობდა, ერთ მომენტში კი მსაჯთან კამათისთვის ყვითელი ბარათიც მიიღო.

ნალჩიკელთაგან *ალეკო ამისულაშვილმა* ასევე ასრულად ითამაშა, *ლევან გვაზავა* კი 74-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და მალევე საგოლე პასი გააკეთა — ბრაზილიელ რიკარდოს გაათანაბრებინა ანგარიში.

ყაზანის „რუბინმა“ კვლავ უქართველებოდ ითამაშა და 1:2 წააგო „ზენიტთან“, ხოლო *დავით მუჯირის* „კრილიამ“ აკრეფილი ტემპი არ შეანელა და ტომსკში „ტომს“ 2:1 მოუგო. მუმუ მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს, ჩვენიანმა რამდენჯერმე შორიდან დარტყმითააწრიალა მასპინძელთა მეკარე.

უკრაინაში რატომღაც 90 წუთი „კრივბასის“ სათადარიგოებში იჯდა *ვასილ გიგიაძე*, რომლის გუნდმაც 0:0 ითამაშა „ტავრიასთან“. არ უთამაშია ვასოს თანაგუნდელ *ლადო ბურდულსაც*, ხოლო როცა „კრივბასის“ მწვრთნელ ოლეგ ტარანს გიგიაძის არყოფნაზე ჰკითხეს, უპასუხა, ორი ფორვარდით თამაში არ მინდოდაო.

ქართველთათვის გამორჩეული ამბავი ის მოხდა, რომ, როგორც იქნა, *გიორგი დემეტრაძე* გამოჩნდა მინდორზე, რაც დონეცკის „მეტალურგში“ ახალი მწვრთნელის დანიშვნის „ბრალია“. დემემ ბოლო ნახევარი საათი ითამაშა *ლაშა ჯაკობიას* კიევის „არსენალთან“, თავად ჯაკობიამ კი 90 წუთი იბურთავა და ძალიან აქტიურიც გახლდათ.

**ილია ნანობაშვილი**

# მოიგო კაცმა...

## პროფლიგას 5-ათასიანი ჯეკპოტი გაუთამაშეს

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის ლატარიას კიდევ ერთი გამარჯვებული ჰყავს — მამუკა ჩხიკვაძე, რომელმაც ლატარიის წინა გათამაშების თერთმეტივე მატჩის შედეგი გამოიცნო და 5-ათასიანი ჯეკპოტიც მოიგო.

— საქართველოს ჩემპიონატით მას შემდეგ უფრო დავინტერესდი, რაც ლატარიის გათამაშება დაიწყო. ჩვენს ჩემპიონატს თვალყურს ადრეც ვადევნებდი, მაგრამ ახლა უფრო მეტი აზარტით. მომგებიანი ბილეთი ოთხშაბათს რუსთავში „ოლიმპი“ — „ამერის“ მატჩის წინ ვიყიდე. საინტერესო და დაძაბულ თამაშს ველოდი და ამიტომ გადავწყვიტე ამ შეხვედრაზე დასწრება. უმაღლესი ლიგის ყველა მატჩის შედეგი გამოვიცანი და შემდეგ პირველი ლიგის მატჩებს დაველოდე. გამიმართლა და მოვიგე. ფეხბურთის დიდი მოყვარული ვარ, ტოტალიზატორშიც ხშირად დავდივარ და პროფლიგის ლატარიის ბილეთები აქამდეც შემივსია. მადლობა პროფლიგას ასეთი კეთილი საქმისთვის. თავად კი, ცხადია, ლატარიის ბილეთის შევსებას მომავალშიც გავაგრძელებ — გვითხრა მოგებულმა მამუკა ჩხიკვაძემ.

შეგახსენებთ, ერთი თვის წინ პროფლიგის ლატარიაში 7 ათასლარიანი ჯეკპოტიც გათამაშდა.

26 მაისის საქართველოს თასის ფინალზე კი სტადიონზე მისულ ქომაგთ პროფლიგისგან ერთი სიურპრიზიც ელით. წამახალისებელ ლატარიაში მონაწილეობას მიიღებს ყველა ის მოგებულ-წაგებული ბილეთი, რომელიც თასის ფინალამდე გაყიდულა. გათამაშდება ლიტვა — საქართველოს 2 ივნისის შესარჩევი მატჩის ორი ბილეთი და საგზური. ასევე სხვადასხვა პრიზები.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი
VS
ზესტაფონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2, 3, 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
სპონსორები
BANK OF GEORGIA
i'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი
FORTUNA ფორტუნა
11×11
24

იყიდება

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 38 11 14, 877 54 55 00

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 26 ტური

# ქუთაისში სხვისი ოქრო ჩხრიალებს

## ძოძუაშვილი მესამეა, ოლიმპი მეხუთე

ქუთაისი. 20 მაისი. 17 საათი. ტორპედო. 4 000 მაყურებელი

### ტორპედო 2:4 ოლიმპი

0:1, 0:2 გოცირიძე (18, 40), 1:2 ნადირაძე (62), 1:3 კახელიშვილი (73), 2:3 ზივზივაძე (77), 2:4 გოცირიძე (84)

**ტორპედო:** ქვილითაია, ა. კვერნაძე, ლალაძე, რ. ბარაბაძე, გურული (ხურცილავა 46), ზ. ჩხეტიანი, ზივზივაძე, ნ. ნადირაძე, ქუთათელაძე (მდივნიშვილი 76), ამედაძე (მ. ლონლაძე 46), კირკიტაძე
სათადარიგონი: ოდიშარია, ტაბიძე, კვეტენაძე, გორგოძე
**მწვრთნელი:** დავით ჯანაშია

**ოლიმპი:** მ. ალავიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ქიქვეიშვილი, ნავალოვსკი (ბერუაშვილი 55), სეთურიძე (დვალიშვილი 77), ქებაძე, ძამსაშვილი, გეწაძე, აფციაური, (გ. კახელიშვილი 46), რ. გოცირიძე
სათადარიგონი: მერლანი, ხუბუა, მაჭავარიანი, ჩხარტიშვილი
**მწვრთნელი:** რევაზ ძოძუაშვილი

**გაფრთხილება:** ძამსაშვილი (86)

**მსაჯები:** მ. ბეჟქლიშვილი, ი. უკლება, მ. ნაკაიძე, ჯ. ელისაბედაშვილი

**დამკვირვებელი:** ი. ლორთქიფანიძე



პენთრიქოსანი რევაზ გოცირიძე (№10)

მალხაზ ახალქალაძის ფოტო

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

**უკვე** მეორე წელია, საქართველოს ჩემპიონის ბედი ბოლო ტურში ქუთაისში წყდება — წინა სეზონში ბოლნისის „სიონმა" იზეიმა ისტორიული გამარჯვება, ახლა კი რუსთავის „ოლიმპმა".

შარშანდლისგან განსხვავებით, როცა ქუთათურებმა ულაპარაკოდ, 0:4 წააგეს, წლეულს უკეთ ითამაშეს. მართალია, ამჯერადაც ოთხი გოლი გაუშვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ორი გაიტანეს და გვარიანადაც აწრიალეს მეტოქე. თუმც აქედან „ტორპედოს" გულშემატკივრებს რა ხეირი — საქართველოს სამგზის ჩემპიონ ქალაქში უკვე მეორე წელია, სხვების სიხარულს უყურებენ...

„ტორპედომ" რუსთაველთა შეტევებს მხოლოდ 18 წუთი გაუძლო — რევაზ გეწაძის კუთხურისას რევაზ გოცირიძეს ბურთი ფეხიდან აეჭრა და... კარში აღმოჩნდა — 0:1.

ზუსტად ორ წუთში გოცირიძეს დუბლის გაკეთება შეეძლო, თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ააცილა.

მალე გეწაძის პასით გიორგი ნავალოვსკიმ ვერ იხეირა, მე-40 წუთზე კი იმავ ნავალოვსკიმ ბურთი თავზე დაასვა გოცირიძეს, რომელსაც აქედან არგატანა აღარ ეპატიებოდა — 0:2.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს და შეტევებსაც უმატეს, რამაც შედეგი მალევე გამოიღო — ნიკა ნადირაძემ რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და მიხეილ ალავიძეს აუღებელი დაურტყა — 1:2.

„ტორპედო" არ ცხრებოდა, შეცვლაზე შესულმა მამუკა ლონლაძემაც სახიფათო დრიბლინგი წამოიწყო მარჯვენა ფრთაზე, კარგადაც ჩააწოდა, თუმცა ალავიძე კარიდან დროულად გამოვიდა და...

ინტრიგა 73-ე წუთზე მოკვდა: გიორგი კახელიშვილმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და ძლიერი დარტყმით გაზარდა სხვაობა — 1:3.

მართალია, საპასუხო შეტევისას ერეკლე ზივზივაძემ მოულოდნელი დარტყმით ისევ შეამცირა ანგარიში, თუმცა ამან „ოლიმპს" ვეღარაფერი დააკლო, პირიქით, მოოქროვილმა რუსთაველებმა 84-ე წუთზე ერთხელაც იხეირეს — გიორგი კახელიშვილის დარტყმული მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი გოცირიძემ იყოჩაღა — 2:4.

ამგვარად, საქართველოს ახალი, რიგით მეხუთე ჩემპიონი ჰყავს: თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", თბილისის „ვიტ ჯორჯიას" და ბოლნისის „სიონის" შემდეგ ქართულ ოქროს რუსთავის „ოლიმპმაც" გაუგო გემო.

ქვემოქართლელთა თავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა კი „დინამოს" და „ტორპედოს" შემდეგ მესამე გუნდში შეძლო ჩემპიონობა: „მიხარია, რომ ჩემპიონობა ჩემს მშობლიურ ქალაქში მოვიპოვეთ. დღესდღეობით ამის ყველაზე დიდი შანსი „ოლიმპს" ჰქონდა და, ვფიქრობ, დამსახურებულადაც მოვიპოვეთ ეს ტიტული".




მალხაზ ახალქალაძის ფოტო

ბორჯომი. 20 მაისი. 17 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 800 მაყურებელი

### ბორჯომი 1:2 ზესტაფონი

0:1 გ. ჩხეტიანი (58), 1:1 კაიდარაშვილი (90), 1:2 გ. ჩხეტიანი (90)

**ბორჯომი:** შეყრილაძე, ე. მერებაშვილი, ლონლაძე, დ. ნადირაშვილი, შ. ჯიქია (ა. კაიდარაშვილი 72), ქარქუზაშვილი, გოგიჩაიშვილი, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, კაკალაძე (ლომიძე 90), თედიაშვილი (რ. კვერნაძე 74)
სათადარიგონი: ახაბაშვილი, ლაზარაშვილი, ტალახაძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ზესტაფონი:** ქანტურია, საჯაია, ს. თოდუა, კესანი, კ. ჩხეტიანი, სანტოსი, რ. ონიანი (შ. ლონლაძე 78), ფიფია (გ. ჭელიძე 69), გ. ჩხეტიანი, ლეანდრო (ვიეირა 46), ბ. ნოზაძე
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, ტორესი, იონანიძე, ძარია
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ქარქუზაშვილი (49), ნადირაშვილი (69), ლონლაძე (80), ვიეირა (87)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, კ. ჭაჭუა

**დამკვირვებელი:** ა. ბაჩუკაშვილი

თელავი. 20 მაისი. 17 საათი. გივი ჩოხელი. 250 მაყურებელი

### კახეთი 1:5 ლოკომოტივი

0:1 გოჩაშვილი (7), 0:2 სოხელია (29), 0:3 ჩომახიძე (49), 0:4 ალავერდაშვილი (67), 1:4 იაშვილი (73პ), 1:5 ბახტაძე

**კახეთი:** გ. იაშვილი, მ. ხიდეშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, ბერგიშვილი, კველიშვილი, აბდულაევი (გ. ხიდეშელი 33), მელიქიშვილი (ბურნაძე 46), მედოევი, ტეტიაშვილი, ძამუკაშვილი (ბიძინაშვილი (35)
სათადარიგონი: ქუფარაშვილი, კუპრაშვილი, ბიბილაშვილი, ჩუთლაშვილი
**მწვრთნელი:** ვასილ ალუდაშვილი

**ლოკომოტივი:** ზუხბაია, ებრალიძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, გულორდავა, დ. ფოფხაძე, მალიზავა, ჩომახიძე (ჯიქურიშვილი 66), სოხელია, ვ. გოჩაშვილი (ბახტაძე 56), ალავერდაშვილი (ბარბაქაძე 75)
სათადარიგონი: გვარამაძე, კუპრეიშვილი, კირკიტაძე, თუთბერიძე
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**გაფრთხილება:** ებრალიძე (65), გუშარაშვილი (75)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, შ. ქუხილავა, ლ. კვარაცხელია

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

# კახეთი კარგი მასპინძელია

**გიორგი კაციტაძე თელავიდან**

**მატჩი** თბილისის „ლოკომოტივის" უპირატესობით დაიწყო, ასეც ჩამთავრდა და სხვაც არაფერი დაგვრჩენია, გოლ-ეპიზოდები ჩამოვთვალოთ...

მე-7 წუთზე მიხეილ სოსელიამ 25 მეტრიდან ჯარიმა დაარტყა, გიგა იაშვილმა ბურთი მოიგერია, დამატებაზე კი ვლადიმერ გოჩაშვილმა დაასწრო ყველას და 0:1.

23-ე წუთზე ზაზა მედოევის ძლიერად დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა სტუმართა კარს და... ხუთიოდ წუთში მასპინძლებმა ისევ ცენტრიდან განაახლეს თამაში — შოთა ჩომახიძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოში, ბურთს მიხეილ სოსელია თავით დახვდა და 0:2.

ამის შემდეგ თბილისელებმა მეტოქის ნახევარზე აგორეს ბურთი და ტაიმის ბოლოს გიორგი ალავერდაშვილი მეკარესთან პირისპირაც დარჩა, დაარტყა კიდეც, მაგრამ გიგა იაშვილმა მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთს გოჩაშვილმა დაამატა, თუმც მეკარეს ვერ აჯობა.

მეორე ტაიმი დაიწყო და ჩომახიძემ უძლიერესი დარტყმით ბურთი „კახეთის" ცხრიანში შეაგდო, 67-ე წუთზე კი ალავერდაშვილი პირისპირ გავიდა მეკარესთან და 0:4.

კახელების ერთი გოლი კი, რომელიც ნამდვილად ვეღარ იყო პრესტიჟისა, 72-ე წუთზე გავიდა: ნიკა გუშარაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, პენალტი კოლეგას გიგა იაშვილმა დაურტყა და 1:4.

79-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ბარბაქაძემ ბახტაძეს, რომ იტყვიან, გაატანინა — მის ჩინებულ პასს თბილისელთა მეხუთე გოლი მოჰყვა.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 26 ტური

თბილისი. 20 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

## დინამო 4:2 ბათუმი

1:0 იაშვილი (45), 1:1 კვარაცხელია (49), 1:2 დარჩიძე (58),
2:2 იაშვილი (75პ), 3:2 ფეიქრიშვილი (83), 4:2 იაშვილი (85)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, შაშიაშვილი, ხმალაძე ოდიკაძე (ლ. ნოზაძე 84), დილმელაშვილი (სპასოევიჩი 69), ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი (ხუციშვილი 61), ს. იაშვილი
*სათადარიგონი:* ლორია; აკობია, ჩირიკაშვილი, ზ. ჯანაშია
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**ბათუმი:** სომხიშვილი, კუნჭულია გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, კ. შალამბერიძე, ა. ბაჯელიძე, ბეჟანიძე (ბაციკაძე 84), ფარტენაძე (დემურიძე 46), დარჩიძე, ვ. კვარაცხელია
*სათადარიგონი:* ბექთაშევი, ტულუში, ბ. მახარაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**გაფრთხილება:** იაშვილი (67), გრიშიკაშვილი (68), კვარაცხელია (68), ბაჯელიძე (72), გალოგრე (76), გ. კაშია (83)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, დ. გოგოლაშვილი, გ. ყრუაშვილი, დ. სანაია

**დამკვირვებელი:** თ. ლორთქიფანიძე

# ნუ ნერვიულობთ, მეკარეებო!

## ვაკეში დასავლეთის ქარი ქროდა



სანდრო იაშვილმა ჩემპიონატი ჰეთ თრიქით ჩაამთავრა



ილია სპასოევიჩის „დინამო“ „ბათუმს“ მაინც გადაანტა

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**ვინც** „მიხეილ მესხზე“ იყო, არ შეიძლებოდა, ცალი ყური ქუთაისისკენ არ ჰქონოდა — საჩემპიონო ბედი ხომ ამ ორ მატჩში წყდებოდა. მალევე გაირკვა, რომ ინტრიგა გაქრა — „ოლიმპი“ იმერეთში 2:0 დაწინაურდა და ვაკური მატჩიც უინტერესო გახდა.

„დინამო“ დინჯად აკონტროლებდა სიტუაციას და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, გამარჯვებამდე უნდა მიეყვანა საქმე. მე-10 წუთზე სანდრო იაშვილს გოლის გატანა მართებდა, თუმც ლევან ხმალაძის გონივრული თავური პასის შემდეგ ათიოდე მეტრიდან კარს ააცილა.

განსაკუთრებით აქტიურობდა დინამოელთა მარჯვენა ფლანგი — შოთა კაშია და დავით ოდიკაძე. სწორედ ოდოს თავგამოდებას მოჰყვა ზედიზედ ორი სახიფათო მომენტი: პირველად თავად ვერ დაასრულა შეტევა, შემდეგ კი მისი პასით ხმალაძემ ვერ ისარგებლა.

გატანა „ბათუმსაც“ მართებდა: ვახტანგ კვარაცხელიას იმხელა სივრცე ჰქონდა, სოსო გრიშიკაშვილის დამწუხრება არ უნდა გასჭირვებოდა, თუმც ბათუმელმა არასწორი გაგრძელება ირჩია.

კვარაცხელიამ გრიშიკაშვილს მაინც გაუტანა, როდესაც ვიტალი დარჩიძის პასით მეკარის და გურამ კაშიას შეუთანხმებლობით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. მანამდე კი „დინამო“ იაშვილის გოლით იგებდა: ჩემპიონატის მთავარმეგოლემ გიორგი სომხიშვილს ისეთი ჯარიმა დაურტყა, ბარე ორი მოაწერდა ხელს. ეს ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა.

შემდეგ იყო კვარაცხელიას გამთანაბრებელი და უმალ დარჩიძის დამწინაურებელიც — კობა შალამბერიძემ მარჯვენიდან კარგად ჩააწოდა, შეცვლაზე შესულმა ბესიკ დემურაძემ ბურთს ვერ მიუსწრო, მაგრამ შემდეგ ისეთი რეიდი გააზერხა, დარჩიძეს გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა — 1:2.

ამასობაში „ტორპედომ“ ბურთი გაუქვითა „ოლიმპს“ და ქუთაისურმა ინტრიგამ „დინამო“ გაახელა, თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათი რჩებოდა და ლიხს იქით დინამოელთა სასიკეთო ანგარიში რომ დაფიქსირებულიყო, ყელს თავად იჭრიდნენ.

„დინამომაც“ გაიბრძოლა და 76-ე წუთზე ოდიკაძის პასის შემდეგ გიორგი მერებაშვილს უნდა შეეგდო, მაგრამ დავით გალოგრემ არ აცალა, თუმც ეს ყველაფერი წესების დარღვევით მოახერხა, რის გამოც თავად ყვითელს, მეტოქემ კი გოლს გამოჰკრა ხელი — პენალტი იაშვილმა გაიტანა.

იაშვილი გოლებს არ დასჯერდა და გიორგი ფეიქრიშვილს მშვენიერი პასი გადააწოდა, მან კი სომხიშვილს თავზე გადაავლო და „დინამოც“ დაწინაურდა — 3:2.

სანამ დაწინაურებული „დინამო“ „ტორპედოზე“ ლოცულობდა, „ოლიმპმა“ ზედიზედ გაიტანა და იაშვილის კიდევ ერთ, ეშხიან თავურს ეშხი მოაკლო...

და ერთიც ნერვების სახიფათო თამაშზეც — ჯერ იყო და, გრიშიკაშვილმა კვარაცხელია ჩაწიხლა, შემდეგ ტრავმირებული შალამბერიძის მოედნიდან „გადათრევა“ მოინდომა. მსაჯი კი მხოლოდ ყვითლით შემოიფარგლა. ბათუმელმა სომხიშვილმა თანაგუნდელს ისეთი გაულაწუნა, მუჰამედ ალისაც შემშურდებოდა — ასე რომ, ვაკეში მარტო ფეხბურთი არ იყო.

### პრესკონფერენცია

***დუშან უჰრინი:*** საინტერესო თამაში გამოდგა. პირველი ტაიმი ჩვენი იყო. მეორე ტაიმი ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და მოიგეს კიდეც... ცუდია, რომ ჩემპიონობამდე ცოტა დაგვაკლდა. მეორე წრეში ყველას ვაჯობეთ, თუმც პირველი წრის ჩამორჩენის აღმოფხვრა ვერ მოვახერხეთ. „დინამო“ რა გუნდიცაა, ევროთასებზე ნახავთ.

***ამირან გოგიტიძე:*** მიმდინარე სეზონში თბილისში არ წაგვეგო და ამ ტრადიციის შენარჩუნება გვინდოდა, თუმცა „დინამომ“ ჩვენზე უკეთ ითამაშა და მოიგო კიდეც. ვულოცავ მათ მეორე ადგილს...

...„ბათუმის“ მიზანი მომავალშიც უმაღლეს ლიგაში დარჩენა იქნება, შემდეგ კი ნელ-ნელა ევროთასებისკენაც გავიხედავთ.

# გატყდა ჩიხურა შროშული დოქივით

## ზემოიმერლებს პლეი-ოფლის დენა მოუწევთ

გორი. 20 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

## დილა 5:0 ჩიხურა

1:0 გონჩაროვი (11), 2:0 სულთანიშვილი (44),
3:0, 4:0 ბ. ჩიტაია (56, 76), 5:0 წინამძღვრიშვილი (81)

**დილა:** კეზუაშვილი, ბალიაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, სადალაშვილი, კ. ხანიშვილი, ლომაშვილი (ნ. ნოზაძე 62), გ. ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (ბ. ჩიტაია 46), გონჩაროვი (გ. წინამძღვრიშვილი 68)
*სათადარიგონი:* თათანაშვილი, კობახიძე, ლომიძე
**მწვრთნელი:** მამუკა ვარდოსანიძე

**ჩიხურა:** სტურუა, გვეტაძე, ქიმოკლიძე, დ. გიგაური, ქუხილავა, ბარამიძე, ბუცხრიკიძე (ჩარგეიშვილი 54), ზაბახიძე, ლ. ვაშაკიძე, გ. მიქაძე (მ. მიქაძე 46), ჯ. დვალი
*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, როგავა
**მწვრთნელი:** ვახტანგ თურმანიძე

**გაფრთხილება:** სადალაშვილი (29), ბარამიძე (62)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, დ. კვიტენაძე, ლ. ფანიაშვილი

**დამკვირვებელი:** ვ. ეჯიბია

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**ეროვნული** ჩემპიონატის ბოლო გორული მატჩი მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩიხურას“ მოგებისთვის ყველანაირი მოტივაცია ჰქონდა, საჩხერელებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. თამაში, ზოგადად, ნელი იყო და თავიდან ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა.

პირველი გოლი „დილამ“ მე-11 წუთზე გაიტანა. სტუმრებმა მოედნის ცენტრთან დაკარგეს ბურთი, რომელსაც ლომაშვილი დაეუფლა, ბორის გონჩაროვი ზუსტი პასით ზვიად სტურუასთან პირისპირ გაიყვანა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0. ტაიმი თითქოს ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სტუმართა დაცვა შეცდა: ბოლო წუთზე სტურუამ გიორგი ვარდოსანიძის ფლანგური გარღვევის შეჩერება სცადა, კარი დატოვა და ფეხებში ჩაუხტა შემტევს, თუმცა ბურთი კვლავ ვარდოსანიძეს დარჩა, რომელმაც საგოლედ გადააწოდა მეკარის ბაქანში მარტოდ მყოფ საბა სულთანიშვილს — 2:0.

მეორე ნახევარში „დილას“ უპირატესობას სრული ეთქმოდა და აკი „ჩიხურას“ კარში კიდევ სამი ბურთი გავიდა.

56-ე წუთზე ლომაშვილი დრიბლინგით შეიჭრა საჯარიმოში და გადააწოდა ბექა ჩიტაიას, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია — 3:0.

ამ გოლის შემდეგ „ჩიხურამ“ თითქმის შეწყვიტა წინააღმდეგობა და მატჩმაც ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, ეგაა, 67-ე წუთზე „ჩიხურას“ შეეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა, როცა ლაშა ვაშაკიძის ჩაწოდებულზე ყველას გიორგი მიქაძემ დაასწრო, მაგრამ მისი თავური ხარიხამ მოიგერია. „დილას“ ბოლო ორი გოლი კი მთლიანად „ჩიხურას“ მცველების უხეში შეცდომების შედეგი იყო. 76-ე წუთზე გურამ სადალაშვილმა მოატყუა მცველი და ზუსტად გადააწოდა ბექა ჩიტაიას, რომელმაც თავურით მეოთხე გოლი გაიტანა, ხოლო 81-ე წუთზე გიორგი წინამძღვრიშვილი ფლანგზე გაექცა მეურვეს და სოლო-გარღვევა გოლით დაამთავრა.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 26 ტური

თბილისი. 20 მაისი. 17 საათი. ამერი. 900 მაყურებელი

## ამერი 3:0 ვიტ ჯორჯია

1:0 დეკანოსიძე (8), 2:0 ტატანაშვილი (48), 3:0 ჩიმაკაძე (90)

**ამერი:** ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, ბოლქვაძე (გ. ჯელაძე 58), დოლიძე (მესხი 78), ტატანაშვილი (ჩიმაკაძე 72), დობროვოლსკი, ს. დავითაშვილი
სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, გაბისკირია, კაკაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, დ. ლომაია, ადამაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჟვაია (კლიმიაშვილი 46), გ. მელქაძე (ლიპარტია 64), ბერიაშვილი (ლუჭაშვილი 68), ზ. სახოკია
სათადარიგონი: ლურზელეიშვილი, კაიშაური, კვალინაძე, ინჯგია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** ქვაჩახია (20), ჯაფარიძე (25), პ. დათუნაიშვილი (37)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, კ. ტეფნაძე, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** ს. კოტრიკაძე

# პირველი და თანაც ორმაგი

## ამერმა ისე სწრაფად მოიგო, მწვრთნელმა ვიტ ჯორჯია ვერ იცნო



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

**კობა ინასარიძე**

„ამერი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩები ნელ-ნელა დერბის ემსგავსება და მომავალში ამ გუნდების დაპირისპირებით საქართველოს ჩემპიონატი ალბათ კიდევ ბევრ უშელავათო, პრინციპულ და ძალიან საინტერესო მატჩებს შეიმატებს.

ვერ გეტყვით, საიდან, როგორ და რანაირად დაიწყო ამ გუნდების ესოდენ პრინციპული ურთიერთობა, ფაქტი კი ისაა, რომ ყოველთვის, მატჩის სტატუსის მიუხედავად, ამათ შეხვედრებს დაძაბულობა და ნერვების თამაში არ აკლია. გუშინაც ასე იყო, „ამერი" თუ მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოდა, „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონატში საქმე მოთავრებული ჰქონდა, ამის მიუხედავად კი ისეთი მატჩი ვნახეთ, სანახაობრივად ბევრ სხვას არაფრით ჩამოუვარდებოდა. ხოლო ერთ ეპიზოდს ფეხბურთელთა შორის ისეთი გაწევ-გამოწევა მოჰყვა, საქმეში სათადარიგონი და მწვრთნელებიც ჩაერივნენ და ბიჭები ძლივს დააშოშმინეს. ამერელებს მეტოქის მცველის ზღვარგადასულ უხეშობაზე მოუვიდათ გული და საქმის გარჩევაც ამას მოჰყვა. მოგეხსენებათ, „ყვითლებს" 26 მაისს საქართველოს თასის ფინალი აქვთ სათამაშო და ალბათ ამის გამოც გუშინდელ უხეშობას უფრო მძაფრად აღიქვამდნენ. თუმცა, მოგვიანებით მასპინძლებიც ისეთ ეშხში შევიდნენ, სტუმართათვის არც მათ დაუკლიათ და ვეჭვობთ, ნამატჩევს ფეხბურთელთა კოჭებს ბუნებრივი ფერი შერჩენოდათ...

მოკლედ, რასაც „ამერი"— „ვიტ ჯორჯიასგან" ველოდით, ისეთი, ძალიან ხისტი და აგრესიული მატჩი გამოვიდა და მასპინძელთათვის ორმაგი სარგებლით დამთავრდა. ერთი ის იყო, რომ „ყვითლებმა" ამ მოგებით მესამე საპრიზო ადგილი მიიღეს, რაც შარშანდელ მე-7 ადგილთან, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია. ხოლო მეორე ამბავი ასეთია: „ამერმა" თავის ოთხწლიან ისტორიაში „ვიტ ჯორჯია" პირველად დაამარცხა, თანაც დიდი ანგარიშით.

ამ ყველაფერს მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო გიორგი დეკანოსიძის სწრაფმა გოლმა. მე-8 წუთი იყო, „ამერმა" კუთხურის უფლება რომ მიიღო და ეს გოლიც ამას მოჰყვა. დეკანოსიძემ ჩაწოდა, მცველებმა ბურთი ისევ მისკენ მოიგერიეს და ამერელმაც, პირველ ყოლისა მეკარისთვის მოულოდნელად, საკმაოდ მახვილი კუთხიდან პირდაპირ კარში დაარტყა. გრიგოლ ბედიაშვილმა ბურთი კი დაიჭირა, მაგრამ რამდენიმე სანტიმეტრით ხაზს იქით. არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ უმალ ასისტენტ მამუკა ელიკაშვილს გახედა, მისგან გოლზე დასტური მიიღო და სტუმრებს მატჩი ცენტრიდან განაახლებინა.

ცხადია, „ვიტ ჯორჯია" გააქტიურდა და დეკანოსიძის გოლის გაქრობის შანსიც მალევე მიიღო. გიორგი დათუნაიშვილს მცველებმა ბურთი ვერაფრით ააცილეს და სტუმართა ნახევარმცველიც ბურთს საკუთარი ნახევრიდან გაჰყვა. საბოლოოდ დათუნაიშვილმა ზურაბ ქვაჩახია აიტულა, ბურთი საჯარიმოს გარეთ დაეჭირა. ძალიან სახიფათო ჯარიმა დაინიშნა, თუმცა ლუკა რაზმაძის დარტყმული მიზანს ასცდა.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ დროში კი ერთი ნაღდი მომენტი დიმიტრი ტატანაშვილს გაუცუდდა, ვინც მეკარისა და მცველის შეუთანხმებლობით ვერ ისარგებლა. ლამის ცარიელ კარს წინ დარჩა, მაგრამ რატომღაც შეყოვნდა და ისევ მცველმა და მეკარემ აღარ გაატანინეს, თუმცა...

ტატანაშვილმა თავისი გოლი მაინც გაიტანა და ეს შესვენების შემდეგ, თამაშის განახლებისთანავე მოხდა. კუთხურის ალამთან „ვიტ ჯორჯიას" მცველმა ქუსლით პასის გაკეთება მოინდომა, მაგრამ ბურთი დავით ბოლქვაძეს ჩააბარა, მანაც საჯარიმოში უყურადღებოდ მყოფი ტატანაშვილი შენიშნა და ბურთი თავზე დაასვა — თავდამსხმელის დარტყმული ამჯერად უნაკლო გამოდგა. ესეც მეორე სწრაფი გოლი და მოგებულის ვინაობაც ეჭვს აღარ იწვევდა.

„ვიტ ჯორჯია" გუშინ ძალიანაც მონდომებული ჩანდა, ყოველი ბურთისთვის იბრძოდა, არც ტემპი და აგრესია აკლდა, მაგრამ შეცდომებიც ბლომად ჰქონდა და ზოგადადაც თამაშის ხარისხით მასპინძლებს აშკარად ჩამოუვარდებოდა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ქვაჩახიას რამდენჯერმე კი დაურტყეს, მაგრამ რეალურ საგოლე შანსამდე საქმე აღარ მისულა.

თამაშის ბოლოსკენ კი გულშემატკივრები გამორჩევით სულიკო დავითაშვილს ქომაგობდნენ: დავითაშვილს ეროვნულ ჩემპიონატებში 99 გოლი აქვს გატანილი და ერთის გატანასაც გუშინ ცდილობდა. მას ტრიბუნებიც ეხმარებოდნენ, თანაგუნდელებიც, მაგრამ... ეს საქმე მომავალი სეზონისთვის გადაიდო. სამაგიეროდ კი, ბოლოს ბესიკ ჩიმაკაძემ იყოჩაღა და ასევე თავურით „ვიტ ჯორჯიას" მესამე გაუტანა.

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* დღეს ჩემი გუნდი ვერ ვიცანი, ასე ცუდად „ვიტ ჯორჯიას" ამ სეზონში არ უთამაშია. რა იყო ამის მიზეზი, ვერ გეტყვით, თუმცა მეტოქის გამარჯვებას არ ვაკნინებ, ვულოცავ მესამე ადგილს... დიახ, თავდასხმაში მართლაც გვაქვს პრობლემა. ნიკა გელაშვილი, ვინც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, უცხოეთში წავიდა. ვნახოთ, მომავალი სეზონისთვის ალბათ გავძლიერდებით.

*გიორგი ჩიხრაძე:* თასის ფინალი წინ გვაქვს და ასეთ დროს ძნელი იყო ამ მატჩისთვის ფეხბურთელთა სათანადო ფსიქოლოგიური მომზადება, თუმცა სასიხარულოა, რომ ეს შევძელით. დღეს ბიჭებმა ბევრი იშრომეს და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩემპიონატის ბოლოსკენ უკვე მესამე ადგილისთვის ვიბრძოდით და როგორც ხედავთ, ამას მივაღწიეთ კიდეც. ახლა, ცხადია, ჩვენი საფიქრალი თასის ფინალია.

# ბოლნისში მერანს იპოდრომი მოუწყვეს

ბოლნისი. 20 მაისი. 17 საათი. თამაზ სტეფანია. 100 მაყურებელი

## სიონი 0:3 მერანი

0:1 გაგუა (15), 0:2 ბესარაშვილი (20პ), 0:3 ნეფარიძე (76)

**სიონი:** გავაშელი, სვანიძე, ნაყოფია, გაბიძაშვილი, ებრალიძე, ოქრობირიძე, ბუბუტეიშვილი (ჩაგელიშვილი 46), ქურასბედიანი (გუგუნაშვილი 41), ზ. ჩხეტიანი, ბ. ცხადაძე (უგულავა 46), გიგინეიშვილი
სათადარიგონი: ბობლიაშვილი, ა. ალავიძე, კობაური, ვ. უგრეხელიძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**მერანი:** სეფიაშვილი, ჯანგიძე, ლ. გრიგალაშვილი, აბშილავა, კობერიძე, ნეფარიძე, ბესარაშვილი, ზედელაშვილი (ჩაჩიბაია 70), ციხკარაული (დათუნაშვილი 57), გაგუა (ჩივაძე 46), ქორიძე
სათადარიგონი: ლომიძე, კეტაშვილი, კედელაშვილი, დეისაძე
**მწვრთნელი:** ახლან ბალაძე

**გაფრთხილება:** ჩხეტიანი (48)

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი, ბ. ქიჭინაძე, ზ. ბერულავა, მ.მაისურაძე

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

**ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან**

**ყველაზე** საინტერესო ბოლოს იყო და აქედან დავიწყებთ: ნამატჩევს გიორგი ნემსაძე შევნიშნეთ და გასაუბრება ვცადეთ. ჩემი წასვლის მიზეზებზე ვერაფერს ვერ გეტყვით, ახლა რაც მინდა, ერთადერთი დასვენებააო — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა.

ბოლნისელები „მერანს" ძირითადად რეგიონულ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებით დაუხვდნენ და. თბილისელებსაც მეტი რა უნდოდათ, მე-20 წუთზევე ორბურთიანი მარაგი ჰქონდათ. ვალერი გაგუამ ჯერ საჯარიმო დარტყმით გაიტანა, შემდეგ მისივე შორიდან დარტყმული ბურთი ნაყოფიას მოხვდა ხელზე და არბიტრმა ჯუმბერ ბუიშვილმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც მიხეილ ბესარაშვილმა გამოიყენა.

30-ე წუთზე გაბიძაშვილის ფლანგიდან ჩაწოდებულს ბაჩანა ცხადაძემ ვერ დაარტყა საგოლედ. სულ ეს იყო, რაც „სიონმა" მოახერხა ამ შეხვედრაში. თბილისელებს კი თავი ქუდში ჰქონდათ და ძალიანაც არ მოუწადინებიათ. გასაკვირი ბოლნისელთა უნიათობა იყო, უმრავლესობა უმაღლეს ლიგაში პირველად თამაშობდა, მაგრამ ვერ შეატყობდით, რომ ამის სურვილი ჰქონდათ. 76-ე წუთზე თბილისელმა ლაშა ნეფარიძემ ულამაზესი გოლი გაიტანა — კარიდან 25 მეტრში მიიღო ბურთი და პირდაპირ ცხრიანში ჩაჭედა.

ასე გაინაღდა „მერანმა" მომავალი სეზონიც უმაღლესში.

რაღა სხვათა შორის და, „სიონის" მწვრთნელი კახა ცხადაძე მატჩისას საერთოდ არ გამოჩენილა.

## პლეი ოფს თამაზ სტეფანია უმასპინძლებს

როგორც შევიტყვეთ, საუმაღლესლიგო პლეი ოფი 27 ან 28 მაისს ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე" გაიმართება. უმაღლესი ლიგის მეთორმეტეადგილოსან საჩხერის „ჩიხურას" მეტოქე 23 მაისს, პირველი ლიგის ბოლო ტურში გაირკვევა: „გაგრა" ან ჭიათურის „მაღაროელი".

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პლეი ოფი კიბე არის: ვოვა ადის, მანუ ჩადის

**ევროპულ** ჩემპიონატებში საპლეიოფო ამბები დუღს და ჩვენი ზოგიერთი ლეგიონრისთვის სეზონი დასრულდა. აი, ისინი, ვინც გამოეთიშნენ თავიანთ ჩემპიონატებს — დიჟონელი ვახტანგ ნაცვლიშვილი, სანფერნანდოელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ესტუდიანტესელი ვიქტორ სანიკიძე. ამათი გუნდები პლეი ოფში ვერ გავიდნენ, თუმც ოთხი ჩვენიანი ისევ საქმეშია და ჩვენც მათ ამბებს მივყვეთ.

ყველაზე ძლიერ საკალათბურთო ლიგაში ვლადიმერ ბოისა და გაქართველებული ამერიკელი, ტაირონ ელისი გამოდიან და მათი გუნდები ჩემპიონობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან შეუდგნენ. ელისის გუნდის საჩემპიონო ამბიციებისა რა მოგახსენოთ, „ნაპოლისთვის“ პლეი ოფში გასვლაც წარმატებაა, აი, ბოისას „სიენა“ კი მართლა საოქროოდ არის მომართული და მეოთხედფინალური სერიაც მძლავრად დაიწყო.

სიენელებმა სერია A-ს რეგულარული ჩემპიონატი მოიგეს და პლეი ოფის პირველ რაუნდში შედარებით სუსტი მეტოქე ერგოთ, მერვეადგილოსანი “კანტუ“.

ბოისას გუნდმა გასულ კვირაში ორჯერ მოიგო და ნახევარფინალში გასასვლელად ერთი გამარჯვებაღა უკლია. ვოვა ორივე თამაშში გამოირჩა — პირველად, სიენელებმა „კანტუს“ 95:76 რომ მოუგეს, მან 12 წუთში 8 ქულა დააგროვა, ხოლო გუშინწინ ბოისას ანგარიშზე 7 ქულა გახლდათ 14 წუთში. მესამე მატჩი სიენაში გაიმართება.

ტაირონ ელისის „ნაპოლის“ მეტად სერიოზული მეტოქე ჰყავს — რომაული „ლოტომატიკა“, რომელსაც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დეიან ბოდიროგა წინამძღოლობს. თავის მხრივ, ნეაპოლელთა ლიდერი ელისია და ამათი პირველი დაპირისპირება რომში ბოდიროგას გამარჯვებით დასრულდა. გაქართველებულმა 13 ქულა დააგროვა, დიდმა სერბმა — 15, „რომამ“ კი იოლად, 73:57 იმარჯვა. მომდევნო მატჩი წუხელ გვიან ღამე გაიმართებოდა ნეაპოლში.

გამარჯვებით დაიწყო ნახევარფინალური სერია მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ“, თუმც გუშინწინ მეორე მატჩი წააგო და ფინალში გასვლა გაირთულა. ლიუბლიანელთა მეტოქე თანაქალაქელი „სლოვანია“, რომელიც შარშან დაძაბულ, ხუთმატჩიან ფინალში დაამარცხა.

ახლა სერია ორ მოგებამდეა და გადამწყვეტ თამაშს ოლიმპიელები საკუთარ “ტივოლი არენაზე“ გამართავენ. თუმც სათუოა მარკოიშვილის თამაში, მან მუხლსზედა კუნთი დაიზიანა და მეორე ნახევარფინალურ მატჩში არ უთამაშია.

რაც შეეხება პირველ, მოგებულ შეხვედრას, მანუჩარმა 14 წუთი ითამაშა და 6 ქულა დააგროვა. მან სწორედ ამ შეხვედრაში მიიღო ტრავმა და მოედანზე ასე ცოტა ხანი ამიტომ გაატარა.

ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში იღწვის გიორგი ცინცაძე და მისი “როკი“. პირველი შინაური შეხვედრის წაგების შემდეგ „როიკერებმა“ გუშინწინ გათანაბრება მოახერხეს, მათ დაძაბულ ბრძოლაში 75:74 დაამარცხეს დედაქალაქური ტარტუ და სერიაში ანგარიში 1:1 გახადეს.

ტარტუელები ამ შეხვედრასაც აგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე 12:1 გაქცევა მოუწყვეს ტალინელებს და ლამის უიმედო მატჩი შემოატრიალეს. ცინცაძეს ამჯერად არ უთამაშია ხუთეულში, ის სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე და საკმაოდ შედეგიანიც იყო. მან ოთხივე ორქულიანი ჩააგდო, ამას ერთი საჯარიმოც მიაყოლა და 18-წუთიანი ბურთაობა 9 ქულით გაასრულა. ის შედეგიანი იყო ფარქვეშაც და 4 მოხსნა მიითვალა, რასაც ერთი შედეგიანი გადაცემაც მოაყოლა.

ახლა საპლეიოფო სერია ტალინში გადაინაცვლებს. მესამე ფინალური შეხვედრა დღეს გაიმართება და “როკერებს“ გაფლანგული მოედნის უპირატესობა აქვთ დასაბრუნებელი.

**ირაკლი ბერტაია**

PLAYOFFS 2007

# რას დაარქმევს ლებრონი შვილს?

17 მაისი

## აღმოსავლეთი

### კლივლენდი 4:2 ნიუ ჯერსი

**ნიუ ჯერსი 72:88 კლივლენდი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (19 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), ჯეფერსონი (16), მური (14), კარტერი (11)
**კლივლენდი:** ჯეიმსი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), მარშალი (18), გუდენი (16)

კლუბი „კლივლენდ კავალიერზი“ 1970 წლიდან არსებობს და არასდროს წასულა აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალს იქით. და ის, რასაც „კავალერთა“ მრავალმა თაობებმა მხოლოდ ორჯერ მიაღწიეს, ლებრონ ჯეიმსმა სულ რაღაც 4 სეზონში შეძლო. სწორედ 4 სეზონია ლებრონი ნბა-ში და „კლივლენდშია“ და მან ამ მოკლე ხანში თითქმის პირადად გაიყვანა „კავალერია“ აღმოსავლეთის ფინალში, რომელშიც ოჰაიოელი „მხედრები“ ბოლოს 1992 წელს იყვნენ, როცა ლებრონ-ბიჭუნა 8 წლისა გახლდათ.

„დიდებული გრძნობაა — ამბობდა ის ნამატჩევს — რაც კალათბურთელი ვარ, ასეთი ბედნიერი წუთები არასდროს მქონია;“ ალბათ შემდეგ წლებში უფრო შორსაც წავა და მისი „ბედნიერების კოეფიციენტიც“ აიწევს.

ისე კი, „კლივლენდს“ გვარიანად გაუჭირდა ბოლო ნაბიჯის გადადგმა და „ნიუ ჯერსის“ სამფლობელო ისტ რეზერფორდში მეოთხე გამარჯვების მოპოვება, რაშიც მცირედი ბრალეულობა გუნდის ლიდერსაც მიუძღვის. თავიდან თითქოს ყველაფერი გეგმაზომიერად მიდიოდა — „კლივლენდმა“ საწყის მეოთხედში 32:15 დაჯაბნა თითქოსდა ხელჩაქნეული „ნიუ ჯერსი“, ხოლო ტაიმს 15-ქულიანი ლიდერობით მიადგა, მაგრამ მესამე მეოთხედში ლებრონი თითქოს გახევდაო, მოულოდნელად ორი უაზრო ჯარიმა აიკიდა, ოთხი ფოლი მოუგროვდა და მწვრთნელმა მაიკ ბრაუნმა მთელი მეოთხედით დაასკამა. სწორედ ამ მეოთხედში ულებრონო „კლივლენდს“ „ნიუ ჯერსიმ“ ისეთი გაკვეთილი ჩაუტარა, რომ მოედანზე მყოფნიც და სათადარიგოებიც უმწეო ბავშვებივით იმზირებოდნენ — ჯეისონ კიდმა და მისიანებმა ამ პერიოდში მხოლოდ 8 ქულა ჩააგდებინეს „კლივლენდს“ და პლეი ოფების ანტირეკორდს, 6 ქულას მიაახლოვეს, რომელიც 1986 წელს „ატლანტამ“ „დაამყარა“ „ბოსტონთან“. „კლივლენდმა“ ეს პერიოდი 8:22 დათმო და 15 ქულით ჩამორჩენილი მეტოქე სულ ახლოს — მიუშვა 60:61.

ბოლო მეოთხედში ჯეიმსი კი დაბრუნდა მოედანზე და ჩვეულადაც დატრიალდა, მაგრამ გუნდი უფსკრულის პირს სათადარიგოებმა მოაცილეს. დონიელ მარშალმა და დანიელ გობრონმა თითო სამქულიანი გაისროლეს და 70:63 წასწიეს „კავალიერზი“. ახლა ორივეს ერთად 26 ქულა მოუგროვდათ, მაშინ როცა წინა ხუთ თამაშში ჰქონდათ ჯამში ამდენივე.

რაც შეეხება ლებრონს, ჟურნალისტები ისე როგორ გაუშვებდნენ და, ისიც ჰკითხეს, იმ მომენტში რაზე ფიქრობდი, ჯარიმებს რომ იღებდი, აშკარად სხვაგან ქროდა შენი გონებაო... შეიძლება ჯერ არგაჩენილ შვილზე და მისთვის ჯერ არმოფიქრებულ სახელზე ფიქრობდა, რომელსაც ის და მისი გელფრენდი ერთ თვეში ელიან. ჯეიმსის მეგობარი გოგონა წინა დღეს შეუძლოთ ყოფილა და საავადმყოფოში გაუქანებიათ.

# არავითარი მაგრამ

## სან ანტონიომ ფინიქსი დაამაგრა

## დასავლეთი

### ფინიქსი 2:4 სან ანტონიო

**სან ანტონიო 114:106 ფინიქსი**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (33 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა), პარკერი (30), დანკანი (24 ქულა, 13 მოხსნა, 9 დაფარება), ფინლი (11)
**ფინიქსი:** სტუდემაიერი (38 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), ნეში (18 ქულა, 14 პასი, 6 მოხსნა), ბარბოსა (13), ბელი (13), მერიონი (11 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება)

ბოლო მეოთხედი 81:67 ანგარიშით იწყება — „სან ანტონიო“ იგებს და არც ერთ სანანტონიოელს ეჭვიც არ ეპარება, რომ თამაში მასპინძელთავე უპირატესობით დამთავრდება. მანუ ჯინობილი სამიანსაც აგდებს, ოდნავ მოგვიანებით კი კალათში ორიანსაც აჭედებს და მისი „სფურზი“ უკვე 20 ქულითაა წინ — 92:72. ეს უკვე მოგებაა და შემდეგ ეტაპზე ფიქრიც გიტრიალდება თავში — რამდენ თამაშში მოვუგებთ „იუტას“?

მაგრამ ბოდიში, ჯერ „ფინიქსთან“ რომ იყო საქმე მოსამთავრებელი, ეს სტივ ნეშმა დაანახვა სანანტონიოელებს. მის თამაშს სილის ეფექტი ჰქონდა. ერთი, მეორე, მესამე... მანამდე სულ 3 ქულა რომ ჩაეგდო, ნეში ახლა გადაირია, ჩანს, სერიის ასე დათმობა იუკადრისა, ბოლომდე გაიბრძოლა და... 20:7 მოგებული მონაკვეთის შემდეგ „ფინიქსს“ თამაშის გადარჩენის შანსი მიეცა. კანადელი გამთამაშებლის კიდევ ერთი სამიანი და „ფინიქსი“ 99:105-ლა აგებს. საფინალო სირენამდე წუთზე მეტი რჩებოდა და სხვაობა კიდევ უფრო შემცირდა — 101:106. მაგრამ „ფინიქსს“ დრო აღარ ჰყოფნის, 17 წამში ვეღარ ახერხებს ამ უზარმაზარი სათამაშო უპირატესობის გამარჯვებად ქცევას. „სან ანტონიო“ იგებს და ბოლო ხუთ წელიწადში მესამედ გადის დასავლეთის ფინალში, სადაც „იუტასთან“ თამაში მოუწევს. სხვათა შორის, პოპოვიჩის გუნდმა წინა ორ ჯერზე (2003, 05) გაიარა დასავლეთის ფინალი და საჩემპიონო ჯახიც მოიგო.

აქეთ კი დამწუხრებული ფინიქსელები დარჩნენ. სტივ ნეშის ეპოქაში მათ საჩემპიონო გუნდი ჰქვიათ, მაგრამ...

ნეშმა, ნბა-ს ყველაზე თუ არა, ერთ-ერთმა ყველაზე გონიერმა მოთამაშემ უკვე მესამე სეზონი დაასრულა ოხვრით. წინა ორში მას დასავლეთის ფინალში გადაუღობეს გზა — ჯერ „სან ანტონიომ“, მერე კი „დალასმა“.

„რა შემიძლია ვთქვა? ერთის მხრივ მინდა, მოგებულ გუნდს ქუდი მოვუხადო და პატივი მივაგო. „სან ანტონიო“ ძლიერი გუნდია და თავისი სიძლიერით დაიმსახურა იქ ყოფნა, სადაც ახლა არის. მაგრამ მეორეს მხრივ შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარადაც ყოფილიყო, შეიძლებოდა ჩვენ ვყოფილიყავით მის ადგილზე. მიჭირს რამეს ახსნა. ძალიან ძნელია სეზონის ასე დამთავრება.“



მანუ ჯინობილის „სან ანტონიომ“ პლეი ოფს „ფინიქსი“ გამოაკლო

ნეში ალბათ, მის გამო ოხრავს, რომ სერიის მეოთხე თამაშში აყალმაყალმა მეხუთე თამაშისთვის ამარე სტუდემაიერი და ბორის დიაუ „მოსტაცა“. მეექვსე შეხვედრაში მობრუნებულმა სტუდემაიერმა მოედანზე სული, გული და 32 ქულა დადო თავისი 12 მოხსნით და 4 დაფარებით, მაგრამ...

„სან ანტონიოს“ კი ყველა „მაგრამ“ უკან დარჩა, „ფინიქსი“ ჩამოიშორა, „დალასი“ მანამდე გავარდა, „იუტა“ კი მისი გაქანების მეტოქედ არ ჩანს.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო

# კაიო ამაზე გაჩერდა

კოკუგიკანური ბაშოს რვა დღე მიილია და ქართველი სუმოისტის, კოკაიდ წოდებული ლევან ცაგურიას ანგარიშზე მხოლოდ ერთი გამარჯვებაა. ზედიზედ ექვსი წაგების შემდეგ „შავმა ზღვამ“ მეშვიდე ტურში კოტოსეგიკუ დაჯაბნა, მაგრამ მერე კოტომიცუკისთან დამარცხდა და ახლა, დადებითი ბალანსის, ანუ კატიკოსის მისაღწევად შეიდივე დარჩენილი ორთაბრძოლის მოგება მართებს.

იმპერატორის თასისკენ ოთხი დაუმარცხებელი სევიტორი მიიწევს — იოკოძუნა ასასიორიუ, ოძეკი და იოკოძუნობის კანდიდატი ხაკუხო და რიგითი მაეგაშირები — დეჟიმა და ფუტენო. უძლეველთა სიას გუშინ ვეტერანი ოძეკი კაიო გამოაკლდა, ვინც უმაღლესი დივიზიონის უმსუბუქეს სუმოისტთან, ამასთან დამარცხდა.

კაიოს გარდა შვიდ-შვიდი გამარჯვება აქვთ ბულგარელ კოტოოსიუს, ტიეტაიკაის, კოტომიცუკისა და ასასეკირიუს.

დღეს, მეცხრე ტურში, კოკაი სამმოგებიან კაკურიუს ხვდება. ლიდერებიდან ასასიორიუ ამას დაეჭიდება, ხაკუხო — ტოიონოსიმას, ფუტენო — მიიაბიამას, დეჟიმა — როხოს, კაიო — კისენოსატოს, კოტოოსიუ — ამინისიკის, ტიეტაიკაი — ჰომასიუს, კოტომიცუკი — ტოჩიოძანს, ხოლო ასასეკირიუ — ტაკამისაკარის.

ხელბურთი

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
### კაცები. ფინალი. საპასუხო მატჩი

# სტუ ჩვიდმეტგზის ჩემპიონია!

19 მაისი

არმიის სპორტული კლუბის დარბაზი

**თბილისი 30:25 *სტუ-თელავი* (29:35)**

თბილისი: ანდრიაძე, სეთურიძე, წივწივაძე (გაიტანა 7 გოლი), ფარაჯევი (7), ქირია (4), ფორაქიშვილი (3), გელაშვილი (3), ლალანიძე (3), სამარლანიშვილი (1), ნატროშივილი (1), გრიშიკაშვილი (1), ოსიყმაშვილი, ქუთათელაძე

სტუ-თელავი: სამყურაშვილი, მსხვილიძე (10), ტალახაძე (5), ამირან ყიფიანი (3), ქობელაშვილი (2), ნიკოლაიშვილი (2), ბერძენიშვილი (1), მამია კობახიძე (1), გიორგი კობახიძე (1), სიგუა; ომარ ყიფიანი, ირაკლი ჩიქოვანი, გიორგი ჩიქოვანი, გოგალაძე

მსაჯები: ელენე არაბული, ნინო ელოშვილი

დელეგატი: მერაბ მეტრეველი



ჭადრაკი

## M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

# გატამ ლიდერი გაიტანა

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) | 0:1 | გატა კამსკი (აშშ) |

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) |

**ბოლო** ორ ტურში გატა კამსკიმ 1,5 ქულა დააგროვა და ბოლო ადგილიდან მეორეზე აინაცვლა. ამერიკელმა მეშვიდე ტურში დიდი სენსაცია მოახდინა. შავი ფიგურებით ლიდერი კრიშნან საშიკირანი დაამარცხა და მასთან ჩამორჩენა ნახევარ ქულამდე შეამცირა.

მეცხრე ტურში კამსკი ვესელინ ტოპალოვს დაუპირისპირდა, 51 სვლა ებრძოლა და საბოლოოდ ყაიმს გამორჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. კრიშნან საშიკირანი | 5,0 | 4. ვესელინ ტოპალოვი | 4,5 |
| 2. გატა კამსკი | 4,5 | 5. ლივიუ-დიტერ ნისინიანუ | 4,5 |
| 3. შაჰრიარ მამედიაროვი | 4,5 | 6. მაიკლ ადამსი | 4,0 |

ჩოგბურთი



# მუშტივით მუხტი
## ფედერერმა ნადალი თიხაში აზილა

**მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი**
საპრიზო 2 200 000 $

**ნახევარფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — კარლს მოია (ესპანეთი) 4:6 6:4 6:2; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (16, ავსტრალია) 2:6 6:3 7:5

**ფინალი**

ფედერერი — ნადალი 2:6 6:2 6:0

**ქალები. რომი. იტალია. თიხნარი**
საპრიზო 1 340 000 $

**ნახევარფინალი**

სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (9, სლოვაკეთი) 6:4 6:2; ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) — პატი შნიდერი (14, შვეიცარია) 6:1 6:3

**ფინალი**

ელენა იანკოვიჩი — სვეტლანა კუზნეცოვა 7:5 6:1

**ფესი. მაროკო. თიხნარი**
საპრიზო 145 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:3 4:4 (უარი); მილაგროს სექუერა (ვენესუელა) — იოანა ოლარუ (რუმინეთი) 0:6 6:2 7:6

**ფინალი**

მილაგროს სექუერა — ალექსანდრა ვოზნიაკი 6:1 6:3

**როჯერ ფედერერმა** როგორც იქნა, ნავსი გატეხა და რაფაელ ნადალს თიხნარზე მოუგო, რითაც ბოლო მოუღო ესპანელის ამ საფარზე ზედიზედ მოგებული მატჩების სუპერსერიას და ის 81-ეზე შეწყვიტა. დიადმა ალპელმა შური იძია ორწლიანი წვალებისთვის და ყველა იმ დამცირებისთვის, რაც ესპანელისგან არ მოჰკლებია უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში — ხუმრობა ხომ არ არის, თანამედროვე ჩოგბურთის უპირობო დომინანტს, რომელიც ყველას იოლად უსწორდებოდა, რამდენჯერ წაუტეხია ცხვირი ამ ესპანელ ბიჭთან. ჰოდა, რა აღარ გამოუგონეს „მხიარულ როჯერს“ — ნადალის კომპლექსი აქვსო, ნადალის ეშინიაო, თიხნარზე არაფრის მაქნისიაო და ამნაირები.

მერე და ვინ იტყვის, რომ ამ ქილიკის საფუძველი არ არსებობდა. პირად შეხვედრებში ფედერერი ესპანელთან 3:6-ს აგებდა, თიხნარზე კი სულაც კატასტროფული მდგომარეობა იყო — შვეიცარიელს ნადლათან 5-დან 5-ჯერვე წაეგო. არადა, შარშან ძალიან ახლოს იყო ალპელი ამ წყევლის მოხსნისგან — ჯერ რომის მასტერსის ფინალში ორი მატჩ-პოინტი ჰქონდა და გაანიავა, მერე კი „როლან გაროსის“ გადამწყვეტ მატჩში თითქოსდა ყველაფერს აკონტროლებდა და სეტითაც წინ იყო, მაგრამ შემდეგ ბრინჯივით დაიბნა და ნადალს მაინც გაამარჯვებინა.

ესპანელმა წელსაც გაამწარა „მხიარული როჯერი“ — ეს ამბავი სამიოდ კვირის წინ, მონტე კარლოს თიხნარზე მოხდა და მაშინ სულაც აიკლეს შვეიცარიელი, გრუნტზე ესპანელს ნუღარ ეთამაშები, ხომ ხედავ, აგებო.

ჰოდა, ამ სიტუაციაში ვინ ელოდა ფედერერის ჰამბურგულ წარმატებას? ალბათ არავინ. თავად როჯერის გარდა. რატომ? იმიტომ რომ ბოლო პერიოდში ფედერერი ვერ იყო თავის იშტაზე, ხოლო როცა თითქოსდა უმიზეზოდ დაშორდა მწვრთნელ ტონი როუჩს, აიჭრაო თქვეს. მაგრამ ფედერერი მაინც ფედერერია და როცა დასჭირდა, სწორედ მაშინ გაიხსენა და სხვებსაც გაახსენა თავისი სიდიადე.

ფინალის წინ როჯერმა განაცხადა: „ნადალის დამარცხება შეიძლება და თუ მოვახერხე, ეს „როლან გაროსის“ წინ უდიდესი ფსიქოლოგიური მუხტი იქნება“.

სწორედ ამ მუხტისთვის საბრძოლველად გავიდა გუშინ ფედერერი ჰამბურგის კორტზე და ალბათ სწორედ ამ ფანტასტიკური განწყობის ხარჯზე იმარჯვა.

საკუთრივ ფინალი კი ისე დაიწყო, რომ ბევრს ღიმილი მოჰგვარა. ნადალი ისევ ანადგურებდა მეტოქეს და პირველი სეტი იოლადაც მოიგო, მაგრამ მერე რაღაც მოხდა — ჩანს, რაფამ აშკარად გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები, გერმანიაში სათამაშოდ ჩასვლა რომ გადაწყვიტა. აქამდე ესპანელი ვარსკვლავბიჭუნა ამას ერიდებოდა ხოლმე, მაგრამ წლეულს სამივე სათიხნარო მასტერსის მოგება ჩაიდო გულში და, ეტყობა, ფიზიკურად ველარ გაუძლო ამდენ დატვირთვას. სხვა მხრივ ძნელად ასახსნელია ჰამბურგში დატრიალებული ამბები. მეორე სეტი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და მეტოქეებმა გეიმები გაცვალეს. აქ კი ესპანელისგან თითქოს ორთქლი გამოუშვეს და ისიც დადგა — მომდევნო 12 გეიმიდან 11 ფედერერმა მოიგო და თავის კრიტიკოსებს პირზე შეაყინა ირონიული ღიმილი.

ასე რომ, ფედერერმა ერთი წყევლა მოიხსნა და ახლა მეორელა დარჩა დასაძლევი — თავისი დიდი მიზანი უნდა აისრულოს, „როლან გაროსი“ მოიგოს და წლეულს პარიზში იხეთი მოტივაციითა და თვითრწმენით ჩავა, როგორც არასდროს. რაც შეეხება ნადალს, იმედი ვიქონიოთ, რომ ესპანელს სერიოზული არაფერი მოსვლია და ამ ერთ კვირაში საპარიზო სლემტურნირისთვის მოასწრებს ფეხზე დადგომას, რაც იქაურ ბატალიებს დამატებით ხიბლს შემატებს.

**კახა ლომჯარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი წრე. მეორე ტური

# ...და რა ქალი, რაგბის ქალი!



**არმაზი 70:24 ყოჩები**

არმაზი: ლამბაშიძე, სოსელია, ლეფსვერიძე, ჯიშკარიანი, მელიქიძე, ჭელიძე, კანდელაკი, ცირეკიძე, მჟავანაძე, ძნელაძე, ჯავარაშვილი, გეთიაშვილი, კაიფაჯXიანი, მინაშვილი, ჩხაიძე

შეცვლაზე შევიდნენ: მაჭარაძე, ლუკავა, ურჯუკაშვილი, მაისურაძე

1ლ: ცირეკიძე, 1გ: ურჯუკაშვილი

ყოჩები: ასეიშვილი, მეტრეველი, შეყლაშვილი, მეკაშვილი, არჩვაშვილი, თოთაძე, კუჭუხიძე, დგებუაძე, ხელაძე, კობახიძე, ქუშაშვილი, ბრეგვაძე, მჟავანაძე, კალმახელიძე, დადაშიანი

შეცვლაზე შევიდნენ: კიკნაველიძე, მახარაშვილი

1ლ: შეყლაშვილი, 1ლ: კობახიძე, 1ლ: მაზარაშვილი, 3გ: კობახიძე, 1ს: კობახიძე

**თსუ 15:40 ლოკომოტივი**

თსუ: დანაძე, ქორიძე, ალადაშვილი, გუჭარაიძე, სურგულაძე, კილასონია, ტურაშვილი, მჭედლიძე, ნადარეიშვილი, ბაირამაშვილი, კიკვიძე, ნუცუბიძე, კუპრეიშვილი, ა. ტურაშვილი, ნიკლაური

შეცვლაზე შევიდნენ: კაკვინი, ფერაძე, მასხარაშვილი, მელქაძე

1ლ: ნუცუბიძე, 1ლ: კიკვიძე, 1გ: ბაირამაშვილი, 1ს: ბაირამაშვილი

ლოკომოტივი: ნიშნიანიძე, ტურაშვილი, ბერიაშვილი, კახიანი, მთიულიშვილი, ყურაშვილი, მგელაძე, მაისურაძე, ლვინჯილია, კვინიხიძე, ანდღულაძე, ხაჩიაშვილი, ქვათაძე, ჩხეიძე, უდესიანი

შეცვლაზე შევიდნენ: მზარეულაშვილი, წეველიძე, ჯაველიძე

1ლ: კახიანი, 1ლ: მაისურაძე, 1ლ: ხაჩიაშვილი, 1ლ: ჩხეიძე, 1ლ: უდესიანი, 4გ: კვინიხიძე, 1გ: ქვათაძე

**ლელო 38:17 დინამო**

ლელო: სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე, მძინარიშვილი, ჯამრჯლიძე, ახალაია, თოფურია, ხმალაძე, ცერცვაძე, მანჯავიძე, ქიზიყურაშვილი, ზაალიშვილი, ყიასაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ცხაკაია, ჯოგლიძე, კორკელია, ფურცელაძე, კობეშავიძე, დაუშვილი, რცხილაძე

1ლ: თოფურია, 2ლ: ხმალაძე, 2ლ: ცერცვაძე, 1ლ: დაუშვილი, 3გ: უიასაშვილი, 1გ: ჯოგლიძე

დინამო: გაგიშვილი, მურვანიძე, მირცხულავა, ჭიჭინაძე, მეიშვილი, რამიშვილი, ხორბალაძე, აზალაძე, ჯეირანაშვილი, ლირსიაშვილი, გრუდკო, ხვიჩია, მაისურაძე, შიოშვილი, ოდიშარია

შეცვლაზე შევიდნენ: გრძელიშვილი, გაგნიძე, კრუპი, გაგუა, ზაქარეიშვილი, ანდრესოვი, ცაბაძე

1ლ: აზალაძე, 1ლ: ჯეირანაშვილი, 1ს: შიოშვილი, 2გ: ოდიშარია

„სასტავი გეთამაშება, არბიტრი გეთამაშება, რაფერ გინდა, აბა" — გაამხნევა მსაჯზე გულმოსულმა ქალბატონმა თსუ-ს ერთ-ერთი მორაგბე, მაგრამ, მიუხედავად გულშემატკივრების მხარდაჭერისა, „ლოკომოტივმა" თსუ კლასის ხარჯზე ადვილად დაამარცხა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი" ახლაც აშკარა ფავორიტია და ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე გუნდმა რკინიგზელებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. სტუდენტების მარცხი კვინიხიძის მშვენიერი დაფარებით დაიწყო, რასაც პირველი ლელო მოჰყვა თსუ-ს ჩათვლის მოედანზე. თამაშის მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და მოსაყოლიც ბევრი არაფერია, უბრალოდ, თსუ-ს 11 ნომერი კიკვიძე გამოვყოთ, რომელიც აშკარად ნიჭიერი მოთამაშეა და მომავალში იქნებ ნაკრების მაისურაც მოირგოს.

„არმაზმა" ისევ წააგო, ამჯერად „ყოჩებთან". არადა, მატჩის დასაწყისისთვის მცხეთელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, ბურთსაც ხშირად აკონტროლებდნენ და რამდენჯერმე ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ შეტევაში დაშვებული შეცდომების და „ყოჩების" სწრაფი კონტრშეტევების გამო „არმაზი" უშანსოდ დარჩა.

პირველ ტურში ერთი ქულით წამგებმა „ლელომ" კი ოთხში ამოიღო „დინამო", კომბინაციებით და ეფექტური გარღვევებით პირველ ტაიმშივე სერიოზული უპირატესობა მოიპოვა და თამაშის გამარჯვებამდე მიყვანაც აღარ გასჭირვებია. ანგარიში უფრო სოლიდურიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ „ლელო" შეხვედრის ბოლოს მოეშვა, რითაც „დინამომ" ისარგებლა და ტაიმის ბოლოს მოწინააღმდეგე დაალელოვა. მომავალ უქმეებზე „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე „დინამო"-„ყოჩების", თსუ-„არმაზის" და „ლელო"-„ლოკომოტივის" ჯახებია და იმედია, ქართულ რაგბში ჩახედული მანდილოსნების გულშემატკივრობა არც ერთ გუნდს არ მოაკლდება.

**ზურაბ მიგრიაული**

ძიუდო

# ნესტორის რუმინული ტორი
## მსუბუქ ქართველს მძიმე ხელი აქვს

**ამ უქმეებზე** ძიუდოისტთა ნაკრები რუმინეთის დედაქალაქს სტუმრობდა, სადაც მსოფლიოს თასი გაიმართა. ეს ტურნირი უკანასკნელი იყო, რომელზეც სარეიტინგო ქულების მოპოვება შეიძლებოდა მსოფლიოს ჩემპიონატამდე. მსოფლიოს ჩემპიონას კი სექტემბერში რიო დე ჟანეირო მასპინძლობს.

შოთა ხაბარელის გუნდი რუმინეთში 10 ძიუდოისტით ჩავიდა — ყველა წონაში ორ-ორი მოჭიდავით. რატომღაც 66 და 73 კილოგრამში ქართველებს კანდიდატი არ ჰყოლიათ. დარჩენილ 5 წონაში გამოსულმა ათმა ქართველმა ოთხი მედალი მოიპოვა — ერთი ოქრო და სამიც ბრინჯაო.

ტურნირის პირველ დღეს სამ მსუბუქ წონაში გათამაშდა მედლები და ქართველებმა პირველივე ცდაზე ოქრო მიონაგრეს. მრავალნაცადმა ნესტორ ხერგიანმა 60 კილოგრამიანებში კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი, ყველა მეტოქე დასცა და ვინ იცის, მერამდენე ტურნირი დაასრულა კვარცხლბეკის მწვერვალზე. ამავე წონაში ჭიდაობდა ვახტანგ ხოსიტაშვილი, რომელმაც ორი წრის გავლის შემდეგ ლიტველ ალბერტ ტეჩოვთან წააგო და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ანუ რეპეშაჟში გადაერთო. მაგრამ ქართველს იქაც ყოფილმა მოძმე რესპუბლიკელმა, უკრაინელმა გრიგორი ზანტარიამ აჯობა.

66 და 73 კილოგრამში, ზემოთაც მოგახსენეთ, ქართველებს არავინ ჰყავდათ და პირველ დღეს ერთი ოქრო დარჩათ.

მეორე დღეს ანუ გუშინ ოთხი წონის რვა ქართველმა სცადა ბედი და მათგან სამმა მედალს გამოჰკრა ხელი. 81 კილოგრამში ხაბარელმა ბუქარესტში საბა გავაშელიშვილი და გიორგი ბაინდურაშვილი იახლა და ორივემ გაუმართლა. მართალია, საბაც და გიორგიც ორი წრის გავლის შემდეგ მეოთხედფინალში დამარცხდნენ — ბაინდურაშვილს ბულგარელმა სიარჰეი შუნძიკოვმა აჯობა, ხოლო გავაშელიშვილს გერმანელმა ოლე ბიშოფმა — მაგრამ რეპეშაჟში ორივემ ბოლომდე იყოჩაღა და ორი ბრინჯაო შემატა საერთო გუნდურ მონაგარს.

90 კილოგრამი: ამ წონაში ქართულ ძიუდოს ორი მძლავრი მოჭიდავე ჰყავს — ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური და ოლიმპიადის შემდგომ პერიოდში კერკეტი ძიუდოისტის სახელის დამგდები ირაკლი ცირეკიძე. ბუქარესტში ორივეს მიეცა შანსი, რომელიც ცირეკიძემ გამოიყენა და ბრინჯაოდ აქცია. ხოლო ზვიადაური ტატამზე არ გასულა, შესაძლოა, ტრავმის გამო.

ირაკლი ცირეკიძემ ძირითად ბადეში 81-კილოგრამის ბრინჯაოსნებზე ერთი საფეხურით წინ წასვლა მოახერხა — ნახევარფინალში გავიდა და იქ ბელარუს ანდრეი კაზუსიონაკისთვისაც რომ მოეგო, ფინალში ჩვენებური ჯარჯი ზვიადაურის, ბერძნებისთვის კი ილიას ილიადისის პირისპირ დადგებოდა (ჯარჯიმ მოიგო ფინალი). მაგრამ ირაკლიმ წააგო ნახევარფინალი, შემდეგ კი რეპეშაჟში სამესამეადგილო ბრძოლა უგამოცდილეს ესპანელ დავით ალარზას მოუგო და ბრინჯაოც მოიპოვა.

100 კილოგრამში შოთა ხაბარელს ჰყავს ნიჭიერი და პერსპექტიული შეგირდები, მაგრამ ისინი ჯერ კონტინენტზე ვერ ფავორიტობენ და ჯერჯერობით ამ წონაშიც ნაკლებად ჩანს მედლები. ლევან რაზმაძეს არ გაუმართლა და პირველივე მეტოქედ ჰოლანდიელი ვარსკვლავი ვან დერ გესტი შეხვდა. ლევანმა წააგო და მერე რეპეშაჟში ბრძოლის იმედიც დაკარგა, რაკილა შემდეგ ეტაპზე გესტიც გამოეთიშა ბრძოლას. ამ წონაში მეორე ჩვენებურმა ნოდარ მეტრეველმა ორი მეტოქე ჩამოიცილა, მაგრამ მეოთხედფინალში პოლონელ პრჟემისლავ მატიაჟეკთან დამარცხდა და რეპეშაჟში პირველივე შემხვედრ ჰოლანდიელ ვან ლიიუვაარდესთან წააგო.

მძიმე წონაში მედლის კარგი შანსი ჰქონდათ ადამ ოქრუაშვილსაც და ზვიად ხანჯალიაშვილსაც. ორივე ძირითადი ბადის ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ეს ბარიერი ვერც ერთმა ვერ გადალახა. რეპეშაჟის ფინალშიც კი ორივე დამარცხდა, ასე რომ, ამ წონაში კარგად დაწყებული სვლა უშედეგოდ (უმედლოდ) დასრულდა.

**ირაკლი ფირაყშვილი**




ნესტორ ხერგიანმა რუმინეთში ყველა ყირაზე ატარა

# ქართული ჰოკეი მეცხრე თვეშია

## ცოტა ხანში ყინულის მეფეები დაიბადებიან

**ქართული** ჰოკეის დაბადების დღე შორს არ არის — ცოტა ხანში ყვანჯმომარჯვებული ქართველები ქართულ ყინულზე გასრიალდებიან და...

საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი დენის დავიდოვი ჩემპიონატის დაწყების ზუსტ თარიღს ჯერჯერობით ვერ ასახელებს, თუმცა იმას კი ირწმუნება, რომ ქართველებისთვის ეს, ცოტა უცხო სპორტის სახეობა წლეულს აუცილებლად გაშლის ყვანჯებს.

„ჩემპიონატს წლეულს აუცილებლად დავიწყებთ. სამწუხაროდ, ყინულის მოედნებით განებივრებულები არ ვართ და ამიტომ ტურნირი, ასე ვთქვათ, მინი-ჰოკეის ფორმატისა იქნება: მეკარეებიანად ოთხი ოთხზე. ჩემპიონატში ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას — „მიმინო", „ყინულის მეფეები", „ცეცხლოვანი ჯვაროსნები" და „რუხი მგლები" — განაცხადა დენის დავიდოვმა — 2008 წლის იანვარში კი ბაკურიანში პლეი ოფი გაიმართება და სწორედ იქ გაირკვევა საქართველოს პირველი ჩემპიონის ვინაობა".

ქართული ჰოკეის მამები ეროვნულ ჩემპიონატს ხომ ჩაატარებენ და მომდევნო იერიში საერთაშორისო იქნება — აი, თურმე სად არის დამარხული შაიბა...

„ჩემპიონატის ჩატარება იმის წინაპირობაა, რომ განაცხადი შევიტანოთ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციაში გასაწევრიანებლად. შესაბამისად, 2008 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში თამაშის უფლებას მოგვცემენ. იქ, სადაც უკვე თამაშობენ სომხეთი, თურქეთი, მექსიკა, ლუქსემბურგი და სამხრეთ აფრიკა" — ამბობს დავიდოვი.

ასე რომ, იმედით, ქართული ყვანჯის მოქნევამდე...

**ბახა ზალამბერიძე**

## პლეი ოფი. ნახევარფინალი

# შვედი სენატორის სიტყვა

## ბუფალო კანადიდან დაისეტყვა

### ალმოსავლეთი

**ბუფალო 1:4 ოტავა**

**მეხუთე მატჩი**

**ბუფალო 2:3 ოტავა**

*0:0 1:2 1:0 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 ხეხტი (25, პომინვილი, ბრიარი), 1:1 ჰიტლი (36, სპეცა, რადენი), 1:2 სპეცა (40, ალფრედსონი, ჰიტლი), 2:2 აფინოგენოვი (51, უმრ. ბრიარი, ვანეკი), 2:3 ალფრედსონი (70, ჰიტლი, მესაროში)

„ოტავამ" თავისი ახალი, 15-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად უწია სტენლის თასის ფინალს და ეს ბრწყინვალე სტილში, თავისთვის ჩვეული შემტევი და აგრესიული ჰოკეით მოახერხა, რაც ბოლო პერიოდში დაცვაზე ორიენტირებულ ნჰლ-ში ერთიორად დასაფასებელია. „სენატორებმა", ყველა პროგნოზის საპირისპიროდ, პირწმინდად დაჯაბნეს სეზონის საუკეთესო გუნდად მიჩნეული „ბუფალო" და სერია ძალიან დამაჯერებლად მოიგეს.

„ბუფალომ" ვერ მოახდინა სასწაული და 0:3 ვერ ამოქაჩა. ისე, ამის ცოტას თუ სჯეროდა და ერთადერთი ოპტიმისტი, ალბათ მხოლოდ „ხმლების" დამრიგებელი ლინდი რაფი თუ იყო. ეს კი იმიტომ, რომ ამ სერიაში კანადური გუნდი ერთი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეზე — „სენტორების" კარგად ორგანიზებულ, დისციპლინირებულ და მუდმივად შეტევაზე მომართულ მანქანას ამერიკულმა გუნდმა რეალური ვერაფერი დაუპირისპირა და ყველას, ძირითადად ქაოტური თამაშით თუ დაამახსოვრა თავი.

სამიოდ დღის წინ კანადის დედაქალაქში მოგებისა და სერიაში პირველი გამარჯვების შემდეგ „ბუფალო" საკუთარ ყინულზე ჩამორჩენის მინიმუმამდე დაყვანის მწველი სურვილით შეპყრობილი გავიდა, მაგრამ „ხმლებს" ამ პლეი ოფში „ოტავასთან" სახლში გამარჯვება არ ეწერათ. „სენატორებმა" საქმის შორს გადატანა არ ინდომეს და საქმე ამერიკაშივე მოათავეს. კანადელებმა მეტ-ნაკლებად იოლად გაუძლეს მასპინძელთა საწყისს შტურმს და მხოლოდ ერთშაიბიანი დეფიციტით გამოძვრნენ. შემდეგ კი თვითონაც შეუტიეს და მალევე დაწინაურდნენ. თავი ისევ და ისევ „ოტავას" მთავარმა დამრტყმელმა სამეულმა გამოიდო — ჯეისონ სპეცას, დენი ჰიტლისა და დანიელ ალფრედსონს წლევანდელ პლეი ოფში ვერავინ უმკლავდება და მათ „ბუფალომაც" ვერაფერი მოუხერხა.

ამერიკელებმა აგონია ცოტა ხნით მაინც გაიხანგრძლივეს და საქმე ოვერტაიმამდე მიიყვანეს, მაგრამ აქ თავი ისევ ზემოთ ხსენებულმა სამეულმა გამოიჩინა, კერძოდ კი,



დანიელ ალფრედსონის (მარცხნივ) ამ დარტყმამ „ოტავა" ფინალში შეიყვანა

AFP ბუფალო

კანადელთა შვედმა კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა, რომელმაც მიმდინარე პლეი ოფში გატანილი უკვე მე-9 შაიბით თავის გუნდს ფინალის საგზური გაუნაღდა.

„რაღაც არარეალური შეგრძნებაა. ჯერ ვერც ვხვდებით, რას მივაღწიეთ, თუმც საამისოდ ბევრი ვიშრომეთ და დავიმსახურეთ ფინალში თამაში. „ბუფალოს" მართლაც დიდი წელი ჰქონდა, მაგრამ უბრალოდ, ცუდ დროს გადაგვეყარნენ" — ჩვეულად კორექტული იყო ნამატჩევს ალფრედსონი, რომელსაც შანსი აქვს, გახდეს პირველი ევროპელი კაპიტანი, ვინც ნჰლ-ის გუნდს სტენლის თასს მოაგებინებს.

„რა მეთქმის, „ალფი" ჩვენი უპირობო ლიდერია, ყოველთვის იყო და მომავალშიც მისი დიდი იმედი გვაქვს. თან ძალიან კარგია, გადამწყვეტი შაიბები მას რომ გააქვს — თითქოს ბედი ასაჩუქრებს თავისი თვისებებისთვის" — ალფრთოვანებული იყო ნამატჩევს თავისი კაპიტნით ჯეისონ სპეცა.

**ბახა ლომაშვილი**



# ამერიკა თასს თასამდე კარგავს

**ბევრი** არ ელოდა ამას, მაგრამ ფაქტია: „ბმვ ორეიკლი" ნაადრევად ხდება წყლიდან ამოსაღები. ამერიკული სუპერიახტის წლიური ბიუჯეტი 100 მილიონ დოლარს აჭარბებს და, ცხადია, მის გემბანზე ეკიპაჟიც ისეთი შეყრილა, ჩემპიონობა რომ როს სურს, მაგრამ ნაოსნობა, ისევე, როგორც თანამედროვე სპორტის სახეობათა დიდი ნაწილი, ამოუცნობი და ძნელად პროგნოზირებადი რამაა, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ვალენსიის წყლებში, სადაც ლუი ვუტონის თასის ნახევარფინალური შეჯიბრებები იმართება.

უფრო და უფრო სტკივათ ამერიკელებს ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპის ბოლო გაცურვაში ძირძველ კონკურენტ ახალზელანდიელებთან მარცხი. მაშინ რომ მოეგოთ, ნახევარფინალში იოლ მეტოქეს აირჩევდნენ. ახალზელანდიელებთან მარცხის შემდეგ კი ჯგუფში პირველი ადგილი და ნახევარფინალური მეტოქის შერჩევის უფლება მათ გადაულოცეს, თავად კი მეორე ნახევარფინალურ ჯახში უგამოცდილესი იტალიური „ლუნა როსა" ერგოთ და აი — „ბმვ ორეიკლი" „ლუნა როსასთან" 1:4 აგებს, სერია კი ხუთ მოგებამდეა და ამერიკელები გავარდნის საფრთხეს თვალებში ჩასცქერიან.




იტალიელებმა ამერიკული სუპერიახტა „ბმვ ორეიკლი" ჰორიზონტს მიაფარეს

პარასკევს ამერიკელები სერიოზულად განეწყვნენ — ისინი პირველი სამი გაცურვის შემდეგ 1:2 აგებდნენ და აუცილებლად ასასურლებნლ მიზნად დაისახეს გამარჯვება და ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ არც იტალიელები იყვნენ სპაგეტის ჭამით გართულნი. მათმა მეიალქნემ პირველივე გზაზე პირქარში აფრების გონივრული ხმარებით 13 წამი მოაგებქინა „ლუნა როსას" და მეორე წრეზე ეს იახტა უკვე თითქმის 3 კილომეტრითაც უსწრებდა „ორეიკლს". საზოგადოდ ცნობილია, რომ ამერიკელებს მტკიცე ნერვები აქვთ და ხშირად დასწევიან წინ გაქცეულებსაც, მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოახერხეს. „ლუნა როსა" არაა სამხრეთაფრიკული „შოშოლოზა" ან რომელიმე „ისე რა" ნავი, რომელსაც შეცდომისკენ უბიძგებ და ამით ისარგებლებ. იტალიელებს შეცდომა არ დაუშვიათ, იმ დღეს მოიგეს და 3:1 დაწინაურდნენ.

შემდეგ გაცურვაში კი ისევ ამერიკელებს შეეშალათ. ჯერ კიდევ სტარტამდე „ბმვ-ს" კაპიტანმა ლარი ელსონმა (ჩანს, მასაც აუთამაშდა ნერვები) ადრეულად დაძრა ნავი და ერთი, რომ სამსაჯო ჯიხურს დასაშვებზე მეტად მიუახლოვდა და მეორე — ისეთი სიჩქარე აკრიფა, რომ სტარტის ხაზამდე გადაასწრო „ლუნა როსას", რაც სასტიკად აკრძალულია. მსაჯებმა ამერიკელები დააჯარიმეს და სანამ ესენი იძულებით საჯარიმო მანევრებს ასრულებდნენ, იტალიელელები ლამის ჰორიზონტს მოეფარნენ. მართალია, მერე „ბმვ-ორეიკლი" ოქრონაყნოსი მეკობრის ტემპით გამოედევნა და 25 წამამდე შეამცირა ჩამორჩენა, მაგრამ მეტი კი ველარ შეძლო და 1:4 ჩამორჩა.

არადა, ამერიკელების მიზანი არამარტო ლუი ვუტონის მოგებაა, არამედ უფრო მაღლა, ამერიკის თასის ფინალში მოქმედ ჩემპიონ, შვეიცარიულ „ალინგისთან" ბრძოლა, მაგრამ ჩანს, ვერ მიაღწევს.

მეორე ნახევარფინალში ასევე 4:1 იგებს ახალზელანდიური „თიმ ნიუ ზილენდი". ესპანური „დესაფიო ესპანიოლო" ვერაა ამ ეშაპის შემტოქებელი.

**ბოტე ყორშია**

Giro d'Italia

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

# ჯირო ფერარის ესტუმრა




AFP

ალესანდრო პეტაკი

**შაბათს**, 90-ე „ჯიროს" მეშვიდე ეტაპის ფინიშს „ფერარიმ" უმასპინძლა. ლეგენდარული ავტოკონცერნის მიუჯელოს ავტოდრომზე მრბოლები ჯგროდ შეიჭრნენ და საფინიშო საქმის გარჩევაში კი ყველას, ისევ ალესანდრო პეტაკიმ აჯობა. „მილრამის" მრბოლმა მიმდინარე „ჯიროზე" მეორე, ხოლო სულ 21-ე ეტაპი მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შარშანდელი კრიზისის შემდეგ, ისევ ფორმაშია და ბოლო მეტრების დიდოსტატად რჩება.

მეშვიდე ეტაპს, რომელიც უგრძესი იყო წლევანდელ რბოლაში, საერთო ჩათვლის მოწინავეთა რიგებში რაიმე ცვლილება არ შეუტანია, განსხვავებით წინა ეტაპისგან, როდესაც ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ტივოლიდან სპოლეტომდე გაჭიმულ 177-კილომეტრიან გზაზე წლევანდელი „ჯიროს" პირველი სერიოზული და, რაც მთავარია, შედეგიანი გაქცევა ვიხილეთ, რომლის შედეგადაც ლიდერის ვარდისფერი მაისურა „T-მობაილის" იტალიელმა მრბოლმა მარკო პინოტიმ მოირგო. პინოტი, ესპანელი ლუის ფელიპე ლავარდე ხიმენესი, ფრანგი კრისტოფ კერნი, შვეიცარიელი ჰუბერტ შვაბი და იტალიელი დანიელე კონტრინი პელოტონს გაექცნენ. მერე ამათგან პინოტი და ლავარდე დაწინაურდნენ და ფინიშზე იტალიელმა ესპანელს პირველობა დაუთმო. სამაგიეროდ, თავად ვარდისფერი მაისურა მოირგო და მართალია, იმის ალბათობა, რომ ეს მაისურა დიდხანს შეინარჩუნოს, საკმაოდ მცირეა, პინოტი მაინც გმირად გრძნობს თავს.

ძველი ლიდერი დანილო დი ლუკა თანამემამულეს ოთხ წუთზე მეტით ჩამორჩება და თავის მხრივ, დაახლოებით ერთ წუთს უგებს სხვა ფავორიტებს — დამიანო კუნეგოსა და პაოლო სავოლდელის.

### მე-6 ეტაპი. ტავოლი-სპოლეტო. 177-კილომეტრი

| | |
|---|---|
| 1. ლუის ფელიპე ლავერდე ხიმენესი (კოლუმბია „პანარია") | 4 სთ 58 წთ 23 წმ |
| 2. მარკო პინოტი (იტალია, „T-მობაილი") | იგივე დრო |
| 3. კრისტოფ კერნი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი") | +1 წთ 30 წმ |
| 4. ჰუბერტ შვაბი (შვეიცარია, „ქვიკ სტეპი") | +1 წთ 34 წმ |
| 5. დანიელე კონტრინი (იტალია, „ტანკოფი") | +3 წთ 45 წმ |

### მე-7 ეტაპი. სპოლეტო-სკარპერია. 254კმ

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი") | 6 სთ 14 წთ 44 წმ |
| 2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი") | |
| 3. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | |
| 4. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე") | |
| 5. ხოსე ხოაკინ როხასი (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი") | *ყველას იგივე დრო* |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარკო პინოტი (იტალია, „T-მობაილი") | 29 სთ 59 წთ 00 წმ |
| 2. ჰუბერტ შვაბი (შვეიცარია, „ქვიკ სტეპი") | +3 წთ 30 წმ |
| 3. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | +4 წთ 12 წმ |
| 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი") | +4 წთ 38 წმ |
| 5. ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი") | +4 წთ 47 წმ |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩეხეთი. 21 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 310 | ბრნო-კლადნო | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:15 | 311 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| 19:15 | 312 | მოსტი-ბოლესლავი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 19:15 | 313 | ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:15 | 314 | პლზენი-იაბლონეცი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:15 | 315 | სიგმა-სპარტა | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 19:15 | 316 | სლავია-ზლინი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 19:15 | 317 | სლოვაცკო-პრჟიბრამი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა. 21 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 200 | აიკ-ჰალმსტადი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 21:00 | 201 | გაის-კალმარი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | 22 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 3.70 | 3.40 | 1.90 | 1.77 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა 21 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 212 | ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 21:00 | 213 | ბანკეფლო-ლანდსკრონა | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 21:00 | 214 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 2.20 | 3.30 | 2.95 | 1.32 | 1.26 | 1.55 |
| 21:00 | 215 | ფალკენბერგი-სუნდსვალი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 19:00 | 216 | სილვია-იორგრიტე | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| | | ფინეთი 21 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 224 | მიუპა-კტპ | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | ირლანდია 21 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 236 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | ჩემპიონთა ლიგა 23 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 291 | მილანი-ლივერპული | 2.30 | 3.10 | 3.10 | 1.32 | 1.32 | 1.54 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10200 | აიკ-ჰალმსტადი | 2.15 | 2.10 | 4.65 | 1.06 | 1.47 | 1.44 |
| 10201 | გაის-კალმარი | 3.55 | 2.00 | 2.45 | 1.27 | 1.44 | 1.10 |
| 10202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 4.20 | 2.00 | 2.35 | 1.35 | 1.50 | 1.08 |
| 10204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10224 | მიუპა-კტპ | 1.80 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.66 |
| 10291 | მილანი-ლივერპული | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11200 | აიკ-ჰალმსტადი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11201 | გაის-კალმარი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11224 | მიუპა-კტპ | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11291 | მილანი-ლივერპული | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში
(ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12200 | აიკ-ჰალმსტადი | 1.70 | 1.90 |
| 12201 | გაის-კალმარი | 1.60 | 2.00 |
| 12202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 1.70 | 1.90 |
| 12203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 12224 | მიუპა-კტპ | 1.90 | 1.70 |
| 12291 | მილანი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13200 | აიკ-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |
| 13201 | გაის-კალმარი | 1.90 | 1.70 |
| 13202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 1.70 | 1.90 |
| 13203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 1.90 | 1.70 |
| 13204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13224 | მიუპა-კტპ | 1.70 | 1.90 |
| 13291 | მილანი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14200 | აიკ-ჰალმსტადი | 1.45 | 2.40 |
| 14201 | გაის-კალმარი | 2.10 | 1.75 |
| 14202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 2.00 | 1.80 |
| 14203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14224 | მიუპა-კტპ | 1.30 | 2.50 |
| 14291 | მილანი-ლივერპული | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15200 | აიკ-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15201 | გაის-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | მიუპა-კტპ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | მილანი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16200 | აიკ-ჰალმსტადი | 1.30 | 2.90 |
| 16201 | გაის-კალმარი | 2.20 | 1.52 |
| 16202 | ტრელებორგი-იურგორდენი | 1.95 | 1.65 |
| 16203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 2.40 | 1.40 |
| 16204 | ელფსბორგი-გოტებორგი | 1.52 | 2.20 |
| 16291 | მილანი-ლივერპული | 1.62 | 2.05 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## ხელმოწერა დაბადების დღეზე

**„ჩელსის“** პორტუგალიელი მცველი რიკარდუ კარვალიუ პარასკევს 29-ის შესრულდა და დაბადების დღეზე ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

კლუბის აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა განაცხადა: „გვიხარია, რომ კარვალიუმ დარჩენა გადაწყვიტა. იგი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ამ სეზონში ფანტასტიკურად ითამაშა. რიკი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია მსოფლიოში“.

## რივერს სახლი დაუკეტეს

**არგენტინული** „რივერ პლეიტი“ დასაჯეს და მომდევნო ორ საშინაო მატჩს „მონუმენტალზე“ ველარ ითამაშებს ფანების ცუდი საქციელის გამო. ამ სეზონში ეს უკვე მეორე დისკვალიფიკაციაა. თებერვალში „რივერმა“ ხუთმატჩიანი სასჯელი მოიხადა. 6 მაისს „ინდეპენდიენტესთან“ ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ სტადიონზე და მის გარეთ ქომაგებმა იჩხუბეს და ტყვიაც კი გავარდა.

## ორმაგი ლურჯი

**სოფიის** „ლევსკიმ“ თანაქალაქელ „ლოკომოტივს“ 5:3 მოუგო და ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი. სეზონის დასრულებამდე ერთი ტური დარჩენილი, მაგრამ „ლურჯებმა“ ხუთი ქულით გაუსწრეს ცსკასაც და „ლოკომოტივსაც“.

შეგახსენებთ, რომ „ლევსკი“ პირველი ბულგარული გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. ისინი შარშან მოხვდნენ ჯგუფში „ჩელსისთან“, „ბარსელონასთან“ და „ვერდერთან“.

## და სილვა ისტორიაში

**ხორვატიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში, პირველადგილგანაღდებულმა ზაგრების „დინამომ“ სპლიტის „ჰაიდუკი“ დაიბრიყვა და 3:0 მოუგო. „ჰაიდუკი“ ჩემპიონს 20 ქულით ჩამორჩა.

ხორვატიის ნაკრების ფორვარდი, ბრაზილიელი ედუარდო და სილვა პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც დერბიში ჰეთ თრიქი შეასრულა. მან სეზონში 34 გაიტანა და ლიგის საუკეთესო მეგოლის ტიტულიც დაისაკუთრა.

## ნანტი ჩაიშალა

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მატჩი „ნანტსა“ და „ტულუზს“ შორის მე-80 წუთზე შეწყდა. მიზეზი: ათასამდე გაავებული ქომაგი მოედანზე შეიჭრა. მსაჯმა ბრუნო რეფრაიმ გუნდებს გასახდელისკენ მიუთითა და შეხვედრა ასე დამთავრდა.

სადისციპლინო კომიტეტი ალბათ „ტულუზს“ 3:0-ს ჩაუთვლის. რვაგზის ჩემპიონი „ნანტი“ 1963 წლის შემდეგ პირველად გავარდა ელიტიდან და ქომაგებიც ამის გამო გაბრაზდნენ. ისინი მატჩამდე და თამაშის დროსაც კლუბის პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ.

## ქორვაჭარი მათემატიკოსი

**საბერძნეთის** პოლიციამ დააკავა „ქორვაჭარი“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ბილეთებს 25-ჯერ ძვირად გაყიდვას ცდილობდა ინტერნეტით. მათემატიკის მასწავლებელმა, 27 წლის ბიჭმა ქსელურ აუქციონზე ორი ბილეთი გაიტანა გასაყიდად, თითოეული 4500 ევროდ, არადა 140 ევრო ღირს.

პოლიციის აგენტი მასწავლებელს კლიენტად გაეცნო და სალონიკში შეხვედრა შესთავაზა. მათემატიკოსი შეხვედრაზე დათანხმდა და ადგილზე გაბაწრეს.

## ლამპარდი გზაგასაყარზე

**ინგლისის** ასოციაციის თასის ფინალური მატჩი ფრენკ ლამპარდისთვის ეგებ ბოლო აღმოჩნდეს „ჩელსიში“ — წერს „კალჩომერკატო“. მან კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა, რადგან ჯამაგირი არ აკმაყოფილებს.

ლამპარდს წელიწადში შვიდი მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მას კი მეტი უნდა, რამდენსაც ანდრეი შევჩენკო და მიხაელ ბალაკი იღებენ.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის ყიდვა „ბარსელონას“, „ინტერს“ და „იუვენტუსს“ სურთ.

## თოფი ჯიმისთვის

**„ეკიპის“** ცნობით, ლონდონის „არსენალი“ „რენის“ ფორვარდის ჯიმი ბრიანის შეძენას აპირებს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს და მისი გახანგრძლივება კლუბის შეფებს უნდათ, თვითონ ბრიანი კი ჯერ უარზეა.

„არსენალმა“ უკვე გააგზავნა სკაუტები რენში ფორვარდთან მოსარიგებლად და მალე ფრანგულ კლუბთან მოლაპარაკებას დაიწყებს.

## მგელმთავარი გაუშვეს

**„ვერდერთან“** ბოლო ტურში მარცხის შემდეგ „ვოლფსბურგმა“ ოფიციალურად განაცხადა მწვრთნელის კლაუს აუგენტალერის მოხსნის შესახებ.

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი „მგლებს“ 2005-ის დეკემბრიდან თავკაცობდა და კონტრაქტი ორი წლის შემდეგ ეწურებოდა, მაგრამ კლუბმა აუგენტალერის მუშაობა დაიწუნა და გზა დაულოცა.

„ვოლფსბურგმა“ სეზონი მე-15 ადგილზე დაამთავრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

**I ლიგა. პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

ნოტინგემი 2:5 იოვილი (2:0)

ბლეკპული 3:1 ოლდემი (2:1)

**II ლიგა. პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

ლინკოლნი 3:5 როვერსი (1:2)

დონსი 1:2 შრიუსბერი (0:0)

**კონფერენსლიგა**
**პლეი ოფი. ფინალი**

ექსეტერი 1:2 მორეკემბი

## შვედეთი

**ალსვენსკა. VII ტური**

გეფლე — ჰამარბი 1:0; იორებრო — მალმიო 1:1. აიკ — ჰალმსტადი, გაის — კალმარი და ტრელებორგი — იურგორდენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 7 | 3 | 3 | 1 | 10:5 | 12 |
| კალმარი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| გიოტებორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| ჰამარბი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:4 | 11 |
| გეფლე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | 11 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| ჰალმსტადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| აიკ | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| გაის | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| იურგორდენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| იორებრო | 7 | 1 | 4 | 2 | 5:8 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| ტრელებორგი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| ბრომაპოიკარნა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |

**სუპერეტა. VI ტური**

ოისტერსი — ნორჩეპინგი 0:1; ბეკენი — სირიუსი 2:0; მიალბი — დეგერფორსი 5:0. აქტვიდაბერგი — ლიუნგსკილე, ბანკუფლო — ლანდსკრონა, ენშეპინგი — იონკოპინგი, ფალკენბერგი — სუნდსვალი და სილვია — იორგრიტე დღეს გაიმართება

## შვეიცარია

**სუპერლიგა. XXXV ტური**

გრასჰოპერი — თუნი 0:3; ლუცერნი — ბაზელი 0:3; სენტ გალენი — სიონი 0:3; იანგ ბოისი — ციურიხი 2:3; შაფჰაუზენი — აარაუ 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 35 | 22 | 6 | 7 | 65:32 | 72 |
| ბაზელი | 35 | 21 | 8 | 6 | 75:40 | 71 |
| იანგ ბოისი | 35 | 17 | 8 | 10 | 52:40 | 59 |
| სიონი | 35 | 16 | 9 | 10 | 55:42 | 57 |
| სენტ გალენი | 35 | 14 | 12 | 9 | 46:43 | 54 |
| გრასჰოპერი | 35 | 13 | 11 | 11 | 54:39 | 50 |
| თუნი | 35 | 9 | 7 | 19 | 28:58 | 34 |
| ლუცერნი | 35 | 8 | 9 | 18 | 31:56 | 33 |
| აარაუ | 35 | 6 | 7 | 22 | 27:54 | 25 |
| შაფჰაუზენი | 35 | 4 | 13 | 18 | 27:56 | 25 |

**ჩელენჯლიგა. XXXIII ტური**

კიასო — ლუგანო 2:0; კონკორდია — კრინსი 3:1; დელემონი — ვადუცი 1:0; ლოზანა — შო დე ფონი 0:1; ლოკარნო — ივერდონი 2:1; ქიასოში — ბოლში 1:0; სერვეტი — ბელინცონა 0:3; ვილი — იუვენტუსი 4:0; ვინტერთური — ვოლენი 1:0

## სლოვენია

**პირველი ლიგა**
**XXXV ტური**

პრიმორიე — კოპერი 2:1; ბელა კრაინა — ნოვა გორიცა 0:1; დრავა პტუი — პუბლიკუმი 3:1; ფაქტორი — დომჟალე 0:0; ნაფტა — მარიბორი 0:4

## სერბეთი

**სუპერლიგა**
**პლეი ოფი. IX ტური**

ჰაიდუკი — ბეჟანიჯა 1:0; მლადოსტი — ცრვენა ზვეზდა 0:1; ვოივოდინა — პარტიზანი 2:0

## ხორვატია

**პირველი დივიზიონი**
**XXXIII ტური**

ციბალია — მედიმურიე 3:0; ოსიეკი — შიბენიკი 2:2; რიეკა — კამენი 2:0; პულა — სლავენი 0:0; ვარტექსი — ზაგრები 1:1; დინამო — ჰაიდუკი 3:0

## დანია

**სუპერლიგა**
**XXXI ტური**

ოლბორგი — ესბიერგი 2:0; ბრონდბიუ — ოდენსე 1:0; რანდერსი — ჰორსენსი 2:1; სილკებორგი — ნორდსიელანდი 1:1; ვაილე — მიდტიულანდი 1:2; ვიბორგი — კოპენჰაგენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 31 | 23 | 6 | 2 | 59:21 | 75 |
| მიდტიულანდი | 31 | 17 | 9 | 5 | 56:35 | 60 |
| ოლბორგი | 31 | 17 | 7 | 7 | 51:32 | 58 |
| ოდენსე | 31 | 17 | 7 | 7 | 43:30 | 58 |
| ნორდსიელანდი | 31 | 14 | 9 | 8 | 61:36 | 51 |
| ბრონდბიუ | 31 | 12 | 10 | 9 | 47:36 | 46 |
| რანდერსი | 31 | 10 | 7 | 14 | 38:48 | 37 |
| ესბიერგი | 31 | 8 | 10 | 13 | 42:49 | 34 |
| ჰორსენსი | 31 | 6 | 10 | 15 | 28:49 | 28 |
| ვიბორგი | 31 | 7 | 5 | 19 | 30:60 | 26 |
| ვაილე | 31 | 5 | 6 | 20 | 33:63 | 21 |
| სილკებორგი | 31 | 4 | 6 | 21 | 30:59 | 18 |

**პირველი დივიზიონი**
**XXIV ტური**

ბრაბრანდი — ნესტვედი 0:0; ფკ ორჰუსი — კიოგე 3:0; ჰელერუპი — კოლდინგი 2:2; ფრემი — ორჰუსი 1:1; აკადემისკი — იოლსტიკე 0:2; ფრედერისია — ფრემადი 3:0; ჰერფიოლგე — ტისტედი 1:1; სიონდერისკე — ლიუნგბიუ 3:4

## რუსეთი

**პრემიერლიგა**
**X ტური**

**სპარტაკი 1:2 ლოკომოტივი**
0:1 ბილიალეტდინოვი (38), 1:1 პავლიუჩენკო (71), 1:2 სიჩოვი (84)

**როსტოვი 1:1 ხიმკი**
0:1 არხიპოვი (15), 1:1 ოსინოვი (79პ)

**სატურნი 1:1 ნალჩიკი**
1:0 კირიჩენკო (48), 1:1 რიკარდო (78)

**ლუჩ-ენერგია 1:1 კუბანი**
0:1 ლაიზანსი (8), 1:1 გ. ბაზაევი (37)

**ზენიტი 2:1 რუბინი**
0:1 გაბრიელი (41), 1:1 შკრტელი (67), 2:1 არშავინი (78)

**ამკარი 1:1 ცსკა**
0:1 ვაგნერ ლავი (84), 1:1 დრინჩიჩი (89)

**ტომი 1:2 კრილია**
1:0 სკობლიაკოვი (45), 1:1 ტოპიჩი (78), 1:2 ბულიგა (90)

**დინამო 0:0 მოსკვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:10 | 19 |
| სპარტაკი | 10 | 5 | 4 | 1 | 12:7 | 19 |
| ცსკა | 10 | 4 | 5 | 1 | 16:9 | 17 |
| კრილია | 10 | 4 | 4 | 2 | 9:5 | 16 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 4 | 2 | 10:8 | 16 |
| მოსკვა | 10 | 4 | 4 | 2 | 8:6 | 16 |
| დინამო | 10 | 4 | 3 | 3 | 9:9 | 15 |
| ხიმკი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:8 | 12 |
| ტომი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | 11 |
| კუბანი | 10 | 1 | 7 | 2 | 7:8 | 10 |
| სატურნი | 10 | 1 | 7 | 2 | 9:11 | 10 |
| ნალჩიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 5:10 | 10 |
| ამკარი | 10 | 1 | 6 | 3 | 9:10 | 9 |
| ლუჩ-ენერგია | 10 | 2 | 3 | 5 | 5:10 | 9 |
| როსტოვი | 10 | 1 | 5 | 4 | 9:14 | 8 |
| რუბინი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:13 | 8 |

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა**
**VI ტური**

ლაჰტი — ოულუ 2:1; ჰონკა — მარიეჰამნი 2:0; ტამპერე — ინტერი 2:1; ვიიკინგიტი — ჰიკ 1:1; ვაასა — იარო 1:2. მიუპა — კტპ დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 6 | 4 | 1 | 1 | 8:6 | 13 |
| ჰაკა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ლაჰტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| ჰიკ | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| ტურკუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ჰონკა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| იარო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ოულუ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| მიუპა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| კტპ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ინტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:7 | 5 |
| ვიიკინგიტი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| მარიეჰამნი | 6 | 0 | 4 | 2 | 3:6 | 4 |
| ვაასა | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

## პოლონეთი

**პირველი ლიგა**
**XXVIII ტური**

კორონა — ბელხატოვი 5:3; ლეჩნა — ზაგლებე 2:1; პლოცკი — ლოძი 2:1; არკა — გურნიკი 3:0; პოგონი — კრაკოვია 0:2; ვიძევი — ოდრა 1:2; ვისლა — გროცლინი 0:4; ლეხი — ლეგია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 28 | 18 | 4 | 6 | 60:30 | 58 |
| ზაგლებე | 28 | 16 | 8 | 4 | 51:26 | 56 |
| ლეგია | 28 | 15 | 4 | 9 | 50:30 | 49 |
| ლეხი | 28 | 12 | 10 | 6 | 52:33 | 46 |
| კორონა | 28 | 14 | 4 | 10 | 40:32 | 46 |
| კრაკოვია | 28 | 12 | 7 | 9 | 40:40 | 43 |
| ვისლა | 28 | 9 | 15 | 4 | 39:24 | 42 |
| გროცლინი | 28 | 9 | 15 | 4 | 34:24 | 42 |
| ოდრა | 28 | 10 | 9 | 9 | 28:34 | 39 |
| არკა | 28 | 9 | 10 | 9 | 40:37 | 37 |
| ლოძი | 28 | 9 | 10 | 9 | 29:29 | 37 |
| ვიძევი | 28 | 7 | 7 | 14 | 24:41 | 28 |
| ლეჩნა | 28 | 7 | 5 | 16 | 23:56 | 26 |
| გურნიკი | 28 | 5 | 6 | 17 | 28:51 | 21 |
| პლოცკი | 28 | 3 | 11 | 14 | 19:45 | 20 |
| პოგონი | 28 | 3 | 7 | 18 | 23:48 | 16 |

## რუმინეთი

**პირველი ლიგა**
**XXXIII ტური**

არადი — ტიმიშოარა 2:1; გლორია — ოცელული 1:2; რაპიდი — ჩაპლაული 4:1; ვასლუი — პეტროლისტი 2:0; არჯეში — ნაციონალი 0:3; პოლიტეხნიკა — კლუჟი 0:1; დინამო — უნირია 1:2; სტიაუა — პანდურიი 1:0; ფარული — უნივერსიტატია 0:0

## უკრაინა

**ვიშა ლიგა**
**XXVII ტური**

კარპატი — შახტარი 0:0; კრივბასი — ტავრია 0:0; დინამო — ხარკოვი 2:0; მეტალისტი — ილიჩევეცი 2:0; მეტალურგი (ზ) — დნიპრო 1:1; ზარია — ვორსკლა 0:0; ჩერნომორეცი — სტალი 3:0; მეტალურგი (დ) — არსენალი 2:1

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა**
**XXIX ტური**

ზალაეგერსეგი — დებრეცენი 0:1; პაკში — ვაშაში 4:2; რეაკი — ტატაბანია 2:4; ჰონვედი — დიოშდიორი 1:1; პეჩი — კაპოშვარი 2:3; შოპრონი — ვაცი 3:1. უიპეშტი — ფეჰერვარი დღეს გაიმართება, დიორი — მტკ ხვალ

## ავსტრია

**ბუნდესლიგა. XXXVI ტური**

აუსტრია — ალტახი 3:0; გრაცერი — რიდი 2:3; მატერსბურგი — ტიროლი 6:1; პაშინგი — შტურმი 1:1; ზალცბურგი — რაპიდი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 36 | 22 | 9 | 5 | 72:25 | 75 |
| რიდი | 36 | 15 | 11 | 10 | 47:42 | 56 |
| მატერსბურგი | 36 | 16 | 7 | 13 | 61:58 | 55 |
| რაპიდი | 36 | 14 | 10 | 12 | 55:49 | 52 |
| პაშინგი | 36 | 14 | 10 | 12 | 47:41 | 52 |
| აუსტრია | 36 | 11 | 12 | 13 | 43:43 | 45 |
| შტურმი | 36 | 16 | 6 | 14 | 40:40 | 41 |
| ალტახი | 36 | 11 | 5 | 20 | 45:64 | 38 |
| ტიროლი | 36 | 8 | 10 | 18 | 40:64 | 34 |
| გრაცერი | 36 | 8 | 10 | 18 | 43:67 | 6 |

შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა

გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა

**პირველი დივიზიონი**
**XXXII ტური**

აუსტრია (ლ) — ლეობენი 1:0; პარტბერგი — ლინცერი 0:4; კაპფენბერგი — ადმირა 1:3; კერნტენი — აუსტრია (მ) 1:1; პარნდორფი — ლუსტენაუ 0:2; შვანენშტადტი — გრატკორნი 3:1

## სლოვაკეთი

**პირველი ლიგა**
**პლეი ოფი. XII ტური**

კოშიცე — სენეცი 0:0; რუჟომბეროკი — ნიტრა 1:0; სლოვანი — არტმედია 3:1; ჟილინა — ბანსკა ბისტრიცა 5:0

# გერმანია

## ბუნდესლიგა XXXIV ტური

**შალკე 2:1 არმინია**

1:0 ლინკოლნი (11), 2:0 ჰალილ ალტინ-ტოპი (16), 2:1 კუჩერა (90)

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ქობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი, ფ. ერნსტი, ლინკოლნი, ასამოა, (იოზილი 46), კურანი (ლარსენი 84), ჰალილ ალტინტოპი (ლოვენკრანდსი 78)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

არმინია: ჰაინი, ბოლმანი, კუჩერა, გაბრიელი, ვესტერმანი, კაუფი, ტესკე (კამპერი 46), რაუ, ბიომე (ვიშნიარეკი 70), ზუმა (ტ. მარქსი 46), აიგლერი

მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი

მსაჯი: ბრიხი

61 482 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:1 კოტბუსი**

0:1 რადუ (19), 1:1 ჰიცლშპერგერი (27), 2:1 ხედირა (63)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო (და სილვა 46), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი, ჰიცლშპერგერი (ტასკი 87), ხედირა, კაკაუ, შტრელერი (გომესი 53)

მწვრთნელი: არმინ ფეე

კოტბუსი: პიპლიცა, შელესი, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ციბიგი, კუკიელკა, კიუნცელი (რივიჩი 66), მუნტიანუ, შკელა (გუნკელი 66), რადუ, შაო (კიოიო 72)

მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი

მსაჯი: შტარკი

56 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:2 ვერდერი**

0:1, 0:2 როზენბერგი (54, 87)

ვოლფსბურგი: იენჩი, მიორლე, მადლუნგი, ჰოფლანდი, კიროგა, ვან დერ ლეიგტე (შარპეი 68), ლამპრეხტი (მაკიადი 58), მარსელინიო, კრჟინოვეკი, ბოაკიე (კ. ჰილი 75), კლიმოვიჩი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ოვომოიელა (დ. იენსენი 46), კ. შულცი (ვრანიეში 79), დიეგო, კლოზე (როზენბერგი 46), უგო ალმეიდა

მწვრთნელი: თომას შააფი

მსაჯი: შიპელი

30 000 მაყურებელი

**ბაიერნი 5:2 მაინცი**

1:0 სანტა კრუზი (30), 2:0 შოლი (33), 3:0 ვან ბომელი (38), 3:1 ამრი (55), 4:1 ქარიმი (63), 5:1 პიზარო (74), 5:2 ფიულნერი (75)

ბაიერნი: დრეერი, სალიჰამიჯიჩი (გიორლიცი 87), დემიკელისი (ჰუმელსი 52), ლელი, ლამი, ვან ბომელი, სანტა კრუზი, ოტლი, ქარიმი, შოლი (კ. პიზარო 57), მაკაი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, სუბოტიჩი, როზე, ფიულნერი, პეკოვიჩი (მ. ვრანჩიჩი 55), ლ. ანდრეასენი, სოტო (ფ. გერბერი 70), ამრი, ნიკულაე (დუ-რი ჩა 55)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: სანტა კრუზი, პეკოვიჩი

მსაჯი: რაფატი

69 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:1 დორტმუნდი**

1:0 კისლინგი (45), 2:0 როლფსი (54), 2:1 შმოლარეკი (79)

ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო, ჟუანი, კალსენ-ბრაკერი, შტენმანი (ბაბიჩი 46), შვეგლერი, როლფსი, კისლინგი, ბ. შნაიდერი, ბარნეტა (ატირსონი 72), ვორონინი (ფრაიერი 90)

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კრუშკა, კრინგე (გორდონი 56), ტინგა (რიკენი 67), ნ. საჰინი (ფ. დეგენი 56), ნ. ვალდესი, შმოლარეკი

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: კალსენ-ბრაკერი, კრუშკა

მსაჯი: გაგელმანი

22 500 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:3 ნიურნბერგი**

0:1 მინტალი (54), 0:2 ენგელჰარდტი (62), 0:3 ბანოვიჩი (90)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიტჩი, იანკოვი, შტაინერი (იენდრიშეკი 68), ბრუგინკი, როზენტალი (ჰაშემიანი 56), ბრდარიჩი

მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი

ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი (სპირანოვიჩი 81), პინოლა, გალაშეკი, კრისტიანსენი, მნარი (პოლაკი 55), ენგელჰარდტი (ბანოვიჩი 70), მინტალი, შროტი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: ტარნატი, ენგელჰარდტი, ბალიტჩი, ჩერუნდოლო

მსაჯი: დრეესი

49 000 მაყურებელი

**აინტრახტი 1:2 ჰერტა**

0:1 ბოატენგი (48), 1:1 შტრაიტი (61), 1:2 პანტელიჩი (87)

აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, კირიაკოსი, ვასოსკი, შპიხერი, მ. ფინკი, ჰუგელი, ა. შტრაიტი, კიოლერი (ტოსკი 16), ამანატიდისი, ტაკაჰარა (მ. ჰელერი 78)

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

ჰერტა: ფიდლერი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, ფატი, ა. შმიდტი (კ. მიულერი 72); მინეირო, ებერტი, კ. ბოატენგი (ნოინდორფი 59), ჟილბერტო, პანტელიჩი, კ. ხიმენესი (კაირო 72)

მწვრთნელი: კარსტენ ჰაინე

გაფრთხილება: ჟილბერტო

მსაჯი: პერლი

50 500 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:0 ალემანია**

1:0, 2:0 ოლიჩი (15, 27), 3:0, 4:0 სორინი (54, 87)

ჰამბურგი: ფ. როსტი (ვეხტერი 79), ბენჯამინი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, დე იონგი, დემელი (მაჰდავიკია 60), იაროლიმი, სორინი, ვან დერ ვაარტი, ოლიჩი (სანოგო 69)

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

ალემანია: ჰესე, კასპერი, შტელე, ნ. ჰერციგი, ლეჟაკაბესი, მ. ლემანი, რეგეკამპფი, ფაილი (ჰაიდრიხი 67), როსლერი, იბიშევიჩი (კრონტირისი 56), ებერსი (ნემეტი 56)

მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი

გაფრთხილება: იაროლიმი, როსლერი, ჰერციგი, შტელე

მსაჯი: ზეემანი

57 000 მაყურებელი

**გლადბახი 0:2 ბოხუმი**

0:1 დაბროვსკი (24), 0:2 ვოში (82)

გლადბახი: ჰაიმეროტი, ბოგელუნდი, ლეველსი, ზე ანტონიო, კომპერი, კლუგე (პოლანსკი 87), ფლესერსი, მარინი (ბაუმიოჰანი 79), ინსუა, მ. იანსენი, კაჰე (შნიცლერი 57)

მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი

ბოხუმი: დრობნი, ო. შრიოდერი, მალტრიცი, იაია, პ. ბიონიგი, ცდებელი, დაბროვსკი (დრშეკი 75), მისიმოვიჩი (ვოში 70), გროტე (ილიჩევიჩი 62), ეპალე, გეკასი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: კლუგე, ბიონიგი, ინსუა, ცდებელი, ლეველსი

მსაჯი: მერკი

50 001 მაყურებელი



AFP

# მეტს აღარ დავლევ!

## ფეე საბანაოდ წავიდა

2006 **წლის** 11 თებერვალს „შტუტგარტი“ ჩააბარეს კაცს, რომელსაც არც მწვრთნელობისას და არც ფეხბურთელობისას ჯილდო არ მოუგია. არმინ ფეემ ვინმე კი არა, თვით ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა და წელიწადნახევარი დასჭირდა „შტუტგარტის“ გასაჩემპიონებლად. ის, რაც ამ გუნდში იოახიმ ლიოვმა, ფელიქს მაგათმა და ტრაპატონიმ ვერ მოახერხეს, 46 წლის ფეემ შეძლო. ამიტომაც დადიოდა გუშინწინ ლუდით გაწუწული და გაჟღენთილი ქალაქის მოედანზე, სადაც ჩემპიონობას ზეიმობდნენ. ეკუთვნოდათ კიდეც, მიჯრით რვა მატჩის მოგება ხუმრობა ხომ არაა?

„სეზონის წინ ამას ვინ წარმოიდგენდა?! — ხარობდა ფეე — „კოტბუსთან“ მატჩი ალბათ ყველაზე მძიმე იყო ჩვენს კარიერაში. მეტს ვერაფერს ვიტყვი ამ თამაშზე. ახლა ანალიზის თავი არ მაქვს, რადგან პიჯაკი ლუდითაა გაჟღენთილი და ისე ვყარვარ, რომ სასწრაფოდ უნდა ვიბანაო“.

კითხვაზე, თუ რატომ გაიქცა თამაშის შემდეგ გასახდელში, ფეემ უპასუხა: „მატჩის მერე გასახდელში პირველი მე უნდა შევსულიყავი. ეს წესია, რომელსაც ყოველთვის ვიცავ, თან ცოტა გადავკარი კიდეც. არა, მეტს აღარ დავლევ! ასე რომ გავაგრძელო, სამშაბათამდე ვერ გამოვშრები. მომავალ შაბათს გერმანიის თასის ფინალი გველის, მაგრამ ბიჭებს დალევას ვერავუკრძალავ. ყლაპონ, რამდენიც უნდათ. ახლა მათ რომ ვუთხრა, აღარ დალიოთ-მეთქი, ცოცხლად დამმარხავენ“.

„შტუტგარტის“ მეხუთე ჩემპიონობა კი ეჭვქვეშ დადგა მე-19 წუთისთვის, რადგან ფეეს გუნდი 0:1-ს აგებდა, „შალკე“ კი 2:0-ს იგებდა. „ხუმარები“ სულ რაღაც რვა წუთით, სანამ თომას ჰიცლშპერგერი გაუთანაბრებდა „კოტბუსს“, პირველ ადგილზე იყვნენ.

შტუტგარტელები აშკარად ნერვიულობდნენ თამაშის დასაწყისში და გოლიც მალე გაუშვეს. მუნტიანუს დარტყმულს რადუმ გეზი უცვალა და ბურთი ჰილდებრანდის კარში აღმოჩნდა. ნახევარი საათის თავზე კი ჰიცლშპერგერმა საუცხოო გოლი შეაგდო 30 მეტრიდან და გაათანაბრა.

მეორე ტაიმში მასპინძლები უკვე ჩემპიონურად ათამაშდნენ და „ოქროს“ გოლი სამი ხედირამ მიითვალა, რომელმაც ანტონიო და სილვას ჩაწოდებული ბურთი თავით შეაბრძანა ბადეში.

ტანჯულმა „შალკემ“ მეორე ადგილი შეინარჩუნა „არმინიასთან“ მოგებით და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში პირდაპირ მოხვდება.

„ჩვენ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ“ — თქვა კევინ კურანიმ.

„როცა გავიგეთ, რომ „შტუტგარტი“ 2:1-ს იგებდა, ბიჭებმაც ხალისი დაკარგეს — განაცხადა მირკო სლომკამ — ზედიზედ რვა თამაშის მომგები გუნდი ჩემპიონობას იმსახურებს. თითქმის ნახევარი სეზონი ცხრილის თავში ვიყავით და ყველაზე მეტად ამის გამო მწყდება გული. მაგრამ კარგია, რომ ჩემპიონთა ლიგაში მაინც გავინაღდეთ ადგილი“.

მიუნხენის „ბაიერნმა“ ხუთი გოლი გაუტანა ბუნდესლიგიდან გავარდნილ „მაინცს“ და ამითაც გაახარა გულშემატკივრები, რომლებიც გუნდს მომავალ სეზონში უეფას თასზე უქომაგებენ. 36 წლის მეჰმეთ შოლმა გოლით დაასრულა კარიერა და „ბაიერნს“ გამოემშვიდობა. როკე სანტა კრუზმა, ალი ქარიმიმ და კლაუდიო პიზარომაც შეაგდეს და ესენი ალბათ ზაფხულში სხვა კლუბებში გადავლენ, მესამე გოლის ავტორ მარკ ვან ბომელს კი „ბაიერნიდან“ გაშვება არ ემუქრება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 34 | 21 | 7 | 6 | 62:37 | 70 |
| შალკე | 34 | 21 | 5 | 8 | 53:32 | 68 |
| ვერდერი | 34 | 20 | 6 | 8 | 76:40 | 66 |
| ბაიერნი | 34 | 18 | 6 | 10 | 55:40 | 60 |
| ლევერკუზენი | 34 | 15 | 6 | 13 | 54:50 | 51 |
| ნიურნბერგი | 34 | 11 | 15 | 8 | 43:32 | 48 |
| ჰამბურგი | 34 | 10 | 15 | 9 | 43:37 | 45 |
| ბოხუმი | 34 | 13 | 6 | 15 | 49:50 | 45 |
| დორტმუნდი | 34 | 12 | 8 | 14 | 41:43 | 44 |
| ჰერტა | 34 | 12 | 8 | 14 | 50:55 | 44 |
| ჰანოვერი | 34 | 12 | 8 | 14 | 41:50 | 44 |
| არმინია | 34 | 11 | 9 | 14 | 47:49 | 42 |
| კოტბუსი | 34 | 11 | 8 | 15 | 38:49 | 41 |
| აინტრახტი | 34 | 9 | 13 | 12 | 46:58 | 40 |
| ვოლფსბურგი | 34 | 8 | 13 | 13 | 37:45 | 37 |
| მაინცი | 34 | 8 | 10 | 16 | 34:57 | 34 |
| ალემანია | 34 | 9 | 7 | 18 | 46:70 | 34 |
| გლადბახი | 34 | 6 | 8 | 20 | 23:44 | 26 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გეკასი (ბოხუმი) | 20 |
| მაკაი (ბაიერნი) | 16 |
| ფრაი (დორტმუნდი) | 16 |
| კურანი (შალკე) | 15 |
| გომესი (შტუტგარტი) | 14 |
| რადუ (კოტბუსი) | 14 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 14 |
| ზიდანი (მაინცი) | 14 |

### მეორე ბუნდესლიგა

#### XXXIV ტური

აუგსბურგი — კარლ ცაისი 1:2; ბურგჰაუზენი — პადერბორნი 5:1; დუისბურგი — ესენი 3:0; აუე — მიუნხენი 2:2; ფრაიბურგი — კობლენცი 2:0; ფიურტი — კარლსრუე 1:3; ჰანზა — უნტერჰახინგი 3:1; კაიზერსლაუტერნი — კიოლნი 2:1; ოფენბახი — ბრაუნშვაიგი 1:1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 34 | 21 | 7 | 6 | 69:41 | 70 |
| ჰანზა | 34 | 16 | 14 | 4 | 49:30 | 62 |
| დუისბურგი | 34 | 16 | 12 | 6 | 66:40 | 60 |
| ფრაიბურგი | 34 | 17 | 9 | 8 | 55:39 | 60 |
| ფიურტი | 34 | 16 | 6 | 12 | 53:40 | 54 |
| ლაუტერნი | 34 | 13 | 14 | 7 | 48:34 | 53 |
| აუგსბურგი | 34 | 14 | 10 | 10 | 43:32 | 52 |
| მიუნხენი | 34 | 14 | 6 | 14 | 47:49 | 48 |
| კიოლნი | 34 | 12 | 10 | 12 | 49:50 | 46 |
| აუე | 34 | 13 | 6 | 15 | 46:48 | 45 |
| პადერბორნი | 34 | 11 | 9 | 14 | 32:41 | 42 |
| კობლენცი | 34 | 11 | 8 | 15 | 36:45 | 41 |
| კარლ ცაისი | 34 | 9 | 11 | 14 | 40:56 | 38 |
| ოფენბახი | 34 | 9 | 9 | 16 | 42:59 | 36 |
| ესენი | 34 | 8 | 11 | 15 | 34:40 | 35 |
| უნტერჰახინგი | 34 | 9 | 8 | 17 | 33:49 | 35 |
| ბურგჰაუზენი | 34 | 7 | 11 | 16 | 42:63 | 32 |
| ბრაუნშვაიგი | 34 | 4 | 11 | 19 | 20:48 | 23 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XXXV ტური

ალენი — მიონხენგლადბახი (მ) 0:3; დორტმუნდი (მ) — უნიონი 1:1; დინამო — ემდენი 3:0; დიუსელდორფი — ჰამბურგი (მ) 3:2; მაგდებურგი — ლევერკუზენი (მ) 1:1; ოსნაბრიუკი — კილი 3:2; ლიუბეკი — ჰერტა (მ) 4:0; ვუპერტალი — ვილჰელმშავენი 5:2; ერფურტი — ზანკტ პაული 0:3

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XXXII ტური

მიუნხენი (მ) — ვეჰენი 2:2; ელვერსბერგი — როიტლინგენი 3:1; ჰოფენჰაიმი — პირმასენსი 2:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — პფულენდორფი 0:3; ჰესენი — კიკერსი 2:1; ინგოლშტადტი — ბაიერნი (მ) 1:0; კარლსრუე (მ) — ზაარბრიუკენი 0:0; აალენი — ზიგენი 3:2; შტუტგარტი (მ) — დარმშტადტი 1:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

## სერია A

## XXXVII ტური

### მილანი 2:3 უდინეზე

0:1 გიანი (10), 1:1 გურკუფი (36), 1:2 დი ნატალე (53), 2:2 კოსტაკურტა (57პ), 2:3 ბარეტო (61)

მილანი: სტორარი, ბონერა, შიმიჩი, ფავალი (დარმიანი 67), გრიმი (გუერჩი 76), ბროკი, კოსტაკურტა (დი ჯენარო 59), სერჟინიო, გურკუფი, ბორიელო, რ. ოლივეირა

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

უდინეზე: დე სანქტისი, კოდა, ნატალი, საპატა, დოსენა, მ. მოტა (სიკეირა 51), გ. დაგოსტინო, მუნტარი, პ. ბარეტო (შივოკი 68), დი ნატალე (პოდზა 81), გიანი

მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი

გაფრთხილება: გურკუფი, ბარეტო, ოლივეირა

მსაჯი: ჯერვაზონი

51 124 მაყურებელი

### ატალანტა 1:1 ინტერი

1:0 ფერეირა პინტუ (10), 1:1 ფიგუ (48პ)

ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ლორია, კაროციერი, ადრიანუ, აბეიხონი (დონატი 53), ბერნარდინი (ბომბარდინი 75), არიატი, ფერეირა პინტუ, ტისონე, ძამპანა (ვიერი 53)

მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო

ინტერი: ჟულიო სეზარი, ანდრეოლი (ხ. ძანეტი 65), კორდობა, ბურდისო, გროსო, სტანკოვიჩი, დაკური (ფიგუ 40), კამბიასო, სოლარი (მაიკონი 59), მ. გონზალესი, კრესპო

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ფერეირა პინტუ, აბეიხონი, რივალტა, კაროციერი

მსაჯი: რომეო

18 000 მაყურებელი

### კალიარი 3:2 რომა

1:0 სუაზო (13), 1:1 ტოტი (29პ), 2:1, 3:1 მარკინი (40, 68), 3:2 ტოტი (85)

კალიარი: კიმენტი, ფერი, ბიანკო, დ. ლოპესი, დელ გროსო, ბიონდინი, კონტი, ლ. კოლუჩი, მარკინი (ბუდელი 70), სუაზო (აგოსტინი 85), პეპე

მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო

რომა: კურჩი, პანუჩი, ფერარი (როზი 63), მექსეში, ტონეტო, დე როსი (ფატი 34), აკვილანი, ვილჰელმსონი (ტავანო 74), პეროტა, ტადეი, ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ბიონდინი, მექსეში

მსაჯი: ბრიგი

15 000 მაყურებელი

### ლაციო 0:0 პარმა

ლაციო: ბერნი (პერუცი 84), დე სილვესტრი, სტენდარდო, კრიბარი, ბონეტო, ფირმანი, ლედესმა (ბარონიო 70), ქ. მანფრედინი, ლ. ხიმენესი, პანდევი (ს. ინძაგი 65), როკი

მწვრთნელი: დელიო როსი

პარმა: ბუჩი, კოლი, პაჩი, ფ. კოუტუ, კასტელინი, მუსლიმოვიჩი, გრელა, პარავიჩინი (ჩიგარინი 73), დესენა, ჯ. როსი (ბოკეტი 89), ბუდანი (გასბარონი 46)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: ლედესმა, ინძაგი

მსაჯი: დე მარკო

25 000 მაყურებელი

### მესინა 2:2 ფიორენტინა

0:1 პაცინი (29პ), 0:2 გამბერინი (58), 1:2, 2:2 რიგანო (81, 87პ)

მესინა: პოლეტი, ლავეკია, მორელო (კალა 46), კანდელა, ჯალლომბარდო, პეტრინი, დავერსა, მაზიელო (მონტელა 77), პარიზი (კორდოვა 59), ე. ალვარესი, რიგანო

მწვრთნელი: ბრუნო ბოლკი

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, გამბერინი, კროლდრუპი, გობი, ბლაზი, ლივერანი, მონტოლივო, იორგენსენი (კუზმანოვიჩი 59), რეგინალდო, პაცინი

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: დავერსა, კანდელა, პოლეტი, უიფალუში

მსაჯი: ველოტო

11 000 მაყურებელი

### პალერმო 2:1 სიენა

1:0 კორინი (26), 2:0 კარაჩოლო (45), 2:1 მაკარონე (90)

პალერმო: ა. ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, დელაფიორე, მ. პიზანო, ჯოვანი ტედესკო, გუანა (კიარამიტარო 57), კორინი, ბრეშიანო (კაპუანო 66), ბრიენცა (ჯაკომაცი 87), კარაჩოლო

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

სიენა: მანინგერი, ნეგრო, პორტანოვა, რინაუდო (ერიომენკო 77), მოლინარო, კოდრია (ალბერტო 55), გალოპა, ვერგასოლა, ანტონინი, ლოკატელი (ფრიკი 44), მაკარონე

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: ძაკარდო, ფრიკი

მსაჯი: დონდარინი

30 000 მაყურებელი

### ემპოლი 3:3 რეჯინა

1:0 ვანუკი (9), 2:0 მორო (21), 3:0 საუდატი (22), 3:1 ვიჯანი (52), 3:2, 3:3 ამორუზო (56, 84პ)

ემპოლი: ბასი, ტოსტო (ფიჩინი 69), მარცორატი, ასკოლი (იაკოპინი 65), რაჯი, დ. მორო, მარიანინი, ალმირონი, ბუშე, ვანუკი, საუდატი

მწვრთნელი: ლუიჯი კანი

რეჯინა: კამპანოლო, ლანძარო (ნარდინი 77), არონიკა, ა. ლუკარელი, მესტო (ვიჯანი 56), ფოჯა, ამერინი (გაცი 31), ჯაკომო ტედესკო, მოდესტო, ნ. ამორუზო, ბიანკი

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: ლუკარელი, მორო, ამერინი, მარიანინი, არონიკა, ფოჯა, ფიჩინი

მსაჯი: ფარინა

12 000 მაყურებელი

### სამპდორია 1:0 კატანია

1:0 ძენონი (64)

სამპდორია: კასტელაცი, კ. ძენონი, ფალკონე, აკარდი, ვიერი, ვოლპი, მაჯო, პალომბო, ჯ. დელვეკიო (ციგლერი 55), დ. ფრანჩესკინი (სალა 73), კალიარელა

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

კატანია: პანტანელი, სარდო (კ. სილვესტრი 61), სტოვინი, სესარი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა, იცკო (კორონა 67), სპინეზი, მასკარა

მწვრთნელი: პასკუალე მარინო

გაფრთხილება: ვოლპი, ფალკონე, კაზერტა, ედუსეი, სესარი

გაძევება: სილვესტრი (90)

მსაჯი: სტეფანინი

22 000 მაყურებელი

### ტორინო 0:0 ლივორნო

ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, ი. ფრანჩესკინი, ბალესტრი, ბარონე, არდიტო (დი ლორეტო 46), დე აშენტისი, როზინა, ლაზეტიჩი, მუცი (აბრუსკატო 63)

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

ლივორნო: მანიტა, გრანდონი, პავანი, გალანტე, პასკუალე (კნეჟევიცი 68), მორონე, პასონი, ა. ფილიპინი (კ. კოპოლა 83), პფერცელი (ბალერი 55), ფიორე, პაულინიუ

მწვრთნელი: ფერნანდო ორსი

მსაჯი: საკანი

30 000 მაყურებელი

### კიევო 1:0 ასკოლი

1:0 მარკოლინი (43)

კიევო: სკიცი, მალაგო, მანდელი, მანტოვანი, ლანა, სამარკო, მარკოლინი (იტალიანო 89), ბრიგი, სემიოლი, პელისიერი (კოსატო 86), ბოგდანი (ობინა 51)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

ასკოლი: ბოკოლინი, ლომბარდი, მელარა, მინიერი (ბელუჩი 78), გუბერტი (პერული 55), ბუდიანსკი, პ. ძანეტი, პესკე, ბონანი, პაოლუჩი (ჯობი 46), სონჩინი

მწვრთნელი: ნედო სონეტი

გაფრთხილება: მინიერი, მალაგო

მსაჯი: პალანკა

5 000 მაყურებელი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 24 |
| ბიანკი (რეჯინა) | 18 |
| ქ. ლუკარელი (ლივორნო) | 18 |
| სპინეზი (კატანია) | 17 |
| რიგანო (მესინა) | 17 |



AFP

# ჩაო, ბილი!

**ალესანდრო**, იგივე ბილი კოსტაკურტა „მილანს“ დაემშვიდობა. 41 წლის მცველმა ბოლო თამაში „სან სიროზე“ „უდინეზესთან“ ჩაატარა და, მართალია, „შავ-წითლებმა“ 2:3 წააგეს, ამას ცუდ გუნებაზე არავინ დაუყენებია. მოგეხსენებათ, მილანელთათვის ეს იყო ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ ბოლო შეხვედრა, რომელშიც კარლო ანჩელოტიმ სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა. და ძირითადი შემადგენლობა? ძირითადი შემადგენლობა თამაშის დამთავრების შემდეგ ჩავიდა მოედანზე. უკლებლივ ყველას ალესანდრო კოსტაკურტას ხუთნომრიანი მაისურა ეცვა.

უდინელებს ამ შეხვედრაში არ ჰყავდათ ვიჩენცო იაკინტა, დამიანო ძენონი, დიას ფელიპე, კრისტიან ობოდო და დისკვალიფიცირებული ტომაშ ზაპოტოჩნი.

კიდევ, „მილანის“ სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელსაც, როგორც წესი, არ ათამაშებენ ხოლმე — რიკარდო ოლივეირა და სწორედ მან მოიწადინა შეხვედრის მე-8 წუთზე კოსტაკურტას პასით გოლის გატანა, ოღონდ არ გაუმართლა, გადამწყვეტ წამს ფეხი დაუსრიალდა და მომენტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ ინიციატივა „უდინეზემ“ იპყრო, ჯერ ერთი-ორი მომენტი შექმნა, შემდეგ კი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მასპინძელ ჯუზეპე ფავალიზე მაღლა გიან ასამოა აუხტა და თავით გახსნა ანგარიში.

ჩამორჩენილმა მილანელებმა იერიში მიიტანეს სტუმრების კართან და მორგან დე სანქტისს ოლივეირას ლონიერი დარტყმულის მოგერიება მოუხდა. სხვათა შორის, მომენტი აქ არ დამთავრებულა, მაგრამ იოან გურკუფმა და მარკო ბორიელომ გოლი ვერ შეაგდეს.

გათანაბრებით „მილანმა“ ცოტა ქაოსურ ვითარებაში გაათანაბრა: ოლივეირამ ბორიელოს მიაწოდა, ამას, თითქოს, მეტოქის მცველებმა აჯობეს, მაგრამ ბურთი გურკუფს მიუვიდა და ამომავალმა ფრანგმა ვარსკვლავმა სერია A-ში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმში პირველი მომენტიც უდინელებს ჰქონდათ, მეორე კი გოლით დასრულდა: სულეი ალი მუნტარიმ საკმაოდ ბევრი იარა და დაარტყა. დარტყმული მარკო სტორარიმ მოიგერია, მაგრამ დი ნატალემ დაამატა.

ცოტა ხანში ანგარიში ისევ გათანაბრდა და თან როგორ — გურკუფი დოსენას ბიძგმა წააქცია, მსაჯმა ჯერვაზონიმ კი პენალტი დანიშნა, ხოლო თერთმეტი მეტრიდან მილანელებმა კოსტაკურტას დაარტყმევინეს...

აქ ვეტერანი შეცვალეს და „სან სირომ“ იგი ფეხზე წამოდგომით გააცილა.

61-ე წუთზე ბარეტომ მახვილი კუთხიდან სტუმრები მაინც დააწინაურა, სიკეირას კი კიდევ ერთი გოლი არ ჩაუთვალეს, მილანელს ხელი ჰკარიო.

„ამ ზეიმისთვის მინდა, ყველას დიდი მადლობა ვუთხრა — განაცხადა მატჩის შემდეგ კოსტაკურტამ — მადლობა კლუბს, თანაგუნდელებს და ჩემს ოჯახს. პრინციპი მაქვს ასეთი: ნებისმიერ საქმეში ბოლომდე ვიხარჯები, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სამსახურით დატვირთულს ფეხბურთელობის წლებზე ფიქრისა და ნოსტალგიისთვის არ მეცლება. ორი კვირის წინ კარლომ მითხრა, რომ მას მწვრთნელთა ბანაკში ვჭირდები. ბედნიერი ვარ, ეს რომ ასეა. მრავალ ადგილზე შემეძლო მუშაობის დაწყება, მაგრამ „მილანში“ დარჩენა ყველაფერს ვამჯობინე“.

ბილი კოსტაკურტამ სერია A-ში პირველად 1987 წლის 25 ოქტომბერს სტუმრად „ვერონას“ წინააღმდეგ ითამაშა და მას მერე „მილანთან“ ერთად 23 ტიტული მოიგო: შვიდი სკუდეტო, ოთხი ჩემპიონთა თასი, ორი საკონტინენტთაშორისო თასი, ოთხი ევროპის სუპერთასი, ხუთი იტალიის სუპერთასი და „კოპა იტალია“.

„სამწუხაროა, გუნდიდან დიდი ფეხბურთელი რომ მიდის — ეს კი კარლო ანჩელოტის სიტყვებია — თუმცა ჩვენ ბილი კოსტაკურტას ახალ ამპლუაში ვიძენთ. ის იმდენად გამოცდილია, რომ ახალგაზრდობას ფასდაუდებელ საქმეს გაუკეთებს. ის განძია და მასთან მუშაობაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება. მე, ბილი და მაურო ტასოტი მოედანზეც ჩინებულ ტრიოს ვქმნიდით და, ეჭვი არ არის, მწვრთნელთა სკამზეც ასე გაგრძელდება“.

რაც შეეხება „ლივერპულთან“ მოახლოებულ ფინალს, მასზე ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ამ გუნდთან თამაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშზე ძნელი იქნება, რადგან ლივერპულელები ჩაკეტილ ფეხბურთს ითამაშებენ.

და კიდევ, „მილანმა“ ჯერ არ იცის ორი რამ — ითამაშებს თუ არა პაოლო მალდინი და ვინ იქნება თავდასხმაში, ფილიპო ინძაგი თუ ალბერტო ჯილარდინო.

**ბაკუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 37 | 29 | 7 | 1 | 77:34 | 94 |
| რომა | 37 | 21 | 9 | 7 | 70:31 | 72 |
| ლაციო | 37 | 18 | 11 | 8 | 58:31 | 62 |
| მილანი | 37 | 19 | 12 | 6 | 57:34 | 61 |
| ფიორენტინა | 37 | 20 | 10 | 7 | 57:30 | 55 |
| პალერმო | 37 | 15 | 10 | 12 | 56:50 | 55 |
| ემპოლი | 37 | 14 | 12 | 11 | 41:40 | 54 |
| ატალანტა | 37 | 12 | 14 | 11 | 54:50 | 50 |
| სამპდორია | 37 | 13 | 10 | 14 | 43:43 | 49 |
| უდინეზე | 37 | 12 | 10 | 15 | 48:53 | 46 |
| კალიარი | 37 | 9 | 13 | 15 | 34:44 | 40 |
| ლივორნო | 37 | 9 | 13 | 15 | 37:52 | 40 |
| ტორინო | 37 | 10 | 10 | 17 | 27:44 | 40 |
| კიევო | 37 | 9 | 12 | 16 | 38:46 | 39 |
| პარმა | 37 | 9 | 12 | 16 | 38:55 | 39 |
| კატანია | 37 | 9 | 11 | 17 | 44:68 | 38 |
| რეჯინა | 37 | 11 | 15 | 11 | 50:50 | 37 |
| სიენა | 37 | 8 | 14 | 15 | 33:44 | 37 |
| მესინა | 37 | 5 | 11 | 21 | 34:65 | 26 |
| ასკოლი | 37 | 4 | 12 | 21 | 34:66 | 24 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

**XXXVIII ტური**

27 მაისი

| | | |
|---|---|---|
| ლივორნო | : | ატალანტა |
| ასკოლი | : | კალიარი |
| კატანია | : | კიევო |
| პარმა | : | ემპოლი |
| სიენა | : | ლაციო |
| რომა | : | მესინა |
| რეჯინა | : | მილანი |
| უდინეზე | : | პალერმო |
| ფიორენტინა | : | სამპდორია |
| ინტერი | : | ტორინო |

## სერია B

## XXXIX ტური

არეცო — იუვენტუსი 1:5; ბარი — ჯენოა 2:2; ბოლონია — ბრეშა 0:1; ჩეზენა — პიაჩენცა 1:1; ფროზინონე — ტრევიზო 1:1; მანტოვა — ვერონა 0:2; ნაპოლი — მოდენა 1:1; პესკარა — ალბინოლეფე 2:3; სპეცია — რიმინი 3:4; ტრიესტინა — კროტონე 2:0; ვიჩენცა — ლეჩე 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 39 | 27 | 10 | 2 | 79:26 | 82 |
| ჯენოა | 39 | 22 | 8 | 9 | 65:43 | 74 |
| ნაპოლი | 39 | 19 | 15 | 5 | 48:28 | 72 |
| რიმინი | 39 | 16 | 15 | 8 | 52:34 | 63 |
| მანტოვა | 39 | 14 | 19 | 6 | 45:32 | 61 |
| პიაჩენცა | 39 | 18 | 7 | 14 | 52:47 | 61 |
| ბოლონია | 39 | 16 | 10 | 13 | 44:39 | 58 |
| ბრეშა | 39 | 16 | 10 | 13 | 41:40 | 58 |
| ალბინოლეფე | 39 | 11 | 20 | 8 | 42:38 | 53 |
| ლეჩე | 39 | 15 | 7 | 17 | 50:51 | 52 |
| ჩეზენა | 39 | 12 | 13 | 14 | 49:59 | 49 |
| ვიჩენცა | 39 | 11 | 14 | 14 | 40:38 | 47 |
| ტრევიზო | 39 | 10 | 16 | 13 | 40:42 | 46 |
| ტრიესტინა | 39 | 11 | 14 | 14 | 35:45 | 46 |
| ბარი | 39 | 10 | 14 | 15 | 34:40 | 44 |
| ფროზინონე | 39 | 10 | 14 | 15 | 38:50 | 44 |
| სპეცია | 39 | 10 | 13 | 16 | 45:55 | 43 |
| მოდენა | 39 | 10 | 12 | 17 | 35:45 | 42 |
| ვერონა | 39 | 10 | 12 | 17 | 28:41 | 42 |
| არეცო | 39 | 10 | 14 | 15 | 37:45 | 38 |
| კროტონე | 39 | 7 | 11 | 21 | 33:61 | 32 |
| პესკარა | 39 | 5 | 10 | 24 | 34:67 | 24 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## ინგლისი

### ასოციაციის თასის ფინალი

**ჩელსი 1:0დ.დ. (0:0) მანჩესტერი**

1:0 დროგბა (116)
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, ესიენი, ტერი, ბრიჯი, მიკელი, მაკელელე, ლამპარდი, შ. რაიტ-ფილიპსი (ს. კალუ 90), დროგბა, ჯ. კოული (რობენი 46; ე. კოული 108)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე, ფლეტჩერი (ა. სმიტი 90), სქოულზი, კარიკი (ოში 112), რონალდუ, რუნი, გიგზი (სოლსკიაერი 112)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მაკელელე, ფერეირა, ე. კოული, კალუ, სქოულზი, ვიდიჩი, სმიტი
მსაჯი: ბენეტი
89 826 მაყურებელი

# პორტუგალიელის მთელი ინგლისი



**ირაკლი გამყრელიძე ლონდონიდან**

**დიდიე დროგბამ** და ფრენკ ლამპარდმა ძირს დაუშვებელი ბურთით გაითამაშეს კედელი და დროგბამ ძირს დაუშვებლადვე წაჰკრა ბურთს ფეხი...

ეს მოხდა ასოციაციის თასის ფინალის 116-ე წუთზე და ახალ „უემბლიზე" პირველი თასის მფლობელი „ჩელსი" შეიქნა, „მანჩესტერს" კი დუბლის იმედი ჩაეშალა.

ჟოზე მაურინიუს ამჯერად მსაჯებზე არ დაუჩივლია. მეტიც, გოლი სტივ ბენეტის პატარა შეცდომას მოჰყვა, მოედნის შუაგულში ალან სმიტის ხისტი ვარდნა ბენეტმა ჯარიმად ჩათვალა და „ჩელსის" საუცხოო კომბინაციაც აქედან დაიწყო.

ისე კი, ეს მარადიული ფრეს თამაში იყო, თუმცა არა მოსაწყენი. უფრო ფრთხილი ეთქმოდა, განსაკუთრებით, პირველ ტაიმს, როცა გუნდები ერთმანეთს არ ზვერავდნენ, მაგრამ მაინც შანსის მოლოდინით თამაშობდნენ. ნამდვილი თამაში 55-ე წუთიდან გახურდა და მისი წამომწყები უეინ რუნი და არიენ რობენი იყვნენ. პირველმა უახლოეს 7 წუთში სამჯერ გადაიარა მოედანი და მაიკლ ესიენის თამადობით ყველა ჩელსელი წამოიკიდა, მეორემ კი ასევე ოთხჯერ მარცხენა ფლანგს გაადინა ბდღვირი.

ეს უფრო ნახევარმომენტების თამაში იყო, თუმცა ნამდვილი ნახევარმომენტებისა.

თვით დროგბას მიერ საჯარიმო დარტყმიდან ძელს წაწაცუნებული ბურთიც კი ნახევარმომენტი იყო. ასეთებივე ჰქონდათ რაიან გიგზს და იმან რუნის, რომლებიც ნამდვილად საუკეთესონი იყვნენ. საერთოდ კი, თამაში იქით მიდიოდა, რასაც ალექს ფერგიუსონი უფრთხოდა: პენლტები არ უნდოდა, მაგრამ თამაში ისეთი ტემპით მიექანებოდა პენალტებისკენ, რომ ნაღდად ეტყობოდა, მანამდე გადაიჩეხებოდა სადმე და ასეც მოხდა. ბურთი, რა თქმა უნდა, უფრო მეტად „მანჩესტერს" ეჭირა და შეტევითაც ის უტევდა. „ჩელსი" კი სწრაფად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე. ეს შანსის თამაში იყო და შანსი დიდოსტატებს უნდა შეექმნათ: საქმე ის იყო, რომელი მხრიდან, თორემ კლასი იმხელა იყო, ზოგჯერ თვალსაც სჭრიდა.

მანამდე კი დიდი ზეიმი იყო: მზით და ოდნავი ქარით გაჯერებულ ახალ „უემბლიზე" ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გამოჩნდა და ინგლისის თასის მფლობელს საპატიო სვლაც დიდებული გამოუვიდა. აქ იმდენ ცნობილ საფეხბურთო კაცს მოეყარა თავს, რომ თასის გადასაცემად ოჯახიდან მოვლინებული პრინცი უილიამი სულაც არ იწვევდა ინტერესს. მატჩი 160 ქვეყანაში გადაიცემოდა, მას მილიარდმა ადამიანმა უყურა, „უემბლის" თავზე კი 11-მა საბრძოლო თვითფრინავმა გადაიფრინა, ხოლო თასი მინდორზე მკერდჯილდოებიანმა სამეფო ოფიცრებმა გამოიტანეს.

რახან მინდორი ვახსენეთ, მას კრიტიკა ხვდა წილად: პეტერ შმეიხელმა თქვა, ძალიან მშრალია და ყველა ვარდნაზე იმტვრევაო.

ეს იყო პირველი დიდი თამაში „უემბლიზე" და მინდორიც საპატიებელია და უსაფრთხოების ზომებიც: სამ კილომეტრს იქით სტადიონს ვერ მიუახლოვდებოდი, ფეხით უნდა გევლო. სერ ალექსს და მთელს „მანჩესტერს" გულზე ვარდები ებნიათ, „ჩელსი" იასამნებით, ოლონდაც მაურინიუ უყვავილოდ იყო. ალბათ, ვითარცა სამხრეთელი.

ჟოზემ თავისი მაინც გააკეთა: ჯილდოს გარეშე არც ამ სეზონიდან წასულა და ლიგის თასს ასოციაციისა მიამატა, თანაც, კუდი მოიქნია, „მანჩესტერი" ჩემპიონი გახდა, მაგრამ ნახეთ, წლეულს ორჯერ მოვიგე და დუბლის შანსი მოვუსპეო. თუმცა, ენა არ მოუბრუნდა, ეთქვა, რომ ამ თამაშშიც უკეთესები ვიყავითო.

ასოციაციის თასის მფლობელის მედალი კი მას „ჩელსის" გულშემატკივრებისთვის არ უსვრია. ისე, როგორც შარშან ისროლა ჩემპიონის მედალი „სტემფორდ ბრიჯის" ტრასებისკენ: „ამ მედალს ძალიანაც გავუფრთხილდები. ის თასისაა — თან პირველი" — თქვა ჟოზემ.

ახლა მაურინიუს ყველა ინგლისური ჯილდო აქვს მოპოვებული, „უემბლიზე" კი უახლოეს ათ დღეში ოთხი თამაშია: სალიგო პლეი ოფების ფინალები და ინგლის — ბრაზილიის ამხანაგური მატჩი...

# იუვენტუსი: B...STA!

**ტურინის** „იუვენტუსი" სერია A-ში დაბრუნდა! შაბათს „ბებერმა ქალბატონმა" სტუმრად 5:1 გაანადგურა „არეცო", რომელსაც ანტონიო კონტე წვრთნის და უმაღლეს ლიგის საგზური ოფიციალურად გაინაღდა.

ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ არეცოელებს ორ-ორჯერ ალესანდრო დელ პიერომ და ჯორჯო კიელინიმ გაუტანეს, ერთიც დავიდ ტრეზეგემ შეაგდო, ხოლო მასპინძელთა კინკილა გოლი ფლორო ფლორესის ანგარიშზეა.

მატჩის შემდეგ ტურინელებმა ზეიმი მოაწყვეს. მათ ვარდისფერი მაისურები ეცვათ, რომელზეც ეწერა B...STA (B-ს ხაზი ჰქონდა გადასმული).

„საკმაოდ დიდი მიღწევაა, მიუხედავად ყველაფრისა, სერია A-ში დავბრუნდით. ასეც უნდა ყოფილიყო, ეს სეზონი, რომელსაც ბევრი კოშმარულს უწოდებს, ფაქტობრივად, დასრულდა. კოშმარული ალბათ გადაჭარბებული ნათქვამი არ არის — ჯერ დიდი მეგობარი და კლუბის წევრი რომეო გარდაიცვალა, მერე ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები ალესიო ფერამოსკა და რიკარდო ნერი დაიღუპნენ... ის გზაც, რომელიც სერია B-ში გავიარეთ, კოშმარული გახლდათ, მაგრამ დღეს ბედნიერი დღე და ზეიმისთვისაც შესაფერისი მომენტია" — თქვა „იუვენტუსის" ლიდერმა და კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ, რომელიც 20 გოლით სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირია.

„ბიანკონერის" ნახევარმცველი პაველ ნედვედი: „ამ მომენტს მთელი სეზონი ველოდი და ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა ეს ყველაფერი ისეთი ადვილი არ ყოფილა, როგორც ჩანს. ძალიან ბევრი ვიშრომეთ და ჩვენი მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ. მაღალ დონეზე და ახალგაზრდების გვერდით თამაში ჯერ კიდევ შემიძლია," ძალიან მოტივირებული ვარ. ვფიქრობ, ფანების წინაშე ვალი მოვიხადეთ და ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ".

„ძალიან სასიამოვნო გრძნობაა და ამაყი ვარ, რომ „იუვენტუსი" იქ დავაბრუნე, სადაც მისი ადგილია. სერია B-ში ველარ ვძლებდით. ბიჭებს ვთხოვე, დღესვე დაგვემთავრებინა ყველაფერი და ოფიციალურად გაგვენაღდებინა საგზური. მათაც იგივე სურვილი ჰქონდათ და მშვენივრადაც ითამაშეს. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ერთად დავძლიეთ და მიზანს დიდი შრომის წყალობით მივაღწიეთ კიდეც" — აღნიშნა „ბიანკონერის" ფრანგმა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

მოკლედ, „იუვე" დაბრუნდა!

**გიორგი ძაძაბაძე**





## პელემ მილანი იცის

**იტალიურ** „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში პელემ თქვა, რომ ჩემპიონთა ლიგას „მილანი" მოიგებს: „ჩემი აზრით, „მილანი" ფავორიტია. შეხედეთ, როგორ უმჯობესდებოდა მათი თამაშის ხარისხი გაზაფხულზე. თან სტამბოლური მარცხის გამო რევანში სწყურიათ. ფინალი ალბათ ისეთივე ლამაზი არ გამოვა, როგორიც „მილანი" — „მანჩესტერის" მატჩები, რადგან „ლივერპული" სხვანაირ ფეხბურთს თამაშობს. ფინალის ბედს ნახევარმცველები გადაწყვეტენ. ამ მხრივ კი კაკა და ზეედორფი აშკარად სჯობიან ლივერპულელებს".

## მალეზანის საიდუმლო ზვეზდა

**სერბული** მედიის ცნობით, „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელი ალბერტო მალეზანი გახდება, რომელიც ამჟამად „უდინეზეს" თავკაცობს. იტალიელი ივლისში ჩაიბარებს ბელგრადულ კლუბს — მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 800 ათას ევროს მიიღებს.

გარიგება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შედგა, მაგრამ „ცრვენა ზვეზდას" პრეზიდენტი დრაგან სტოიკოვიჩი საიდუმლოდ ინახავდა. ზვეზდელთა ახლანდელი მწვრთნელი ბოშკო ჯუკოვსკია, რომელმაც სეზონის შუაში დუშან ბაევიჩი შეცვალა და გუნდს ჩემპიონატი მოაგებინა.

## ჰარგრივსი რობენს უდრის

**როგორც** კი „მანჩესტერი" ოუენ ჰარგრივსის ტრანსფერს მოაგვარებს, არიენ რობენი „ჩელსიდან" „ბაიერნში" გადავა — წერს „გარდიანი". ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი მანჩესტერელებს 18 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ და მიუნხენელებიც ამ თანხით რობენს იყიდიან. ჰოლანდიელ ფეხბურთელს ჟოზე მაურინიუსთან ურთიერთობა წაუხდა და კლუბიდან წასვლა უნდა.

რობენი „ჩელსიში" 2004 წელს გადავიდა, მაგრამ ტრავმის გამო სამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 51 მატჩი ითამაშა.

## სამი წავა და მოვა

**„ჩელსი"** ამ ზაფხულს სამ ფეხბურთელს გაყიდის, მაგრამ მათ შორის ანდრეი შევჩენკო და მიხაელ ბალაკი არ იქნებიან — თქვა კლუბის აღმსრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა.

„ეს არ მოხდება — ბრძანა კინიონმა — შევჩენკო და ბალაკი ერთი სეზონისთვის არ გვიყიდია. ისინი სამ-ოთხ წელიწადს კიდევ დარჩებიან, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ უკეთესად ათამაშდებიან. ისინი პროფესიონალები არიან და ცოტა დრო სჭირდებათ. სეზონის ბოლოს სამ მოთამაშეს გავუშვებთ და სამ-ოთხს შევიძენთ. ახალმოსულებში ვარსკვლავები არ იქნებიან, რადგან ასეთები აღარ გვჭირდება. გუნდს მცველი, ნახევარმცველი და ფორვარდი დაემატებიან".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXXV ტური

**უელვა 2:3 რეალი**

0:1 რობინიო (9), 0:2 ვან ნისტელროი (53პ), 1:2 ხესუს ვასკესი (74პ), 2:2 უჩე (86), 2:3 რ. კარლოსი (90)
უელვა: ლაკაიტი, მერინო, ბეტუ, პაბლო ამო, პოლი, ხუანმა (აიტორი 58), ხესუს ვასკესი, ბარბერი, კაზორლა, როსუ (უჩე 46), სინამა-პონიოლი (ხავი გერერო 55)
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
რეალი: კასილიასი, მ. ტორესი, ს. რამოსი, კანავარო, რ. კარლოსი, ბექჰემი, დიარა, გაგო, რობინიო (გუტი 78), რაული (იგუაინი 89), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კანავარო, ლაკაიტი, ბექჰემი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
20 092 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:6 ბარსელონა**

0:1 მესი (39), 0:2 ძამბროტა (44), 0:3 ეტოო (45), 0:4 რონალდინიო (58), 0:5 მესი (80), 0:6 ინიესტა (90)
ატლეტიკო: პიჩუ, სეიტარიდისი, ზე კასტრო, ელერი, ა. ლოპესი, მანიშე (მაქსი როდრიგესი 40), ლუქსენი, გალეტი (აგერო 52), ხურადო, პეტროვი (მისტა 70), ფ. ტორესი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ტურამი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი (გუდიონსენი 80), ედმილსონი (ტ. მოტა 77), დეკუ (ინიესტა 67), მესი, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: სეიტარიდისი, ელერი, ელერი, ლუქსენი
გაძევება: ელერი (72)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
50 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:2 სევილია**

1:0 ბოდიპო (72), 1:1 რენატო (75), 1:2 კანუტი (83)
დეპორტივო: ავატი, კოლოჩინი, ლოპო, ანდრადე, კაპდევილა, სერხიო, დე გუზმანი, ესტოიანოფი (ბოდიპო 58), ხუან როდრიგესი, რიკი (ფილიპე 15), არისმენდი (ტაბორდა 85)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ხავი ნავარო, ესკუდე, დავიდი, ხესუს ნავასი, მარესკა (მარტი 46), რენატო, ადრიანუ (დუდა 58), ჩევანტონი (ლუიშ ფაბიანო 58), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ანდრადე, ბოდიპო, ხუან როდრიგესი, კოლოჩინი, დანი ალვეში, ხავი ნავარო
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
12 000 მაყურებელი

**მალიორკა 0:1 ვალენსია**

0:1 ხოაკინი (89)
მალიორკა: მოია, ექტორი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ფ. ნავარო, ვარელა (იანკოვიჩი 71), პერეირა, ბასინასი, ხონასი, იბაგასა, არანგო (კასადესუსი 77)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, აიალა, მორეტი, მარჩენა, ალბელდა (ბარახა 66), ხოაკინი, დ. სილვა (ხორხე ლოპესი 82), ანგულო (გავილანი 59), ვილია
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: ნავარო, ექტორი, მორეტი, აიალა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
18 000 მაყურებელი

**სარაგოსა 4:3 ბილბაო**

1:0 დ. მილიტო (16), 2:0 დიოგო (19), 2:1 ადურიცი (36), 3:1 სერხიო გარსია (37), 4:1 მურილიო (45ს.გ.), 4:2, 4:3 ადურიცი (71პ, 78)
სარაგოსა: სესარი, დიოგო, სერხიო ფერნანდესი, გ. მილიტო, ხუანფრანი, დალესანდრო (ლაფიტა 72), საპატერი, მოვილია, აიმარი (სელადესი 90), სერხიო გარსია (ლონგასი 81), დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ბილბაო: არანსუბია, ექსპოზიტო, ლ. პრიეტო, სარიეგი, ამორებიეტა (ხავი გონსალესი 46), მურილიო, ირაოლა, იესტე, გაბილონდო (ლორენტე 83), ხავი მარტინესი (ეჩებერია 56), ადურიცი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: სესარი, სერხიო ფერნანდესი, აიმარი, ექსპოზიტო
მსაჯი: პინო სამორანო
25 000 მაყურებელი

# მადრიდის რეალი დეტექტივებს წერს




AFP

**ესპანიოლი 1:5 ხეტაფე**

1:0 კორომინასი (4), 1:1 კასკერო (7), 1:2 მანუ (42), 1:3 პულიდო (54), 1:4 გიზა (64), 1:5 მანუ (70)
ესპანიოლი: კამენი, ჩიკა, ხარკე, ლაკრუსი, ველასკო (ლუის გარსია 63), მოიზესი, ჟონატასი (დე ლა პენია 57), კორომინასი, მოა, პანდიანი (ანხელი 77), ტამუდო
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ხეტაფე: აბონდანსიერი, კონტრა, პულიდო, ბელენგერი, პაროდესი, ალბერტო, კასკერო (ალბინი 79), მარიო კოტელო, მანუ (ვერპაკოვსკისი 83), ნაჩო, გიზა (სოუზა 70)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: გიზა, კასკერო, პაროდესი
მსაჯი: პერეს ლასა
20 200 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:1 რასინგი**

1:0 ტაკინარდი (18), 2:0 ჩანი (57), 2:1 ფელიპე მელო (64)
ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, არუაბარენა, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, ტაკინარდი, მ. სენა, ჩანი (სომოსა 88), პირესი (მატიას ფერნანდესი 70), გ. ფრანკო, ფორლანი (მარკოსი 83)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
რასინგი: ტონიო, პინილიოსი, რუბენი, გარაი, ორიოლი, სკალონი, კოლსა (ბალბოა 53), ვიტოლო, ოსკარ სერანო (კრისტიან ალვარესი 76), ფელიპე მელო, ჟიგიჩი (ხუანხო 62)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ პორტუგალი
გაფრთხილება: ორიოლი, ხუანხო, ოსკარ სერანო, სკალონი, ვიტოლო, გარაი, ტაკინარდი, არუაბარენა
მსაჯი: დელგადო ფერეირა
15 000 მაყურებელი

**ლევანტე 1:4 ოსასუნა**

0:1, 0:2 სოლდადო (18, 32), 1:2 დესკარგა (44), 1:3 რაულ გარსია (45), 1:4 სოლგადო (64)
ლევანტე: მოლინა, დესკარგა, ალვარო, ალექსისი, რუბიალესი (სალვა 46), ზე მარია (კავალიერი 5), კამაჩო (ნდიაიე 73), ტომაზი, კურტუა, რიგა, რეგი
მწვრთნელი: აბელ რესინო
ოსასუნა: რიკარდო, მ. ფლანიო, კუელიარი, კრუჩაგა, კორალესი, ვალდო, პუნიალი, ნეკუნამი, დავიდ ლოპესი (ხუანფრანი 69), რაულ გარსია (მუნიოსი 87), სოლდადო (ვებო 83)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
გაფრთხილება: ალექსისი, კამაჩო, კურტუა, ვალდო
გაძევება: მოლინა (4)
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
21 294 მაყურებელი

მადრიდის „რეალი“ ცეცხლს და ჩემპიონობას ეთამაშება — უკვე ზედიზედ მესამე ტურია, ფაბიო კაპელოს გუნდი დაუჯერებელი სცენარით იგებს თამაშებს და საპრიმერო ლიდერობასაც ინარჩუნებს.

ჯერ იყო და, „რეალმა“ „სევილიას“ აჯობა უდრამატულეს მატჩში, მერე „ესპანიოლთან“ 4:3 მოგებით აალაპარაკა საფეხბურთო მილეთი და ახლა ამათ „უელვასთან“ საგარეო ტრილერიც დაემატა — მადრიდელებმა ბოლო წამს გამოჰგლიჯეს სამი ქულა მასპინძლებს.

არადა, ვინ იფიქრებდა, საქმე აქამდე თუ მივიდოდა — 54-ე წუთზე „რეალი“ რობინიოს და რუუდ ვან ნისტელროის გოლებით 2:0 იგებდა და როგორი დასაჯერებელია, რომ ამის შემდეგ პატარა „უელვამ“ მრისხანე „რეალი“ შეავიწროვა?!

თუმცა „შეავიწროვა“ რბილი ნათქვამია მაშინ, როცა მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს: 74-ე წუთზე ხესუს ვასკესმა პენალტი გაიტანა, 86-ეზე კი უჩემ მეორეც შეაგდო და...

ნუთუ ასე მალე დაკარგავდა ძლივს მოპოვებულ პირველ ადგილს „რეალი“?!

არა! — ასეთია განგების და რობერტო კარლოსის პასუხი. ვეტერანმა ბრაზილიელმა მცველმა მსაჯის საფინალო სასტვენს დაასწრო და 2:3!

იმდენი იძახეს მადრიდელებმა, ყველა ფინალი დაგვრჩაო, ჩანს, მათმა მეტოქეებმაც ასე ჩათვალეს და საინტერესოა, რა იქნება მომდევნო ტურში?

ალბათ კიდევ ერთი სპექტაკლი...

ოღონდ არა ისეთი, როგორიც ამ ტურში დედაქალაქელთა მდევარმა და მთავარმა კონკურენტმა „ბარსელონამ“ სწორედ დედაქალაქში დადგა — კატალონიელებმა „ატლეტიკოს“ გადაურბინეს.

6:0 — ასე მოუგო „ბარსელონამ“ მეტოქეს და წარმოიდგინეთ, რა გაშმაგებული ბრძოლა გველის პრიმერადივიზიონის დარჩენილ სამ ტურში.

ლიონელ მესი (ორჯერ), ჯანლუკა ძამბროტა, სამუელ ეტოო, რონალდინიო და ანდრეს ინიესტა — „ატლეტიკო“ ამათ დაბომბეს.

ტურის სხვა მატჩთაგან გამოსარჩევია „ხეტაფეს“ საგარეო 5:1 უეფას თასის ფინალისტ „ესპანიოლთან“ და უეფას თასის მომგებ „სევილიას“ 2:1 მოგება ასევე სტუმრად „დეპორტივოსთან“...

ელოდეთ ტრილერებს...

**ქახა ზალამბერიძე**

**ბიტისი 1:1 ხიმნასტიკი**

0:1 პორტილიო (88პ), 1:1 ხისკო (90პ)
ბეტისი: კონტრერასი, ილიჩი, ნანო, ხუანიტო, ისიდორო, მ. ასუნსაო, ფოგელი, კაპი (რობერტი 21), ოდონჯორი (ფერნანდო 24), სობისი, ედუ (ხისკო 33)
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
ხიმნასტიკი: რუბენ პერესი, გ. კალვა, ნავასი, მატელანი, მარკო, მერინო (ისმაელი 21), შაბო, კამპანო (კუელიარი 24), პორტილიო, რუბენ კასტრო (მაკუკულა 35), ხენერელო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: მატელანი, ილიჩი, ფოგელი
მსაჯი: კლოს გომესი
35 000 მაყურებელი

**სოსიედადი 3:1 სელტა**

0:1 გუსტავო ლოპესი (19), 1:1 კოვაჩევიჩი (46), 2:1 სავიო (50), 3:1 ლოპეს რეკარტე (77)
სოსიედადი: ბრავო, ესტრადა, ანსოტეგი, ვიქტორ ლოპესი, გარიდო, გარიტანო, ხუანიტო (მიკელ ალონსო 81), ხ. პრიეტო, სავიო (ლოპეს რეკარტე 74), კოვაჩევიჩი, ერერა (დე სერიო 66)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სელტა: ესტებანი, ანხელი, კონტრერასი, პლასენტე (ბამოგო 79), ტამაში, ოუბინია, პაბლო გარსია, კანობიო (ნუნიესი 66), ნენე, გუსტავო ლოპესი, ფ. ბაიანო
მწვრთნელი: ხრისტო სტოიჩკოვი
გაფრთხილება: გარიტანო, დე სერიო, პაბლო გარსია, კონტრერასი
მსაჯი: მეხია დავილა
27 015 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 35 | 21 | [illegible] | 8 | [illegible] | [illegible] |
| ბარსელონა | 35 | 20 | 9 | 6 | 70:30 | 69 |
| სევილია | 35 | 20 | 7 | 8 | 61:33 | 67 |
| ვალენსია | 35 | 20 | 5 | 10 | 50:32 | 65 |
| სარაგოსა | 35 | 16 | 10 | 9 | 51:37 | 58 |
| ატლეტიკო | 35 | 15 | 9 | 11 | 40:35 | 54 |
| ვილიარეალი | 35 | 15 | 8 | 12 | 41:41 | 53 |
| ხეტაფე | 35 | 14 | 10 | 11 | 38:29 | 52 |
| უელვა | 35 | 14 | 8 | 13 | 48:48 | 50 |
| რასინგი | 35 | 12 | 13 | 10 | 40:43 | 49 |
| მალიორკა | 35 | 14 | 6 | 15 | 40:43 | 48 |
| ესპანიოლი | 35 | 11 | 12 | 12 | 42:48 | 45 |
| დეპორტივო | 35 | 11 | 11 | 13 | 26:36 | 44 |
| ოსასუნა | 35 | 11 | 7 | 17 | 43:47 | 40 |
| ბეტისი | 35 | 7 | 16 | 12 | 33:42 | 37 |
| ლევანტე | 35 | 8 | 12 | 15 | 30:47 | 36 |
| ბილბაო | 35 | 8 | 10 | 17 | 40:59 | 34 |
| სოსიედადი | 35 | 8 | 9 | 18 | 29:42 | 33 |
| სელტა | 35 | 7 | 9 | 19 | 33:55 | 30 |
| ხიმნასტიკი | 35 | 6 | 7 | 22 | 32:62 | 25 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (რეალი) | 22 |
| კანუტი (სევილია) | 20 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 20 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 19 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 15 |
| ვილია (ვალენსია) | 13 |

**XXXVI ტური**

27 მაისი

| | |
|---|---|
| ბილბაო | მალიორკა |
| სევილია | სარაგოსა |
| რეალი | დეპორტივო |
| უელვა | ესპანიოლი |
| ბარსელონა | ხეტაფე |
| ხიმნასტიკი | ატლეტიკო |
| სელტა | ბეტისი |
| ოსასუნა | სოსიედადი |
| რასინგი | ლევანტე |
| ვალენსია | ვილიარეალი |

**სეგუნდადივიზიონი**

**XXXVIII ტური**

ერკულესი — ხერესი 2:0; ალმერია — პონფერადინა 3:1; ალავესი — პოლი ეხიდო 2:1; ნუმანსია — ლას პალმასი 3:0; სპორტინგი — სალამანკა 2:1; ვესინდარიო — რეალი B 2:1; მურსია — ელჩე 0:2; ტენერიფე — მალაგა 1:2; ალბასეტე — სიუდად მურსია 2:2; კადისი — ლორკა 0:0; კასტელიონი — ვალიადოლიდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 38 | 23 | 10 | 5 | 62:30 | 79 |
| ალმერია | 38 | 22 | 7 | 9 | 65:43 | 73 |
| მურსია | 38 | 20 | 11 | 7 | 56:37 | 71 |
| სიუდად მურსია | 38 | 16 | 9 | 13 | 44:37 | 57 |
| ხერესი | 38 | 16 | 8 | 14 | 44:37 | 56 |
| ალბასეტე | 38 | 15 | 11 | 12 | 46:43 | 56 |
| ნუმანსია | 38 | 14 | 12 | 12 | 43:39 | 54 |
| სალამანკა | 38 | 14 | 11 | 13 | 48:43 | 53 |
| კადისი | 38 | 13 | 14 | 11 | 43:39 | 53 |
| ელჩე | 38 | 14 | 10 | 14 | 42:41 | 52 |
| ტენერიფე | 38 | 15 | 6 | 17 | 40:46 | 51 |
| სპორტინგი | 38 | 14 | 8 | 16 | 45:42 | 50 |
| კასტელიონი | 38 | 13 | 11 | 14 | 40:39 | 50 |
| ერკულესი | 38 | 13 | 11 | 14 | 45:45 | 50 |
| მალაგა | 38 | 13 | 11 | 14 | 44:45 | 50 |
| პოლი ეხიდო | 38 | 13 | 10 | 15 | 44:46 | 49 |
| ლას პალმასი | 38 | 12 | 11 | 15 | 44:50 | 47 |
| ალავესი | 38 | 11 | 13 | 14 | 45:55 | 46 |
| რეალი B | 38 | 12 | 8 | 18 | 45:58 | 44 |
| პონფერადინა | 38 | 9 | 13 | 16 | 38:52 | 40 |
| ლორკა | 38 | 9 | 9 | 20 | 35:52 | 36 |
| ვესინდარიო | 38 | 7 | 6 | 25 | 36:75 | 27 |

## ბელგია

### იუპილერლიგა
### XXXIV ტური

**ბეერსხოტი 3:0 რუზელარე**
1:0 სტერჩელე (36), 2:0, 3:0 ლოხადა (77, 89)

**შარლერუა 2:1 ზულტე-ვარეგემი**
1:0 გუედეხი (14), 2:0 ო. კოშტა (51), 2:1 მეერტი (90)

**ბრიუგე 3:3 სერკლი**
0:1 გომბამი (3), 1:1 ლეკო (45), 1:2 პივალიევიჩი (49), 2:2 ლეკო (55პ), 2:3 პორტიე (59), 3:3 ლეკო (63)

**ბრიუსელი 3:1 გენკი**
0:1 ლიუბოიევიჩი (14), 1:1 ტეპო (45), 2:1 გორიუსი (61), 3:1 მატუმონა (75პ)

**ლოკერენი 1:4 ლიერსი**
0:1 გ. იანსენსი (27), 0:2 ტუბაბო (36), 1:2 მბაიო (48), 1:3, 1:4 გ. მილერი (62, 72)

**მონსი 3:1 ანდერლეხტი**
1:0 დამანე (25), 2:0 სტოლიცა (37), 2:1 ტშიტე (89პ), 3:1 დამანე (90)

**მუსკრონი 2:0 სტანდარდი**
1:0 ბერტინი (36), 2:0 ბა (44)

**სენტ ტრუიდენი 3:2 ბევერენი**
1:0 სიშუბა (3), 1:1 დისა (8), 2:1 ვიშნიოვსკი (60), 2:2 სავანე (83), 3:2 სიმაესი (90)

**ვესტერლო 1:1 გენტი**
1:0 დირარი (62), 1:1 ფოლი (75)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 34 | 23 | 8 | 3 | 75:30 | 77 |
| გენკი | 34 | 22 | 6 | 6 | 71:37 | 72 |
| სტანდარდი | 34 | 19 | 7 | 8 | 62:38 | 64 |
| გენტი | 34 | 18 | 6 | 10 | 56:40 | 60 |
| შარლერუა | 34 | 17 | 9 | 8 | 51:40 | 60 |
| ბრიუგე | 34 | 14 | 9 | 11 | 58:40 | 51 |
| ბეერსხოტი | 34 | 14 | 9 | 11 | 52:46 | 51 |
| ვესტერლო | 34 | 12 | 10 | 12 | 41:44 | 46 |
| მონსი | 34 | 12 | 8 | 14 | 41:41 | 44 |
| მუსკრონი | 34 | 10 | 12 | 12 | 51:55 | 42 |
| რუზელარე | 34 | 10 | 9 | 15 | 50:72 | 39 |
| სერკლი | 34 | 10 | 8 | 16 | 31:36 | 38 |
| ბრიუსელი | 34 | 8 | 14 | 12 | 39:50 | 38 |
| ზულტე-ვარეგემი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:54 | 37 |
| სენტ ტრუიდენი | 34 | 9 | 8 | 17 | 39:52 | 35 |
| ლოკერენი | 34 | 5 | 15 | 14 | 32:48 | 30 |
| ლიერსი | 34 | 6 | 8 | 20 | 33:66 | 26 |
| ბევერენი | 34 | 5 | 10 | 19 | 31:64 | 25 |

### მეორე კლასი
### XXXIV ტური

დაინცე — ოსტენდე 1:5; ვაასლანდი — დეხელი 3:4; ოუდ ჰევერლე — კორტრაიკი 1:2; სენტ ჟილი — ტინენი 2:1; ლომელი — ვირტონი 4:2; ვარეგემი — რონსე 4:0; ვიგორი — მეხელენი 2:1; დენდერი — ანტვერპენი 2:1; ტუბიკე — ეუპენი 3:3

## არგენტინა

### კლაუსურა
### XV ტური

არგ. ხუნიორსი — როსარიო 0:0; არსენალი — ბანფილდი 2:2; ოლდ ბოისი — სან ლორენსო 0:1; ლანუსი — კოლონი 3:0;ველესი — ხიმნასია (ლ) 0:0; რასინგი — ინდეპენდიენტე 1:1; რივერ პლეიტი — ესტუდიანტესი 0:1; ხიმნასია (ხ) — ბელგრანო 0:0; ნუევა ჩიკაგო — გოდოი კრუზი 0:0; კოლმესი — ბოკა ხუნიორსი 1:2

## ბრაზილია

### სერია A
### II ტური

ატლ. პარანენსე — ინტერნასიონალი 2:1; ჟუვენტუდე — პარანა 1:2; სანტოსი — ამერიკა 2:3; ბოტაფოგო — ატლ. მინეირო 2:1; კრუზეირო — კორინთიანსი 0:3; გოიასი — ფლამენგო 1:3; პალმეირასი — ფიგეირენსე 2:1. *გრემიო — ფლუმინენსე, ნაუტიკო — სან პაულუ და ვასკუ და გამა — სპორტ რესიფე წუხელ გვიან დამთავრდა*

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი
### XVII ტური

უნივ. კათოლიკა — ო ჰიგინსი 4:1; სანტიაგო — ლოტა 5:2; ლა სერენა — უნივ. კონსეპსიონი 1:0; ანტოფაგასტა — კობრესალი 0:1. *აუდაქს იტალიანო — კოლო კოლო, ატლეტიკო — კოკიმბო, მელიპილია — პუერტო მონტი, უაჩიპატო — უნიონ ესპანიოლა, დეპ. კონსეპსიონი — ევერტონი და კობრელოა — პალესტინო წუხელ გვიან დამთავრდა*

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა
### XXIX ტური

*ბრნო — კლადნო, ლიბერეცი — ტეპლიცე, მოსტი — ბოლესლავი, სიგმა — სპარტა, ბანიკი — ბუდეიოვიცე, პლზენი — იაბლონეცი, სლავია — ზლინი და სლოვაცკო — პრჟიბრამი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 28 | 16 | 8 | 4 | 37:20 | 56 |
| ლიბერეცი | 28 | 15 | 10 | 3 | 42:18 | 55 |
| ბოლესლავი | 28 | 16 | 6 | 6 | 43:26 | 54 |
| სლავია | 28 | 15 | 7 | 6 | 40:21 | 52 |
| ტეპლიცე | 28 | 11 | 9 | 8 | 43:35 | 42 |
| პლზენი | 28 | 11 | 9 | 8 | 33:28 | 42 |
| ბანიკი | 28 | 10 | 10 | 8 | 35:31 | 40 |
| ბრნო | 28 | 11 | 7 | 10 | 33:32 | 40 |
| იაბლონეცი | 28 | 8 | 11 | 9 | 28:30 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 28 | 9 | 7 | 12 | 26:39 | 34 |
| მოსტი | 28 | 5 | 15 | 8 | 30:35 | 30 |
| კლადნო | 28 | 7 | 9 | 12 | 22:34 | 30 |
| ზლინი | 28 | 5 | 11 | 12 | 19:31 | 26 |
| სიგმა | 28 | 6 | 7 | 15 | 28:40 | 25 |
| პრჟიბრამი | 28 | 3 | 12 | 13 | 15:34 | 21 |
| სლოვაცკო | 28 | 2 | 10 | 16 | 17:37 | 16 |

## ბულგარეთი

### ვიშა ლიგა
### XXIX ტური

ბეროე — ჩერნომორეცი 6:0; ბოტევი — ვიხრენი 1:2; ცსკა — როდოპა 1:0; ლიტექსი — ლოკომოტივი (პლ) 5:1; ლოკომოტივი (ს) — ლევსკი 3:5; რილსკი — ბელასიცა 1:2; სლავია — მარეკი 1:0; სპარტაკი — ჩერნო მორე 2:0

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი
### II ტური

ფილკირი — ვალიური 1:2; ფრამი — ვიკინგური 0:2; რეიკიავიკი — ბრეიდაბლიკი 1:1; კეფლავიკი — ჰაფნარფიორდური 1:2. *კოპავოგური — აკრანესი დღეს გაიმართება*

## მექსიკა

### კლაუსურა. პლეი ოფი
### 1/2 ფინალი
### საპასუხო მატჩები

**გვადალახარა — ამერიკა (0:1)**
*წუხელ გვიან დამთავრდა*

**პაჩუკა — კრუზ ასული (3:1)**
*წუხელ გვიან დამთავრდა*

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### XXXVII ტური

**ოსერი 2:1 ლილი**
1:0 კალენბერგი (15), 1:1 კეიტა (28), 2:1 იელენი (79)

**ლე მანი 1:1 ბორდო**
1:0 გრაფიტე (59პ), 1:1 პერეა (71)

**ლანსი 0:0 ნიცა**

**მონაკო 1:0 ლიონი**
1:0 მენეზი (59)

**ნანსი 5:2 სოშო**
1:0 ფორტუნი (20), 2:0 პიუგრენიე (32), 2:1 ბირსა (45), 3:1 გავანონი (67), 4:1 ფორტუნი (79), 4:2 დაგანო (89), 5:2 სოფე (90)

**ნანტი 0:0 ტულუზი**

**პსჟ 2:1 ტრუა**
0:1 ნივე (23), 1:1, 2:1 პაულეტა (71პ, 78)

**რენი 4:1 ლორიანი**
1:0 მელხიოტი (2), 1:1 ევოლო (23), 2:1 შეირუ (51), 3:1 უტაკა (77), 4:1 ჟენეჩამპი (88)

**სენტ ეტიენი 1:2 მარსელი**
0:1 ჯ. სისე (54), 1:1 ფეინდუნო (70), 1:2 ვალბუენა (86)

**სედანი 1:1 ვალანსიენი**
0:1 პასლი (51), 1:1 ჟობი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 37 | 23 | 9 | 5 | 61:26 | 78 |
| მარსელი | 37 | 18 | 7 | 12 | 52:38 | 61 |
| ლანსი | 37 | 15 | 12 | 10 | 47:38 | 57 |
| ბორდო | 37 | 16 | 9 | 12 | 38:32 | 57 |
| რენი | 37 | 14 | 14 | 9 | 37:29 | 56 |
| სოშო | 37 | 14 | 12 | 11 | 45:48 | 54 |
| ტულუზი | 37 | 15 | 8 | 14 | 41:42 | 53 |
| ოსერი | 37 | 12 | 15 | 10 | 38:40 | 51 |
| სენტ ეტიენი | 37 | 14 | 7 | 16 | 52:49 | 49 |
| ლილი | 37 | 13 | 10 | 14 | 44:42 | 49 |
| ნანსი | 37 | 13 | 10 | 14 | 37:42 | 49 |
| ლორიანი | 37 | 12 | 13 | 12 | 33:39 | 49 |
| მონაკო | 37 | 12 | 12 | 13 | 43:38 | 48 |
| ლე მანი | 37 | 11 | 15 | 11 | 42:43 | 48 |
| პსჟ | 37 | 11 | 12 | 14 | 41:42 | 45 |
| ვალანსიენი | 37 | 11 | 10 | 16 | 35:45 | 43 |
| ნიცა | 37 | 9 | 15 | 13 | 31:37 | 42 |
| ტრუა | 37 | 8 | 12 | 17 | 36:54 | 36 |
| სედანი | 37 | 7 | 14 | 16 | 46:57 | 35 |
| ნანტი | 37 | 7 | 14 | 16 | 28:46 | 35 |

### მეორე დივიზიონი
### XXXVII ტური

აიაჩო — მონპელიე 0:2; შატორუ — გენგამი 1:0; კრეტეი — ამიენი 0:2; გრენობლი — დიჟონი 2:1; გენიონი — ბასტია 4:2; ისტრი — კაენი 1:2; ლე ავრი — ნიორი 2:2; რეიმსი — ლიბურნი 1:1; სტრასბური — მეცი 2:1; ტურსი — ბრესტი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 37 | 22 | 10 | 5 | 53:20 | 76 |
| სტრასბური | 37 | 19 | 13 | 5 | 46:30 | 70 |
| კაენი | 37 | 18 | 14 | 5 | 63:39 | 68 |
| ამიენი | 37 | 20 | 6 | 11 | 55:42 | 66 |
| გრენობლი | 37 | 15 | 14 | 8 | 51:38 | 59 |
| ლე ავრი | 37 | 15 | 11 | 11 | 52:36 | 56 |
| შატორუ | 37 | 15 | 9 | 13 | 41:42 | 54 |
| დიჟონი | 37 | 13 | 12 | 12 | 41:46 | 51 |
| ბასტია | 37 | 13 | 11 | 13 | 48:48 | 50 |
| რეიმსი | 37 | 12 | 11 | 14 | 43:43 | 47 |
| აიაჩო | 37 | 12 | 11 | 14 | 44:47 | 47 |
| გენიონი | 37 | 12 | 9 | 16 | 45:51 | 45 |
| ლიბურნი | 37 | 12 | 8 | 17 | 42:50 | 44 |
| გენგამი | 37 | 10 | 13 | 14 | 43:43 | 43 |
| ბრესტი | 37 | 9 | 15 | 13 | 37:40 | 42 |
| მონპელიე | 37 | 10 | 11 | 16 | 40:48 | 41 |
| ნიორი | 37 | 9 | 14 | 14 | 33:44 | 41 |
| კრეტეი | 37 | 9 | 13 | 15 | 32:48 | 40 |
| ისტრი | 37 | 8 | 11 | 18 | 34:59 | 35 |
| ტურსი | 37 | 5 | 8 | 24 | 28:57 | 23 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### XXXVIII ტური

**დანდი იუნ. 0:0 მოზერუელი**

**დანფერმლაინი 0:3 ფოლკირკი**
0:1 ტომსონი (49), 0:2 გოუვი (57), 0:3 მუტინიუ (90)

**სენტ მირენი 0:1 ინვერნესი**
0:1 მაკკეფრი (74)

**აბერდინი 2:0 რეინჯერსი**
1:0 სევერინი (21), 2:0 ლოველი (32)

**ჰიბერნიანი 2:1 სელტიკი**
0:1 რიორდანი (36), 1:1 ს. ბრაუნი (60), 2:1 სპრული (90)

**კილმარნოკი 1:0 ჰარტსი**
1:0 ს. ნეისმიტი (82პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 38 | 26 | 6 | 6 | 65:34 | 84 |
| რეინჯერსი | 38 | 21 | 9 | 8 | 61:32 | 72 |
| აბერდინი | 38 | 19 | 8 | 11 | 55:38 | 65 |
| ჰარტსი | 38 | 17 | 10 | 11 | 47:35 | 61 |
| კილმარნოკი | 38 | 16 | 7 | 15 | 47:54 | 55 |
| ფოლკირკი | 38 | 15 | 5 | 18 | 49:47 | 50 |
| ჰიბერნიანი | 38 | 13 | 10 | 15 | 56:46 | 49 |
| ინვერნესი | 38 | 11 | 13 | 14 | 42:48 | 46 |
| დანდი იუნ. | 38 | 10 | 12 | 16 | 40:59 | 42 |
| მოზერუელი | 38 | 10 | 8 | 20 | 41:61 | 38 |
| სენტ მირენი | 38 | 8 | 12 | 18 | 31:51 | 36 |
| დანფერმლაინი | 38 | 8 | 8 | 22 | 26:55 | 32 |

## ჰოლანდია

### ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფი
### ფინალი. პირველი მატჩი

**ალკმაარი 2:1 აიაქსი**
1:0 ციომერი (2), 1:1 სნეიდერი (13), 2:1 არველაძე (90)

### უეფას თასის პლეი ოფი
### ფინალი. საპასუხო მატჩი

**გრონინგენი 2:1 უტრეხტი (2:0)**

### ინტერტოტოს თასის პლეი ოფი
### ფინალი. საპასუხო მატჩი

**ნაიმეგენი 0:2 ვიტესი (0:1)**

### გადასასვლელი პლეი ოფი
### V ტური

**როზენდალი 1:1 ექსელსიორი**

**ვენლო 2:0 ვალვაიკი**

## იაპონია

### ჯეი ლიგა
### XII ტური

გამბა — კაშივა 2:1; ნიიგატა — კაშიმა 1:1; ნაგოია — ურავა 1:2; ოიტა — კავაზაკი 2:0; იჩიპარა — ჰიროშიმა 1:3; ომია — ფკ იოკოჰამა 1:0; კოფუ — შიმიცუ 0:0; ივატა — კობე 2:3; იოკოჰამა — ტოკიო 0:1

## აშშ

### MLS
### VIII ტური

ტორონტო — ვაშინგტონი 1:2; ნიუ იორკი — კოლუმბუსი 4:0; ჰიუსტონი — ნიუ ინგლენდი 0:1; კოლორადო — კანზასი 1:1. *ჩივასი — ლოს ანჯელესი და დალასი — სოლტ ლეიკი გვიან დამთავრდა*

## ირლანდია

### პრემიერლიგა
### XI ტური

ბრეი — სლიგო 2:0; კორკი — ბოჰემიანსი 2:1; გალვეი — დუბლინი 0:0; ლონგფორდი — დერი 0:0. *სენტ პატრიკსი — დროჰედა დღეს გაიმართება, შემროკი — უოტერფორდი 1:1-ზე ჩაიშალა*

## პორტუგალია

### სუპერლიგა
### XXX ტური

**მარიტიმუ 1:2 ბოავიშტა**
0:1 გრჟელაკი (17), 1:1 შმიტი (47), 1:2 ლინცი (69)

**ამადორა 1:1 ლეირია**
1:0 ანსელმო (60), 1:1 სლუსარსკი (66)

**ნავალი 1:2 სეტუბალი**
1:0 ელიველტონი (10), 1:1 აური (18), 1:2 აიევუ (34)

**ბეირა მარი 1:1 ფერეირა**
0:1 კრისტიანუ (9), 1:1 მატოში (48)

**ბენფიკა 2:0 აკადემიკა**
1:0 დერლეი (11), 2:0 მანტორაში (80)

**ბრაგა 1:1 ნასიონალი**
0:1 დიეგუ (4), 1:1 ვენდერი (9)

**პორტუ 4:1 ავეში**
1:0 ადრიანუ (27), 1:1 მორეირა (34), 2:1 ლ. ლოპესი (52), 3:1 რიბეირუ (59ს.კ.), 4:1 ლ. ლოპესი (90)

**სპორტინგი 4:0 ბელენენსეში**
1:0 ლიდსონი (10), 2:0 ალეშანდრო (20), 3:0 პერენინია (90), 4:0 დიალო (90)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 30 | 22 | 3 | 5 | 65:20 | 69 |
| სპორტინგი | 30 | 20 | 8 | 2 | 54:15 | 68 |
| ბენფიკა | 30 | 20 | 7 | 3 | 55:20 | 67 |
| ბრაგა | 30 | 14 | 8 | 8 | 35:30 | 50 |
| ბელენენსეში | 30 | 15 | 4 | 11 | 36:30 | 49 |
| ფერეირა | 30 | 10 | 12 | 8 | 31:36 | 42 |
| ლეირია | 30 | 10 | 11 | 9 | 25:27 | 41 |
| ნასიონალი | 30 | 11 | 6 | 13 | 41:38 | 39 |
| ბოავიშტა | 30 | 8 | 11 | 11 | 32:34 | 35 |
| ამადორა | 30 | 9 | 8 | 13 | 23:36 | 35 |
| ნავალი | 30 | 7 | 11 | 12 | 28:37 | 32 |
| მარიტიმუ | 30 | 8 | 8 | 14 | 30:44 | 32 |
| აკადემიკა | 30 | 6 | 8 | 16 | 28:46 | 26 |
| სეტუბალი | 30 | 5 | 9 | 16 | 21:45 | 24 |
| ბეირა მარი | 30 | 4 | 11 | 15 | 29:55 | 23 |
| ავეში | 30 | 5 | 7 | 18 | 22:42 | 22 |

### მეორე დივიზიონი
### XXX ტური

რიუ ავე — ვიზელა 2:1; სანტა კლარა — ჟილ ვისენტე 2:1; ლეიშოეში — შავეში 3:0; პორტიმონენსე — გონდომარი 1:2; ფეირენსე — მოსკავიდე 1:0; გიმარაეში — ოლიჰანენსე 1:1; ესტორილი — პენაფიელი 2:1; ტროფენსე — ვარზიმი 2:0

## თურქეთი

### სუპერლიგა
### XXXIII ტური

ბეშიქთაში — ანკარა 2:1; გალათასარაი — ფენერბაჰჩე 1:2; გენჩლერი — საქარია 1:0; ანკარაგიუჯიუ — სივა 1:4; დენიზლი — ქაისერი 2:1; ერჟიესი — ანთალია 0:0; გაზიანთეფი — მანისა 0:0; რიზე — ქონია 1:0; ტრაბზონი — ბურსა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 33 | 19 | 10 | 4 | 62:30 | 67 |
| ბეშიქთაში | 33 | 18 | 7 | 8 | 43:29 | 61 |
| გალათასარაი | 33 | 15 | 11 | 7 | 58:35 | 56 |
| ტრაბზონი | 33 | 15 | 7 | 11 | 53:42 | 52 |
| ქაისერი | 33 | 12 | 12 | 9 | 51:43 | 48 |
| გენჩლერი | 33 | 13 | 6 | 14 | 40:41 | 45 |
| სივა | 33 | 13 | 6 | 14 | 39:43 | 45 |
| ანკარა | 33 | 9 | 17 | 7 | 41:37 | 44 |
| მანისა | 33 | 12 | 8 | 13 | 43:45 | 44 |
| ქონია | 33 | 11 | 9 | 13 | 42:44 | 42 |
| ანკარაგიუჯიუ | 33 | 11 | 9 | 13 | 31:36 | 42 |
| ბურსა | 33 | 11 | 9 | 13 | 34:42 | 42 |
| დენიზლი | 33 | 9 | 13 | 11 | 33:40 | 40 |
| გაზიანთეფი | 33 | 10 | 10 | 13 | 29:39 | 40 |
| ანთალია | 33 | 8 | 15 | 10 | 31:33 | 39 |
| რიზე | 33 | 11 | 6 | 16 | 33:39 | 39 |
| ერჟიესი | 33 | 9 | 10 | 14 | 28:47 | 37 |
| საქარია | 33 | 4 | 9 | 20 | 24:50 | 21 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00